როგორც წესი, ხორციელდება გარკვეული ვადის შემდეგ (მას შემდეგ, რაც მიიღებს პროდუქციას, მოწესრიგებულ დოკუმენტაციას). დროში გადანაწილებული გადახდების დროს საკმაოდ ხშირია ვალუტის რყევებით გამოწვეული ზარალი.

სავალუტო რისკების შემცირების საშუალებას წარმოადგენს რისკების ჰეჯირება, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ სუბიექტებს საშუალებას აძლევს თავიდან აირიდონ ვალუტის რყევით გამოწვეული გაურკვევლობები, სწორად მართონ ფულადი ნაკადები სხვადასხვა ვალუტებში და შეინარჩუნონ საოპერაციო სატაბილურობა. სავალუტო რისკების ჰეჯირებისთვის გამოიყენება სავალუტო კონტრაქტები, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგება მომავალში უცხოურ ვალუტის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე. ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სავალუტო კონტრაქტები წარმოადგენენ ფინანსურ ინსტრუმენტებს, ე.წ. სავალუტო წარმოებულებს (დერივატივებს). სავალუტო რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტების ძირითად მომწოდებლებად გვევლინებიან ბანკები, რომლებიც პასუხობენ კომპანიების მხრიდან გაზრდილ მოთხოვნებს რისკების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით (Jacque, 1996, Shapiro, 1996, Hakala და Wystup, 2002) და მომხმარებლებს სთავაზობენ შემდეგი სახის სავალუტო ფინანსურ ინსტრუმენტებს:

სავალუტო ფორვარდი (Forward Exchange Contract – FEC) – კონტრაქტი, რომლის მიხედვით ერთი მხარე ყიდულობს მეორე მხარისგან კონკრეტულ ვალუტას მეორე ვალუტის სანაცვლოდ წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე. ფორვარდული კონტრაქტების განვითარების შედეგად შეიქმნა ფიუჩერსები. (ბახტაძე, ბარბაქაძე, ყანდაშვილი, 2012). XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ფართოდ ვრცელდება სხვადასხვა ტიპის ფინანსური ფიუჩერსები, მათ შორის სავალუტო ფიუჩერსები, საპროცენტო ფიუჩერსი კი აშშ-ს ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთის რყევების შედეგად შეიქმნა. ფორვარდულ და ფიუჩერსულ კონტრაქტებს შორის პრინციპული განსხვავება შემდეგია: ფორვარდული კონტრაქტი ორი მხარის მოლაპარაკების შედეგად იდება, ფიუჩერსულ კონტრაქტში კი პირები არ არის მითითებული და კონტრაქტის პირობები ერთნაირია. ფიუჩერსების ფასი მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედების შედეგად იქმნება.

ფორვარდული კონტრაქტის მსგავსად ფიუჩერსიკ რისკის მართვის საშუალებაა, მაგრამ ის ერთდროულად ხსნის ტერიტორიულ შეზღუდვებს და ქმნის სპეკულაციის საშუალებას.

სავალუტო რისკების ჰეჯირების კიდევ ერთი ინსტრუმენტია სვოპი (Swap) (ეროვნული ბანკი, სავალუტო რისკი და მისი ჰეჯირება, 2017). სვოპის ფასის დაანგარიშებისას ითვალისწინებენ ვალუტის მიმდინარე კურსს და საპროცენტო განაკვეთს.

სავალუტო ოფციონი წარმოადგენს არასასურველი კურსის ცვლილებისგან თავის დასაზღვევ ფინანსურ ინსტრუმენტს (საქართველოს ბანკის ვებ გვერდი, სავალუტო ოფციონი), რომელიც კომპანიას აძლევს უფლებას, მაგრამ არ ავალდებულებს შეასრულოს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია მომავალში, ოფციონის კონტრაქტით წინასწარ განსაზღვრულ თარიღში (ვალუტირების თარიღი), წინასწარ განსაზღვრული კურსით (Streak-Strike).

ბიზნეს რისკებს (Adverse business risks) მიეკუთვნება თაღლითობა, კორუფცია, მექრთამეობა და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული რისკები (Grath, 2008). როგორც ბოლანდი განმარტავს, არსებობს თაღლითობის უამრავი ფორმა, როგორებიცაა სადაზღვევო თაღლითობა, ტვირთის გადაზიდვის დროს ქურდობა, კომპანიის თანამშრომლების მიერ ჩადენილი თაღლითობები და ა.შ. თაღლითობასა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა დღესდღეობით საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა და საბანკო სექტორიც აქტიურადაა ჩართული ამ მიმართულებით (Boland, 2010). არსებობს ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფები და დეპარტამენტები, რომელთა ფუნქციასაც ზემოთ ჩამოთვლილი რისკების იდენტიფიცირება და მათი მინიმუმამდე დაყვანა წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის აქტუალურობამ განაპირობა ბაზელის ინსტიტუტის მიერ AML (Anti-Money Laundering) ინდექსის შექმნა, რომელიც 2012 წლიდან სისტემატიურად ქვეყნდება და აფასებს ქვეყნის რისკიანობის დონეს ფულის გათეთრების თვალსაზრისით. Basel AML Index-ის დაანგარიშებაში მონაწილეობს 14-მდე ინდიკატორი, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ AML/CFT (countering terrorism financing) რეგულაციებთან, კორუფციის დონესთან, ფინანსურ სტანდარტებსა და სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმებთან. 2016 წლის Basel AML Index-ის დაანგარიშებისას მსოფლიოს 149 ქვეყანას შორის საქართველო 123 ადგილზეა (Basel AML Index Report, 2016).

გადაუხდელობის რისკი საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს უცხოურ ბაზრებზე არსებული ბანკების არასტაბილურობასთან, მიეკუთვნება ფინანსური რისკების (Financial Risks) კატეგორიას (Boland, 2010). ფინანსური კრიზისის შემდგომ, განსაკუთრებით შეინიშნება ბანკებისადმი ნდობის დეფიციტი, შესაბამისად ექსპორტიორებს ხშირად უწევთ კონტრაგენტის პარტნიორი ბანკების საკრედიტო რეიტინგის გადამოწმება, სანამ გააფორმებენ კონტრაქტს და შეთანხმდებიან ანგარიშსწორების ფორმებზე. სწორედ ფინანსური რისკების გადაზღვევისა და მინიმინიზაციისათვის გამოიყენება ანგარიშსწორების სხვადასხვაგვარი ფორმები, რომელთა განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბანკი.

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ფაქტიურად კონსესუსია მიღწეული ვაჭრობის დაფინანსების (trade finance) მნიშვნელობაზე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საქმეში და აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს არაერთი საინტერესო ლიტერატურა, სადაც ავტორები გვთავაზობენ დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს და პერსპექტიულ ხედვებს ამ მიმართულებით. თეორიული ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ მოგვეხდინა ლიტერატურულ წყაროებში საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების შესახებ არსებული მოსაზრებების სისტემატიზაცია, რომელიც მოცემულია ცხრილში #1.1.1. ასევე მოხდა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის კუთხით ვაჭრობის დაფინანსების შესახებ არსებული ლიტერატურის თემატიკის კლასიფიცირება და გამოიყო 4 ძირითადი მიმართულება, რომელიც ასევე განხილულია იმავე ცხრილში.

ვაჭრობის დაფინანსების როლთან დაკავშირებით არაერთ არგუმენტს ვხდებით სამეცნიერ ლიტერატურაში. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობის კონტექსტში ნკინი ვაჭრობის დაფინანსებას განმარტავს შემდეგნაირად: “დაფინანსების ნებისმიერი ფორმის უზრუნველყოფა ხელს უწყობს სავაჭრო ოპერაციების განხორციელებას. ერთის მხრივ მომწოდებელს უმარტივებს მარაგების დროულად შესყიდვის საკითხს, ხოლო მეორეს მხრივ, შემსყიდველს უქმნის ყველა პირობას, რომ დაუყოვნებლივ მოახდინოს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება” (Nkini, 2005). ჰოლენსენი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ვაჭრობისა და კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ყველაზე კრიტიკული ბარიერს სწორედ

ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე წარმოადგენს (Hollensen, 2007). როგორც აუბოინი აღნიშნავს, მსოფლიო ვაჭრობის 80-90% დამოკიდებულია და აქტიურად იყენებს ვაჭრობის დაფინანსების რომელიმე ფორმას მაინც (Auboin, M. 2009). ვაუბურგიკი მიმოიხილავს ვაჭრობის გარე დაფინანსების გავლენას კონკურენტულ უპირატესობაზე საერთაშორისო ვაჭრობის სხვადასხვა თეორების კრილში. ჰეკშერ-ოლინ-სამუელსონის თეორიის მიხედვით, ორი ქვეყნისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაში არსებული განსხვავება მნიშვნელოვნად ზრდის შეფარდებით უპირატესობას და ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალს სხვა თანაბარი რესურსებისა და ტექნოლოგიების პირობებში (Anne-Gaël Vaubourg, 2016). გარდა ამისა, ვაჭრობის დაფინანსება გარკვეულწილად უზრუნველყოფს ე.წ. “სავაჭრო გეპის” (trade gap), ანუ ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებული სხვაობის ამოვსებას, რაც გამოწვეულია იმით, რომ ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი ხშირად გამოყენებულია იმპორტის დასაფინანსებლად (Abegglen და Hout, 1978). სწორედ ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა განაპირობებს კომპანიების წარმატებას საექსპორტო საქმიანობაში (U.S. Comptroller of the currency, 1998). არაერთ მკვლევარს აქტიურად აქვს განხილული საერთაშორისო ვაჭრობის და კონკრეტულად ექსპორტის განვითარების საქმეში ფინანსურ რესურსების ხელმისაწვდომობის როლი და უმრავლესობა თანხმდება, რომ გარე დაფინანსების წყაროების შეზღუდულობა ცალსახად განაპირობებს ექსპორტის მაჩვენებლების შემცირებას, თუმცა, კომპანიების ფინანსური სიჯანსაღის სწორად განსაზღვრისათვის, განიხილავენ კომპანიის ზომისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლების ზეგავლენის დონეს. ემპირიული მტკიცებულებების საფუძველზე, გაერთიანებული სამეფოს (UK) კომპანიების ანალიზის შედეგად გრინვი, გუარილია და კნელერი ამტკიცებენ, რომ ექსპორტიორები არაექსპორტიორ კომპანიებთან შედარებით ხასიათდებიან უფრო დაბალი leverage ratio-ს მაჩვენებლებით (short-term debt over current asset - მოკლევადიანი ვალდებულებები აჭარბებს მიმდინარე აქტივებს) და უფრო მაღალი ლიკვიდურობის კოეფიციენტებით (liquidity ratio – მიმდინარე აქტივებს მინუს მიმდინარე ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან) (Greeneway, Guariglia და Kneller, 2007). თუმცა სტიებელი, ლანჩეროსი და დემირელი თვლიან, რომ ექსპორტის

მაჩვენებლებზე ფინანსურ ცვლადებთან შედარებით უფრო მეტ გავლენას ახდენს კომპანიების ზომა და პროდუქტიულობა (Stiebale, 2011, Lancheros და Demirel, 2012).

სხვა განმარტებების მიხედვით, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დივერსიფიკაციისა და დაზღვევის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ჩაუფორი და ფაროლი მიიჩნევენ, რომ ვაჭრობის დაფინანსებას რისკების შემცირებისა და ლიკვიდურობის ერთგვარი გარანტორის ფუნქცია აკისრია, რადგანაც იგი იცავს სავაჭრო კომპანიებს გადაუხდელობის რისკისგან (Chauffour და Farole, 2009). გარდა ამისა, საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებით ბანკები ამცირებენ ექსპორტირებული საქონლის ღირებულების დაუბრუნებლობის რისკს (Baker, 2003). ბალდუინის აზრით კი, ქვეყანაში საფინანსო სისტემების გავითარების მაღალი დონე განაპირობებს მათ სპეციალიზაციას უფრო მაღალ რისკიან და ფინანსურად უფრო მომგებიან საქონელის წარმოება-რეალიზაციაზე (Baldwin, 1989).

ცხრილი #1.1.1: საერთაშორისო ვაჭრობაში დაფინანსების როლის შესახებ არსებული ლიტერატურის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია როლის მიხედვით)	ავტორ(ებ)ი		დაფინანსების როლი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში
საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობა	ნკინი (2005)	Nkini (2005)	დაფინანსების წებისმიერი ფორმის უზრუნველყოფა ხელს უწყობს სავაჭრო ოპერაციების განხორციელებას.
	აბეგლენ დაჰოლტი (1978)	Abegglen&Hout (1978)	ვაჭრობის დაფინანსება გარკვეულწილად უზრუნველყოფს ე.წ. “სავაჭრო გეპის” (trade gap), ანუ ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებული სხვაობის ამოვსებას.
	ჰოლენსენი (2007)	Hollensen(2007)	ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ყველაზე კრიტიკული ბარიერია.
	ვაუბოურგ (2016)	Anne-Gaël Vaubourg (2016)	ქვეყნებს შორის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაში არსებული განსხვავება მნიშვნელოვნად ზრდის შეფარდებით უპირატესობას და ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალს სხვა თანაბარი რესურსებისა და ტექნოლოგიების პირობებში (ჰეკშერ-ოლინ-სამუელსონი).
ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დივერსიფიკაციისა და დაზღვევის ინსტრუმენტი	ჩაუფორ და ფაროლე (2009)	Chauffour&Farole (2009)	რისკების შემცირებისა და ლიკვიდურობის ერთგვარი გარანტორის ფუნქცია
	ბეიქერი (2003)	Baker (2003)	საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებით ბანკები ამცირებენ ექსპორტირებული საქონლის ღირებულების დაუბრუნებლობის რისკს
	ბალდუინი (1989)	Baldwin (1989)	ქვეყნებს შორის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები დამოკიდებულია მათი საფინანსო სისტემების განვითარების დონეზე და ეხმარება ქვეყნებს რისკების დივერსიფიკაციაში.
ვაჭრობის დაფინანსების ეფექტიანობის შეფასება	ეუბოინი (2009)	Auboin (2009)	მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 80% დამოკიდებულია ვაჭრობის დაფინანსების ერთ-ერთ რომელიმე სახეობაზე მაინც.
	რონჩი (2004)	Ronci (2004)	ვაჭრობის დაფინანსებასა და ექპორტ/იმპორტის მოცულობებს შორის არსებობს ძლიერი კორელაციური კავშირი.
	ბეკი (2002)	Beck (2002)	საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტების მაჩვენებელი და ბაზრების კაპიტალიზაციის კოეფიციენტი მშპ-სთან განსაზღვრავს კონკრეტული ბაზრის დაფინანსების მოცულობას.

ვაჭრობის დაფინანსების ეფექტიანობის შეფასება	ლოვ და ძიჩინო (2006); თომასი (2009); კორინევი (2009); ჩორი და მანოვა (2011)	Love&Zicchino (2006); Thomas (2009); Korinek et al. (2009); Chor&Manova (2011)	ვაჭრობის დაფინანსება არის სავაჭრო ნაკადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი.
	პარავისინი, რაპპოპორტ, შნაბელ და ვოლფენსონ (2011)	Paravisini, Rappoport, Schnabel & Wolfenson (2011)	კრედიტების მიწოდების 10%-იანმა კლებამ გამოიწვია ექსპორტის წლიური მოცულობის შემცირება 2.3%-ით, ხოლო დაკრედიტების 10%-იანი მატება 3.6%-ით ზრდის საექსპორტო ოპერაციების წარმოების ალბათობა
გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა ვაჭრობის დაფინანსებაზე	ტანაკა (2009) ვაკასუკი (2009)	Tanaka (2009) Wakasuki (2009)	მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა 2009 წელს შემცირდა 12%-ით და ეს ყოველივე გამოწვეული იყო თავად კრიზისით
	ფრანკოის და ვოერზ (2009)	Francois & Woerz (2009)	ყველაზე რთული მდგომარეობა შეიქმნა სამრეწველო პროდუქტებით ვაჭრობაში (-15.5%)
	ვაუბოურგ (2016)	Vaubourg (2016)	გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს მსოფლიო ვაჭრობის ვარდნა აღმოჩნდა ბევრად უფრო მძიმე, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტის (-4.6%).
	ალმუნია, ბენეტრიქს, ეიჩენგრინ, ო'როურკე და რუა (2010)	Almunia, Benetrix, Eichengreen, O'Rourke & Rua (2010)	გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შედეგები მსოფლიო ვაჭრობისთვის იყო ბევრად გამანადგურებელი, ვიდრე 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შედეგები
	აისენ, ფრანკენ (2010)	Aisen, Franken (2010)	კრიზისმა დიდი დარტყმა მიყენა საფინანსო ინსტიტუტებს და შექმნა ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის პრობლემები
	ჩორ და მანოვა (2012)	Chor&Manova (2012)	2008 წლის კრიზისის დროს დაკრედიტების შემცირებამ განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის კრიზისი.

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს კიდევ ერთი ვერსია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების როლის შესახებ, რომელშიც განიხილება ვაჭრობის დაფინანსების ეფექტურობის შეფასება. აუბოინი ამტკიცებს, რომ მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 80% დამოკიდებულია ვაჭრობის დაფინანსების ერთ-ერთ რომელიმე სახეობაზე მაინც (Auboin, 2009). რონჩის მოსაზრებით ვაჭრობის დაფინანსებასა და ექსპორტ/იმპორტის მოცულობებს შორის არსებობს ძლიერი კორელაციური კავშირი (Ronci, 2004).

ლიტერატურაში ასევე ვხვდებით დისკუსიებს თემაზე – რამდენად აძლიერებს ფინანსური დამოკიდებულება (financial dependence) მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზეგავლენას ექსპორტზე. ბეკი 56 ქვეყნის მონაცემების ანალიზის შედეგად აკეთებს საინტერესო დასკვნებს (Beck, 2002):

1. საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტების მაჩვენებლები არის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი ვაჭრობის დაფინანსების მნიშვნელოვნების განსაზღვრის საქმეში.
2. ბაზრების კაპიტალიზაციის კოეფიციენტი მშპ-სთან მიმართებაში (the ratio of market capitalization to GDP) განაპირობებს კონკრეტული ბაზრის დაფინანსების მოცულობას (size of market-based finance).

3. წინა ორი ინდიკატორის ჯამი წარმოადგენს მთელი საფინანსო სისტემის მოცულობას. ფინანსური რესურსების მიმწოდებელ აგენტებს ინდუსტრიულ დონეზე გააჩნიათ ეფექტი ექსპორტზე და ეს ეხება იმ ინდუსტრიებს, რომლებიც დიდი დოზით არიან დამოკიდებულნი გარე დაფინანსების წყაროებზე (იზომება ექსპორტის მაჩვენებლით მშპ-სთან მიმართებაში ან სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლით ასევე მშპ-სთან მიმართებაში).

ავტორთა გარკვეული ჯგუფი (Love & Zicchino, 2006; Thomas, 2009; Korinek et al., 2009; Chor & Manova, 2011) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ვაჭრობის დაფინანსება სავაჭრო ნაკადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ექსპორტის ზრდის თვალსაზრისით ვაჭრობის დაფინანსების როლის ხაზგასასმელად პარავისინი, რაპოპორტი, შნაბელი და ვოლფენსონი აანალიზებენ პერუს ბანკებიდან ექსპორტიორი კომპანიების დაკრედიტების მაჩვენებლებს (2007-2009წწ) და შედეგად დგინდება, რომ კრედიტების მიწოდების 10%-იანმა კლებამ გამოიწვია ექსპორტის წლიური მოცულობის შემცირება 2.3%-ით, ხოლო დაკრედიტების 10%-იანი მატება 3.6%-ით ზრდის საექსპორტო ოპერაციების წარმოების ალბათობას (Paravisini, Rappoport, Schnabel da Wolfenson, 2011).

გარკვეული სამეცნიერო ლიტერატურული წყაროები ასახავენ კრიზისული სიტუაციებისა და ფინანსური არასტაბილურობის ნეგატიურ შედეგებს და გვთავაზობენ გლობალური ფინანსური კრიზისის დროს ვაჭრობის დაფინანსების შეზღუდულობის გავლენის შეფასებას საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე. უახლესი გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შედეგები ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მთავრობებისთვის, ეკონომიკური და სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზარზე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გავლენის შესახებ არსებული საინფორმაციო რესურსების ანალიზი. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) მონაცემების მიხედვით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა 2009 წელს შემცირდა 12%-ით და ეს ყოველივე გამოწვეული იყო თავად ფინანსური კრიზისით (Tanaka, 2009 & Wakasuki, 2009). როგორც ფრანკოისი და ვოერცი აღნიშნავენ, ყველაზე რთული მდგომარეობა შეიქმნა სამრეწველო პროდუქტებით ვაჭრობაში (-15.5%) (Francois და Woerz, 2009), ვაუბურგის მოსაზრებით გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს მსოფლიო ვაჭრობის ვარდნა აღმოჩნდა

ბევრად უფრო მძიმე, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტის (-4.6%) (Anne-Gaël Vaubourg, 2016). უფრო მეტიც, აღნიშნული კრიზისის შედეგები მსოფლიო ვაჭრობისთვის იყო ბევრად გამანადგურებელი, ვიდრე 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შედეგები (Almunia, M., Benetrix, A., Eichengreen, B., O'Rourke, K. და Rua, G., 2010). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდი დეპრესიის დროს განცდილი კრაზი საერთაშორისო ვაჭრობისათვის დიდწილად განპირობებული იყო გაზრდილი სავაჭრო ბარიერებით, ხოლო 2009 წლის კრაზი არანაირად არ გახლდათ დაკავშირებული მომატებულ პროტექციონისტულ ღონისძიებებთან.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს საერთაშორისო ვაჭრობის რეცესიის მიზეზების სხვადასხვა ვერსიები: ერთ-ერთი ვერსიით მსოფლიო სავაჭრო სისტემის კრაზი ფორსირებული იყო გლობალიზაციისა და მულტინაციონალური ფირმების მიერ წარმოქმნილი ვერტიკალური სპეციალიზაციით (Bems, Johnsoni, K-M., 2009), ხოლო იტონი, კორტუმი, ნეიმანი და რომალისი ნაშრომში "ვაჭრობა და გლობალური რეცესია" ცალსახად მიუთითებენ, რომ კრიზისში მყოფი მსოფლიო ეკონომიკაში წარმოქმნილმა შემცირებულმა მოთხოვნამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის მსოფლიო კრიზისზე (Eaton, J., Kortum, S., Neiman, B. da Romalis, J., 2011). ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) კი საერთაშორისო ვაჭრობის კოლაფსის განმაპირობებელ ფაქტორად თანამედროვე გლობალურ-ეკონომიკურ კრიზისს მიიჩნევს (Auboin, M., 2011). კრიზისმა დიდი დარტყმა მიყენა საფინანსო ინსტიტუტებს და შექმნა ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის პრობლემები (Aisen, Franken, 2010), რაც თავისთვად ნეგატიურად აისახა საერთაშორისო ვაჭრობის ფუნქციონირებაზე.

ბარდჰანი და კლეტზერი თავის მოდელში ფოკუსირებას ახდენენ ფინანსური სისტემების უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე, რომელიც გულისხმობს ფინანსური რესურსებისა და დანაზოგების მობილიზებას (Bardhan და Kletzer, 1987). აღნიშნული ავტორების აზრით, განვითარებადი საფინანსო სისტემისგან განსხვავებით, მაღალგანვითარებულ საფინანსო სისტემას აქვს შესაძლებლობა უფრო ეფექტურად დააფინანსოს საბრუნავი კაპიტალი, რადგან ფლობს კონკურენტულ უპირატესობას საბოლოო პროდუქტის წარმოების კუთხით. აღნიშნულ თეორიას განავრცობს ბეკი და განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორი სექტორი დამოკიდებულია დაფინანსების გარე წყაროებზე, ვაჭრობის მაჩვენებლებზე მნიშვნელოვან

ზეგავლენას ახდენს ფინანსური განვითარების დონეებში არსებული განსხვავებულობა (Beck, 2002).

ვაჭრობის დაფინანსების ფორმები. ვაჭრობის დაფინანსების პირველად ფორმას წარმოადგენს სავაჭრო კრედიტი (trade credit), რომელიც საბანკო კრედიტის ერთგვარ ალტერნატივაა. სავაჭრო კრედიტის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა ღია ანგარიშით ანგარიშსწორება (“openaccount transactions - OA”), როდესაც საქონლის მიწოდება ხდება წინასწარ, სანამ მოხდება ანგარიშსწორება და ასევე ავანსით ანგარიშსწორების ოპერაცია (“cash in advance transactions - CIA”), როდესაც საქონლის მიღებამდე, წინასწარ ხდება ანგარიშსწორება. ორივე მათგანს თან ახლავს გარკვეული სირთულეები: პირველი, ვაჭრობაში ჩართულ ორივე მხარეს ესაჭიროება საბრუნავი კაპიტალი საქონლის მიღებასა და რეალურ ანგარიშსწორებას შორის არსებული დროითი სხვაობის განმავლობაში და მეორე, საერთაშორისო ვაჭრობის დროს განსაკუთრებით იზრდება თანხის/საქონლის მიუღებლობის რისკი, რადგან უცხოელი პარტნიორის საიმედოობის დონე სამწუხაროდ სრულად ვერ იდენტიფიცირდება (Ellingsen და Vlachos, 2011). ფირმათაშორის ვაჭრობის დაკრედიტებას (inter-firm trade credit) ახასიათებს დაბალი საკომისიო ხარჯები და მეტი მოქნილობა, თუმცა ვაჭრობის საბანკო დაკრედიტებისგან განსხვავებით გააჩნია მაღალი რისკი და დიდი მოცულობის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნები შესაბამისად, ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების ფორმებს ძირითადად იყენებენ კომპანიები, რომელთაც აქვთ კარგად გამართული კომერციული ურთიერთობები, არიან ერთი და იგივე მულტინაციონალური კორპორაციების წევრები და გააჩნიათ იურიდიულად გამართული ჩარჩო ხელშეკრულებები დებიტორული დავალიანებების ამოღების თვალსაზრისით (CGFS – Trade finance: developments and issues, 2014). გარდა ამისა, შმიდტ-ეისენლორი განმარტავს, რომ ღია ანგარიშით ანგარიშსწორების (OA) გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური ხარჯები დაბალია ექსპორტიორ ქვეყანაში და საკანონმდებლო რეგულირება მაღალ დონეზეა განვითარებული იმპორტიორ ქვეყანაში, ხოლო ავანსით ანგარიშსწორება (CIA) მომხიბვლელია საწინააღმდეგო შემთხვევისას – როდესაც ფინანსური ხარჯები დაბალია იმპორტიორ ქვეყანაში, ხოლო საკანონმდებლო რეგულაციები მყარ პოზიციებზეა ექსპორტიორ ქვეყანაში (Schmidt-Eisenlohr, 2013). სწორედ

დებიტორული დავალიანების ამოღებამდე დაფინანსების მოძიებისა და ამ დავალიანების ამოღების მიზნით, კომპანიები აქტიურად იყენებენ საბანკო პროდუქტს – ფაქტორინგს. მისი საშუალებით ვაჭრობის დაფინანსების საფუძველია ფაქტორის (ბანკის) მიერ კლიენტის (გამყიდველის) დებიტორული დავალიანების შესყიდვა და დავალიანების ინკასაციასთან დაკავშირებული პრობლემების მარტივად გადაწყვეტა. ფაქტორინგი წარმოადგენს კომპლექსურ მომსახურებას და დაფინანსების მიღმა ასევე მოიცავს გადაუხდელობის რისკის დაზღვევას და საინფორმაციო-ანალიტიკურ მომსახურებას. იგიძირითადად გამოიყენება მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და კონკრეტულად იმ ექსპორტიორების მიერ, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ღია ანგარიშით ანგარიშსწორებას. სავალო ვალდებულებების შექმნის გზით ექსპორტის დაკრედიტების ფორმაა ასევე ფორფეტირება – საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების, სხვა სავალო ვალდებულებების შექმნის გზით, როდესაც გარანტორი იმპორტიორი ქვეყნის ბანკია. აღნიშნული პროდუქტის შეთავაზება საქართველოში ამ ეტაპზე არ ხდება.

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების მოქნილობა დიდწილად დამოკიდებულია საერთაშორისო კლირინგული სისტემების ფუნქციონირებაზე. ბოლო პერიოდში გლობალური გადახდების მოცულობის მკვეთრმა ზრდამ, ევროკავშირში ერთიანი ვალუტის, ევროს შემოღებამ, განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების ინტენსიურმა ხასიათმა განაპირობა საერთაშორისოსაფინანსო, საგადამხდელო და კლირინგული სისტემების როლის გაზრდა. აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბანკთაშორის საზოგადოება (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication - SWIFT), რომელიც აწარმოებს საერთაშორისო მასშტაბით ანგარიშსწორების ოპერაციებს მონაცემთა დისტანციური გადაცემის ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული სისტემის მეშვეობით ანგარიშსწორების სისწრაფე, მოქნილობა, ოპერაციათა რაციონალიზაცია და საიმედოობა მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით.

საბანკო სექტორი სავაჭრო ოპერაციების დროს გადახდების უსაფრთხოების დაზღვევის გარდა ბიზნესს სთავაზობს არაერთ საინტერესო პროდუქტს. დღესდღეობით ბიზნეს დაკრედიტების მიმართულებით კომერციული ბანკებს გააჩნიათ ისეთი მნიშვნელოვანი საკრედიტო პროდუქტები, როგორებიცაა საკრედიტო ხაზები, ოვერდრაფტები და ბიზნეს სესხები ძირითადი საშუალებების შესაძენად, საწარმოო სიმძლავრეების მოდერნიზაციისა და შეკეთებისთვის, საბრუნავი საშუალებების, მარაგების შესავსებად და ექსპორტისა და იმპორტის დასაფინანსებლად.

გასათვალისწინებელია, რომ ვაჭრობის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია ბიზნესის მრავალმხრივი გაანალიზება – „კომპანიების ურთიერთთანამშრომლობის ისტორიის, რეპუტაციის, გადახდისუნარიანობის, შესაბამის დარგში სავაჭრო პრაქტიკისა და ბაზარზე კომპანიების პოზიციების შესახებ ინფორმაციის ანალიზი, რათა შესაძლებელი იყოს მათი საჭიროებების გამოვლენა, რისკების ადეკვატურობის შეფასება და სწორად შერჩეული პროდუქტის შეთავაზება ბანკსა და ექსპორტიორ/იმპორტიორ კომპანიას შორის ორმხრივად სასარგებლო ურთიერთთანამშრომლობისათვის“ (კაციტაძე, 2006).

„ბანკების მხრიდან ასეთი ფრთხილი პოლიტიკა განპირობებულია საკრედიტო რისკით, რომელიც არის ბანკის ალბათობა, ნახოს ზარალი მეორე მხარის მხრიდან გადაუხდელობის/დეფოლტის გამო. საკრედიტო რისკი პირდაპირ უკავშირდება კომერციული ბანკების საკრედიტო მომსახურებას და მათი პარტნიორების კრედიტუნარიანობას. იგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკია, რომელიც მოიცავს იმ ალბათობის შეფასებას, რომ ბანკის ბალანსიდან სესხი შეიძლება ჩამოიწეროს, როგორც ცუდი ვალებისგან გამოწვეული დანაკარგი. ეს ალბათობა რამდენიმე ასპექტს მოიცავს: მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, სესხის ღირებულება, დაფარვის მეთოდი, ვადიანობა და საკრედიტო რისკის შემცირების ტექნიკა (უზრუნველყოფა, გარანტია). საკრედიტო რისკი და მისგან გამოწვეული დანაკარგები თავისმხრივ ამცირებს მომგებიანობას, აუარესებს კრედიტუნარიანობას და ზრდის ბანკის დაფინანსების ღირებულებას. საკრედიტო რისკის გაზომვისათვის გადაწყვეტილების მიღებამდე ბანკები იყენებენ გარკვეულ მეთოდებსა

და მოდელებს (მაგ: “საკრედიტო რეიტინგების სისტემა” - “კრედიტინფო საქართველო”). საკრედიტო რისკის მართვის მოდელებში მსესხებლის დეფოლტის ალბათობის გაზომვის მიზნით ასევე გამოიყენება ე.წ. “VAR” მოდელები, რომლის საშუალებითაც გაანგარიშდება პორტფელის ყველაზე დიდი დანაკარგის ალბათობა დროის გარკვეულ მონაკვეთში. აღნიშნული მეთოდით ხდება პორტფელის ღირებულებების ალბათობითი გადანაწილება და ითვალისწინებს პორტფელის დივერსიფიკაციას მაქსიმალური პოტენციური დანაკარგის პროგნოზირებისათვის, თუმცა იგი შეიძლება არ იყოს ზუსტი საბაზრო პირობების ექსტრემალური ცვლილებების შემთხვევაში. ამ დროს კი სტრეს-ტესტირების მეთოდი გამოიყენება“ (ცუცქირიძე, ლექციების ციკლი საბანკო მენეჯმენტში).

საკუთარი ოპერაციებისაგან წარმოშობილი რისკების მართვის გარდა, ბანკებმა ახალი ფუნქცია, კლიენტთა პორტფელის რისკების მართვაში შუამავლობა იტვირთეს, რაც ერთი მხრივ გულისხმობს გარკვეული ანაზღაურების საფასურად კლიენტების რისკების მართვას, თუმცა მეორე მხრივ აღნიშნული საქმიანობით ბანკები თავს იზღვევენ, რადგან საკუთარი კლიენტების რისკების მართვის პროცესის ხელში აქვთ აღებული და მათი სახით სამომავლოდ აფორმირებენ ნაკლებ რისკიან, გონივრულად მართულ პორტფელს. საბანკო სექტორი სწორედ დოკუმენტური ბიზნესის – გარანტიების, აკრედიტივებისა (LC) და დოკუმენტური ინკასოს (documentary collection) მეშვეობით უწყობს ხელს კომპანიებს ლიკვიდურობის რისკის შემცირებაში, რაც განპირობებულია დანახარჯებსა და მისაღებ შემოსავლებს (ანგარიშსწორებას) შორის არსებული დროითი სხვაობით (Herger, 2009).

ბიზნესის წარმოებისას ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან წარმოქმნილი რისკების ჰეჯირების ეფექტურ საშუალებად აქტიურად გამოიყენება საბანკო გარანტიები, რომელიც გაიცემა ბენეფიციარის სასარგებლოდ კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე (პრინციპალი) და გადახდა ხდება ბენეფიციარის მიერ სათანადო მოთხოვნის დადგენილ ვადაში წარდგენისა და გარანტიის ყველა პირობა/დებულების შესრულების შესაბამისად (საქართველოს ბანკის ვებ გვერდი, საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციები).

აკრედიტივი (Letter of Credit) - ეს არის საბანკო ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს მყიდველსა და გამყიდველს დაარეგულირონ სავაჭრო ოპერაციასთან დაკავშირებული

რისკები. იგი გულისხმობს აკრედიტივის პირობების შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, საქონლის ან მომსახურების მიმწოდებლისათვის ანაზღაურების წარმოებას. საერთაშორისო პრაქტიკაში სხვადასხვა გაუგებრობების და შესაძლო ინტერპრეტაციების თავიდან აცილების მიზნით, საერთაშორისო სავაჭრო პალატის (სსპ) მიერ შემუშავებულ იქნა „უნიფიცირებული წესები დოკუმენტური აკრედიტივისათვის“ (UCP600) და სავალდებულოა ყველა მონაწილე მხარისთვის (ბანკ რესპუბლიკის ვებ გვერდი).

შმიდტ-ეისენლორის მიხედვით, ღია ანგარიშით ანგარიშსწორებასა (OA) და საავანსო ანგარიშსწორებასთან (CIA) შედარებით დოკუმენტურ აკრედიტივს ენიჭება უპირატესობა იმ შემთხვევებში, როდესაც საბრუნავი კაპიტალის ფინანსური ხარჯი არის ძალიან მაღალი ორივე ქვეყანაში (ექსპორტიორ/იმპორტიორი), ხოლო საკანონმდებლო რეგულაციები არის სუსტი (Schmidt-Eisenlohr, 2013).

საბანკო სექტორი სავაჭრო ურთიერთობების კონტრაგენტებს სთავაზობს აკრედიტივების საკმაოდ მრავალფეროვან არჩევანს: საიმპორტო/საექსპორტო აკრედიტივი, გამოუთხოვადი, გამოთხოვადი, დაუმოწმებელი, დამოწმებული, განახლებადი (რევილვერული), ბექ-თუ-ბექ და ა.შ.

დოკუმენტური აკრედიტივით სარგებლობის უპირატესობები იმპორტიორისთვის (მყიდველისთვის): საქონლის მიღება ანაზღაურების მიღებამდე, მოწოდების ვადების გაკონტროლება, თანხების დაცულობა და აკრედიტივის ანაზღაურება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

უპირატესობები ექსპორტიორისთვის/გამყიდველისთვის: უცნობი მყიდველის ნაცვლად გარანტიას გასცემს მყარი ფინანსური ინსტიტუტი, გარანტირებული გადახდა დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, საქონლის დაცულობა, დაზოგილი დრო, ხელშეკრულების გაფორმება მყიდველის ფინანსური მდგომარეობის გარკვევის გარეშე.

რაც შეეხება დოკუმენტურ ინკასოს (documentary collection) იგი ანგარიშსწორების საკმაოდ გავრცელებული ფორმაა. მისი პირობები ითვალისწინებს: „დოკუმენტებს გადახდის წინააღმდეგ ან აქცეპტის წინააღმდეგ. მოთხოვნების შეთანხმება უნდა მოხდეს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროს, აუცილებელია გამყიდველი და მყიდველი იყვნენ

საიმედო პარტნიორები, სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია იყოს მყიდველის ქვეყანაში და არ არსებობდეს სავალუტო კონტროლთან/იმპორტის შეზღუდვებთან დაკავშირებული რისკები. საერთაშორისო სავაჭრო პალატის უნიფიცირებული წესებით, ბანკი არაა ვალდებული დოკუმენტების შემოწმებაზე და არ მონაწილეობს ძირითად გარიგებაში“ (საქართველოს ბანკის ვებ-გვერდი, საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციები).

და ბოლოს, საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ოპერაციათა საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით ეკონომიკურ მიდგომად მიიჩნევა ევროპაში საკმაოდ პოპულარული მეთოდი - საექსპორტო ხელშეკრულებების დაზღვევა, რაც გულისხმობს ექსპორტიორის მიერ გადაუხდელობის რისკის დაზღვევას (export credit guarantee) კონკრეტული პირობების შესრულების შემდგომ. ამ შემთხვევაში დამზღვევი ორგანიზაცია საკუთარ თავზე იღებს რისკების გარკვეულ ნაწილს და ექსპორტიორს ნაწილობრივ აზღვევს გაკოტრებისგან. (Egger and Url, 2006 daVan der Veer, 2010). ამ ტიპის გარანტიის ძირითადი მომწოდებლები არიან ექსპორტის დაკრედიტების სახელმწიფო სააგენტოები ან კერძო სადაზღვეო კომპანიები (ე.წ. დიდი სამეული :Euler Hermes, Atradius და Coface) (Van der Veer, 2010). როგორც აუბოინი და ენგემანი აღნიშნავენ, სავაჭრო კრედიტის დაზღვევა შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც ღია ანგარიშით ანგარიშსწორების (OA), ასევე აკრედიტივების დროს (LC). პირველ შემთხვევაში დამზღვევი ზარალს უნაზღაურებს ექსპორტიორს იმ შემთხვევაში, თუკი იმპორტიორმა არ გადაიხადა, ხოლო მეორე შემთხვევაში დამზღვევი კომპენსაციას უხდის როგორც იმპორტიორის, ასევე ექსპორტიორის ბანკს ნებისმიერი გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს დამდგარი ზარალისთვის (Auboin da Engemann, 2012) . უნდა აღინიშნოს, რომ საექსპორტო კრედიტების დაზღვევის სახელმწიფო ფორმის არსებობა განპირობებულია იმით, რომ კერძო კომპანიები ფაქტიურად უძლურნი არიან საკუთარ თავზე აიღონ პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები და სწორედ ამიტომ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ექსპორტისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა ეკონომიკური ზრდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

საერთაშორისო ვაჭრობაში პრაქტიკაში გავრცელებულია, მაგრამ საქართველოში არ არსებობს საექსპორტო კრედიტების დაზღვევის სახელმწიფო ფორმა და მიწანშეწონილია

შესწავლილი იქნას ამ მიმართულებით არსებული უცხოური გამოცდილება. გარდა ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი გარკვეული პროდუქტები (მაგ: ფორფეტირება), რომლებიც უცხოურ ბაზრებზე წარმატებით გამოიყენება. აქედან გამომდინარე აუცილებელია უცხოური გამოცდილების ანალიზი და საჭირო სერვისების დანერგვა საქართველოში.

1.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა ინსტიტუციური ჭრილში

საქართველოს უძველესი დროიდან საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს არცთუ ისე დიდი, თუმცა მსოფლიოსათვის თვალსაჩინო ადგილი უკავია. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიის შესახებ არსებული წყაროები. სტატიაში “საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიული ფურცლები” ავტორი აღნიშნავს, რომ “ჩვენს წინაპრებს მეზობელ ტომებთან გაცხოველებული სავაჭრო კავშირები გააჩნდა” (კაკაბაძე, 1999).

ფაქტია, რომ საქართველოს მცირე ზომის შიდა ბაზარი აქვს, ამიტომ მისი ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საგარეო მოთხოვნაზე. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიას წარმოადგენს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს საგარეო ვაჭრობის გამარტივებულ რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საპროცენტო ტარიფებს და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას, რაც ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ზოგჯერ საკუთარი მეწარმეებს დაუცველ და არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს უქმნის.

„საქართველო, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდიდან მუდმივად ცდილობს აქტიურად ჩაებას ლიბერალური საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ გამოწვევებში,, (პიტურიშვილი, თევდორაშვილი, 2014). ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ეტაპობრივად, მაგრამ მაინც მიიწევს წინ მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების გზაზე. 1999 წლიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით

(GSP) და მოგვიანებით GSP+ სავაჭრო რეჟიმებით სარგებლობამ საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი გახდა საგარეო ვაჭრობის პირობები და წახალისა ექსპორტის ზრდა.

2006 წლიდან მოხდა საიმპორტო ტარიფების განაკვეთების გადახედვა. 16 თანრიგიანი სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3-მდე, ხოლო ექსპორტი და რეექსპორტი გათავისუფლდა საბაჟო გადასახადისაგან, ხოლო იმპორტისა და ექსპორტის რეგულირება ხდება მხოლოდ მცირე დასახელების პროდუქციასა და მასალებზე.

2009 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ამოქმედების შემდეგ, რომელშიც საქართველოს გარდა მონაწილეობას იღებდნენ სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა და უკრაინა, ევროკავშირმა ხაზი გაუსვა ამ რეგიონის მნიშვნელობას და იმ პრივილეგიებულ ურთიერთობებს, რომლებსაც ის სთავაზობდა აღნიშნული რეგიონის ქვეყნებს.

2014 წლის ივნისში ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ხარისხობრივად სრულიად ახალი ეტაპზე გადავიდა. ასოცირების შესახებ შეთანხმება და მასში შემავალი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) ითვალისწინებენ ევროკავშირთან მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავებას, საქართველოს დაახლოებას ევროპასთან. DCFTA, როგორც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ნაწილი, წარმოადგენს ევროპაში ინტეგრაციისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. ეს პროცესი უკვე წარმატებით განხორციელდა რამდენიმე ქვეყანაში. შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნის, ინვესტორთათვის ქვეყნის მიმზიდველობის ზრდის და გაზრდილი საექსპორტო-სავაჭრო მაჩვენებლების თვალსაზრისით.

დღესდღეობით უკვე აღდგენილია სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც ცნობილი პოლიტიკური მოვლენების შედეგად იყო შეწყვეტილი (ვალტერი ვ., 2014). საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ასევე თურქეთთან. აღსანიშნავია საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში ჩვენი ქვეყნის უახლესი მიღწევა – თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი ჩინეთთან. 2017 წლიდან ქართული პროდუქციის 95%

1.3 მილიარდიანი მოსახლეობის მქონე ჩინეთში ყოველგვარი დამატებითი სავაჭრო გადასახადის გარეშე შევა (ქართული ღვინო, მინერალური წყლები და აგროპროდუქტები).


გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მაჩვენებლები საერთაშორისო რეიტინგებში გარკვეულწილად გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მდგომარეობაზე (მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, სარეიტინგო სააგენტოები):

- ბიზნესის კეთების სიმარტივე #9 – მსოფლიო ბანკი, 2018
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი #16 (მეტწილად თავისუფალი) – www.heritage.org, 2018
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი #66 – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2018
- საგარეო საკრედიტო რეიტინგი:
 - ✓ BB-(Stable) – Standard & Poors, 2012
 - ✓ BB-(Positive) – Fitch Rating, 2018

2018 წლის წინასწარი მონაცემებით საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა გასულ წელთან შედარებით 17%-ითაა გაზრდილი და 12 484.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. აქედან ექსპორტმა 3 362.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (22.9 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტმა 9 122.3 მლნ. აშშ დოლარი (14.9 პროცენტით მეტი). აღსანიშნავია, რომ საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ტრადიციულად მაღალ ნიშნულზეა და 5 760.2 მლნ. აშშ დოლარს - საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46.1 პროცენტს შეადგენს. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 2 297.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11.0 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018). (ნახაზი #1.2.1).

ნახაზი #1.2.1

საბარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2013-2018 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/bop/saqonlit%20sagareo%20vachroba%20saqartveloshi%2021.01.2019%20\(geo\).pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/bop/saqonlit%20sagareo%20vachroba%20saqartveloshi%2021.01.2019%20(geo).pdf), გვ. 1-6

აღსანიშნავია საქართველოს სავაჭრო ბრუნვის მკვეთრი ვარდნა 2015 წლის მდგომარეობით, რაც განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით. 2015 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა ძლიერი საგარეო შოკის წინაშე იდგა და საქართველოს ეკონომიკისთვის საგარეო მოთხოვნის შემცირებას რამდენიმე ფაქტორი უწყობდა ხელს. 2015 წელს აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემამ დაიწყო პოლიტიკის განაკვეთის ზრდა, შესაბამისად აშშ დოლარის კურსმა დაიწყო გამყარება სხვა ვალუტების მიმართ. გლობალური ეკონომიკური შენელების ფონზე საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში დაიწყო ეროვნული ვალუტების გაუფასურება. შედეგად, საქართველოს ეკონომიკა კარგავდა კონკურენტუნარიანობას: გაიზარდა მოთხოვნა იმპორტზე, შემცირდა მოთხოვნა საექსპორტო პროდუქციაზე. ნავთობის ფასის შემცირებამ შეასუსტა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკები და კიდევ უფრო შეამცირა მოთხოვნა ქართულ ექსპორტზე ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა რუსეთი,

აზერბაიჯანი და ყაზახეთი. რუსეთსა და საბერძნეთში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ფულადი გზავნილების შემოდინება, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებდა ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებაზე. შედეგად, გაუფასურდა ლარის გაცვლითი კურსი, რამაც 2015 წელს მაკორექტირებელი ეფექტი იქონია ერთი მხრივ, იმპორტის შემცირებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ტურისტული შემოსავლების ზრდასა და საქონლის ექსპორტის უფრო ნაკლებად შემცირებაზე აისახა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს, 11.5 პროცენტით გაიზარდა საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა (730.3 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი) და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.7 პროცენტი შეადგინა. ასევე გაზრდილია 2018 წელს საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებული საქონლის მოცულობა (1 677.1 მლნ. აშშდოლარის საქონელი), რაც 41.6 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 49.9 პროცენტს შეადგენს (ნახაზი #1.2.2). რაც შეეხება 2018 წლის უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებს, ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტის 72 პროცენტი შეადგინა და უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი (502.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (437.3 მლნ. აშშ დოლარი) და სომხეთი (284.9 მლნ. აშშ დოლარი) (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018).

ნახაზი 1.2.2:




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/bop/saqonlit%20sagareo%20vachroba%20saqartveloshi%2021.01.2019%20\(geo\).pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/bop/saqonlit%20sagareo%20vachroba%20saqartveloshi%2021.01.2019%20(geo).pdf), გვ. 1-6

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფ “GET“-ის პუბლიკაციაში (კრამონ-ტაუბადელი, 2015) მიმოხილულია უარყოფითი სავაჭრო ბალანსის მიზეზები და გაკეთებულია დასკვნა, რომ დეფიციტს უფრო განაპირობებს იმპორტის ზრდა, ვიდრე ექსპორტის შემცირება, ხოლო საგარეო ვაჭრობასა და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების მოთხოვნაზე გავლენას ახდენს ვალუტის რეალური და არა ნომინალური გაცვლითი კურსი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისა და უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ოპტიმიზაციისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ვაჭრობის დაფინანსების საკითხებს და შესაბამისად, საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში ფუნქციონირებდა 19 კომერციული ბანკი (საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2015). თუმცა 2017 წელს, მას შემდეგ, რაც ქართული საბანკო სექტორისთვის არასახარბიელო ფაქტი – ფრანგული “სოსიეტე ჟენერალის” გასვლა მოხდა ქართული ბაზრიდან და თიბისი ბანკმა ბანკ “რესპუბლიკის” საკონტროლო პაკეტი შეიძინა, ბაზარზე ჯამში 16 კომერციული ბანკი დარჩა (ხიმშიაშვილი, 2016).

2017 წლის ბოლოს კომერციული საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელმა 22.3 მილიარდი ლარი შეადგინა. 2016 წლისგან განსხვავებით 2017 წელი დაკრედიტების აქტივობის კუთხით გაუმჯობესებული იყო და წლიურმა ზრდამ 19.2 პროცენტს მიაღწია, თუმცა 2015 წლის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელის მოცულობას მაინც ჩამორჩებოდა (ნახაზი 1.2.3).


ნახაზი 1.2.3: მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2018/annual2017final.pdf>

მნიშვნელოვნადაა გაზრდილი კომერციული ბანკების მიერ იურიდიული პირებისთვის (როგორც მსხვილი კლიენტებისთვის ასევე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის) გაცემული სესხები 2016 წლის შემდგომ პერიოდში. 2017 წლის მდგომარეობით აღნიშნული სესხების ზრდამ მსხვილი კომპანიებისთვის 31%, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების შემთხვევაში 22% შეადგინა ეროვნულ ვალუტაში (ნახაზი 1.2.4).


ნახაზი 1.2.4: კომერციული ბანკების მიერ იურიდიული პირებისთვის გაცემული სესხები (ეროვნული ვალუტით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წელს უცხოური ვალუტით გაცემული სესხების შემთხვევაშიც ასევე შეინიშნებოდა ზრდა, თუმცა არა ისეთი მასშტაბის, როგორც ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებში. ზრდის მაჩვენებელმა მსხვილ კლიენტებზე გაცემულ ბიზნეს სესხებში 10%, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებში 11% შეადგინა. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით აღნიშნული სესხების მაჩვენებლებს ჯერ კიდევ არ მიუღწევია გასული წლის შედეგისათვის (ნახაზი: 1.2.5). სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები მნიშვნელოვნად ჭარბობს ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებს, რაც ცალსახად მიუთითებს კომპანიებისათვის სავალუტო რისკის არსებობაზე არა მხოლოდ სავაჭრო ტრანზაქციების, არამედ სასესხო ვალდებულებების კუთხითაც, რომლის დასაზღვევად მიზანშეწონილია გამოიყენონ სავალუტო რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტები.

ნახაზი 1.2.5: კომერციული ბანკების მიერ იურიდიული პირებისთვის გაცემული სესხები (უცხოური ვალუტით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთების მდგომარეობას ბოლო 5 წლის განმავლობაში, კორპორატიულ სესხებზე არსებული საპროცენტო განაკვეთები კლებადი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების საპროცენტო განაკვეთი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით მცირედით გაიზარდა (ნახაზი: 1.2.6). აღნიშნული ცვლილების მიზეზად ეროვნული ბანკი ლარის საპროცენტო განაკვეთების მცირედი მატებას, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილის ზრდას და უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წილის შემცირებას ასახელებს (საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2017).

ნახაზი 1.2.6: სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების სტატისტიკური მონაცემები მრავალმხრივ ჭრილშია წარმოდგენილი და საინტერესო მასალაა ანალიზისა და გარკვეული დასკვნების გაკეთებისათვის, თუმცა ვაჭრობის დაფინანსების (trade finance) პროდუქტების სტრუქტურისა და მოცულობის შესახებ დღესდღეობით არ არსებობს არანაირი სტატისტიკა, რაც ცალსახად ხელისშემშლელი და დამაბრკოლებელი ფაქტორია ამ მიმართულებაში არსებული მიღწევების, ტრენდების, ტენდეციებისა და პრობლემატიკის ანალიზისათვის. ამ ეტაპზე მხოლოდ კომერციული ბანკების ცალკეულ ვებ-გვერდებიდან არის შესაძლებელი გარკვეული ინფორმაციის მოძიება ვაჭრობის დაფინანსების კუთხით მათ მიერ შემოთავაზებული პროდუქტების შესახებ და ცალსახაა, რომ ამ სფეროში წარმოდგენილი ძირითადი ფორმატის პროდუქტებს ქართული ბანკები ნამდვილად სთავაზობენ მომხმარებლებს. მათ შორისაა, როგორც დოკუმენტურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება: ადგილობრივი და საერთაშორისო საბანკო გარანტიები, დოკუმენტური აკრედიტივი, ფაქტორინგი, დოკუმენტური ინკასო, ასევე საშუამავლო სავაჭრო მომსახურება: სავალუტო კონტრაქტები, ფიუჩერსები, ოპციონები და ა.შ. რათქმაუნდა, კომერციული ბანკების ვებ-გვერდები მხოლოდ შემოთავაზებული პროდუქტების შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას, თუმცა წლების განმავლობაში ვაჭრობის დაფინანსების სექტორის შესახებ რაოდენობრივ და


მოცულობით სტატისტიკას, პროდუქტების ჭრილში ჩაშლილ მონაცემებს ამ ეტაპზე არ ითხოვს ეროვნული ბანკი. შესაბამისად, კომერციული ბანკები მხოლოდ გარეგანსურ ანგარიშზე აღრიცხავენ ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებს, რაც თავისთავად დიდ გაურკვევლობას იწვევს, რადგან გარეგანსურ ანგარიშზე სხვა მრავალი საკითხი აღრიცხება და ძალზედ რთულია აქედან რაიმე კონკრეტული მონაცემების მოძიება ვაჭრობის დაფინანსების ჯამური მოცულობის შესახებ. კომერციული ბანკები თავისთავად ფლობენ ამ ინფორმაციას, თუმცა იგი არ არის საჯარო და შეუძლებელია მათი განზოგადება ქვეყნის მასშტაბით ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ მსჯელობისას. არც ამ სფეროში არსებული საკითხებია საჯარო სივრცეში გამოტანილი: რამდენად მარტივი, მოქნილი და კლიენტზე მორგებული დაფინანსების პროცესებისა და მომსახურების მიწოდებაა შესაძლებელი საქართველოში, არსებობს თუ არა პროცესების გამარტივებისა და “დიჯიტალიზაციის” გაუმჯობესების გზები და ა.შ.

მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა, ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის დაფინანსების პროდუქტების აღრიცხვა სამწუხაროდ სტატისტიკური საქმიანობის პრიორიტეტულ სფეროთა კატეგორიაში ჯერ კიდევ არ ფიგურირებს. თუმცა, ამგვარი სტატისტიკა ერთნაირად სჭირდება როგორც მცირე ბიზნესს, რათა შეძლოს სწორი პრიორიტეტების განსაზღვრა თავის საქმიანობაში, ასევე ფინანსურ შუამავლებს, რათა შეძლონ ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზება ბიზნესისათვის და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს, რათა უკეთ დაინახონ ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში (ასლამაზიშვილი, 2015).

ბოლო პერიოდში, ფინანსებზე წვდომისა და ფინანსური სიჯანსაღის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუმენტის შექმნის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის (სებსტატი) სივრცეში მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების შესწავლის დაწყება, თუმცა მხოლოდ სესხების მიმართულებით: საქმიანობის სახეების მიხედვით, დენომინაციის ვალუტების მიხედვით, სესხის უზრუნველყოფის სახეების მიხედვით, სესხის პროცენტის სიდიდისა და სახეობის მიხედვით და სასესხო ვალდებულების კატეგორიების მიხედვით.

სამწუხაროდ, საქართველოში ფაქტიურად არ ტარდება კვლევები საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის საკითხებთან დაკავშირებით. “ამ მხრივ იშვიათი და მეტად საინტერესო წყაროა ევროკომისიისა და ევროპის ცენტრალური ბანკის ყოველწლიური კვლევა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” (ასლამაზიშვილი, 2015), რომლის მიხედვითაც 2014 წლის მდგომარეობით ბიზნესის ხელისშემშლელ ფაქტორებში მე-5 ადგილზე იმყოფება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა (ნახაზი #1.2.7), აღსანიშნავია, რომ 2015 წლის კვლევის მონაცემებში ხელისშემშლელ ფაქტორთა მოწინავე ადგილზე იყო მომხმარებელთა ინფორმირებულობის დაბალი დონე ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებთან დაკავშირებით. „Global Competitiveness Index 2015-2016“-ის მიხედვით, ბიზნესის წარმოების მეორე დიდი პრობლემა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა.

ნახაზი 1.2.7: ბიზნესის ხელისშემშლელი ფაქტორები



წყარო: European Commission, Enterprise policies, 2014

საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამები საქართველოში. საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის, საკრედიტო ხაზების, გრანტებისა და საინვესტიციო პროექტების დაფინანსების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ფრაგმენტულად მათსავე საიტებზეა ხელმისაწვდომი. სამწუხაროდ, ეკონომიკის სამინისტროდან ვერ მოხერხდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ

საქართველოში განხორციელებული პროექტების შესახებ კომპლექსური სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ აქტიურად ხორციელდება ვაჭრობის დაფინანსების პროგრამები, რომელთა მისიაა განვითარებად ქვეყნებში ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, მუდმივად აქტუალურია თემა: რა გავლენას ახდენს მათი მხარდაჭერა მსოფლიო ვაჭრობის განვითარებაზე და რა მასშტაბებზეა საუბარი. ამ კუთხით საკმაოდ საინტერესოა საერთაშორისო ვაჭრობის პალატის საბანკო კომისიის მიერ (ICC Global Trade and Finance Survey, 2016) 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები (ცხრილი #1.2.1).

ცხრილი #1.2.1: საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ვაჭრობის მხარდაჭერა, 2015

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	ამერიკის საინვესტიციო კორპორაცია	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	ისლამის საერთ. ვაჭრობის დაფინანსების კორპორაცია	აზიის განვითარების ბანკი
	International Finance Corporation - IFC	Inter-American Investment Corporation – IIC	EBRD	International Islamic Trade Finance Corporation - ITFC	Asian Development Bank - ADB
პროგრამის დასახელება	Global Trade Finance Program (GTFP)	Trade Finance Facilitation Program (TFFP)	Trade Facilitation Program (TFP)	ITFC Trade Finance Program (ITFP)	ADB Trade Finance Program
ქვეყნების რაოდენობა	90	21	27	57	20
დაწყების თარიღი	2005	2005	1999	2008	2004
ტრანზაქციის რაოდენობა	45 000	1 453	18 300	507	12 233 (11 026 – 2009/15 ww)
ტრანზაქციების მოცულობა	45 mlrd aSS dolari	6.20 mlrd aSS dolari	12.8 mlrd evro	31.529mlrd aSS dolari	23.1 mlrd aSS dolari (22.51 mlrd – 2009/15 ww)
დამადასტურებელი ბანკების რაოდენობა	1100	300+	800+	-	200+
ვებ-გვერდები	www.ifc.org/gtfp	www.iadb.org/tff	www.ebrd.com/tfp	www.itfc-idb.org	www.adb.org/tfp

წყარო: ICC Global Trade and Finance Survey, 2016.

[http://store.iccwbo.org/content/uploaded/pdf/ICC Global Trade and Finance Survey 2016.pdf](http://store.iccwbo.org/content/uploaded/pdf/ICC%20Global%20Trade%20and%20Finance%20Survey%202016.pdf)

2004 წელს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (International Finance Corporation - IFC) მიერ დაიგეგმა განვითარებად ბაზრებზე არსებული ინსტიტუტების დაკავშირება საერთაშორისო ბანკებთან ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით. ასეთი ამბიციური მიზნის მისაღწევად შეიქმნა მსოფლიო ვაჭრობის დაფინანსების პროგრამა (Global Trade Finance Program - GTFP) და საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას საერთაშორისო ვაჭრობის ლიკვიდურობის პროგრამის სახით (Global Trade Liquidity Program - GTLP), რომელიც ვაჭრობისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას ემსახურება. დაფინანსების მაჩვენებლები საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა: თუკი 2005 წელს IFC-მ ვაჭრობა დააფინანსა 300 მლნ აშშ დოლარით, 2015 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 23 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. GTFP დღესდღეობით ფარავს 290 საფინანსო ინსტიტუტს 90-მდე განვითარებად ქვეყანაში და 45000-მდე ტრანზაქციას. იგი ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის დროს წარმოქმნილი რისკების მინიმიზაციას და ასევე ამცირებს მომხმარებლის დანახარჯებს ფინანსური რესურსების ათვისების კუთხით (დაბალი საპროცენტო განაკვეთი). GTFP-ის ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა სავაჭრო მრჩევლის სერვისი (Trade Advisory Service), რომელიც მოიცავს კონკრეტულ ბაზრებსა და კლიენტებზე მორგებულ ტრენინგებსა და ვორქშოპებს. საგანმანათლებლო ნაწილი ხელს უწყობს ქვეყნებს შორის საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას, ვაჭრობის დაფინანსების საოპერაციო და ტექნიკური უნარების გაუმჯობესებას და რისკების მინიმიზაციის მიმართულებით ინოვაციური მიდგომების შემუშავებას. ევროზონის კრიზისის შემდეგ მწვავედ დადგა სასაქონლო ჯგუფების ჭრილში დაფინანსების აუცილებლობა და GTFP-ის მხრიდან პრიორიტეტი მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო და ენერჯის მომპოვებელი სექტორების დაფინანსებას აფრიკის, აღმოსავლეთ ევროპისა და შუა-აღმოსავლეთ ქვეყნების კონფლიქტურ ზონებში. ფაქტია, რომ ჯერ კიდევ მწვავე პრობლემაა ფინანსური რესურსების უკმარისობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ IFC აქტიურად მუშაობს, როგორც პარტნიორების გაფართოებაზე, ასევე განახლებადი ენერჯისა და კლიმატის დაცვის ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით (600 მლნ აშშ დოლარის გარანტია 2015 წელს).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონიტორინგის უახლესი ანგარიშის მიხედვით (WTO, 2016 b), დიდი ოცეულის ქვეყნებმა 2010 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში დამატებით მიიღეს


თავისუფალი ვაჭრობის შემზღუდავი არაერთი ახალი ნორმა, რაც ყველაზე დიდი მაჩვენებელია (ნახაზი #2.2.2) 2009 წლიდან წარმოებული მონიტორინგის ისტორიაში (WTO, 2016 c).

ნახაზი №2.2.2: თავისუფალი ვაჭრობის შემზღუდავი ნორმები



ბოლო პერიოდში თვალსაჩინო გახდა ტურბულენტობა ფინანსურ ბაზრებზე. არაერთმა საერთაშორისო ბანკმა მოგების მიღების მიზნით მნიშვნელოვნად გაზარდა დაკრედიტების მოცულობა, საკომისიოები და შეამცირა რისკებზე ზედამხედველობა. 2016 წლის დასაწყისიდან ფინანსური არასტაბილურობის მიუხედავად, დამწყები და განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებში (Emerging and Developing Economies – EMDE) მდგომარეობა გაუმჯობესდა, რაზეც გავლენა მოახდინა ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების დაბალ ნიშნულზე შენარჩუნების დაანონსებამ. საყურადღებოა 2010 წლიდან EMDE ქვეყნებში კერძო სექტორის დაკრედიტების სწრაფი ზრდა. ექსპორტიორების დაკრედიტების ზრდის მაჩვენებელმა მშპ-სთან მიმართებაში თითქმის მიაღწია ბოლო საკრედიტო ბუმის ნიშნულს, რამაც წარმოშვა ფინანსურ სტრესებზე რეაგირების აუცილებლობა (ნახაზი #2.2.3).

ნახაზი #2.2.3: კერძო სექტორის დაკრედიტება მცირე და განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებში (EMDEs)



წყარო: მსოფლიო ბანკი


უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას: მომსახურებით ვაჭრობის განვითარება, ელექტრონული კომერცია, კონკურენციის შესახებ პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და სხვა მარეგულირებელი ნორმების ოპტიმიზაცია, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ ბოლო პერიოდში რამოდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი ვაჭრობის დაფინანსებისკუთხით, რაც სავარაუდოდ დადებით ჭრილში შემოაბრუნებს მსოფლიო ვაჭრობის ინერტულმდგომარეობას: WTO-ს ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხება (Trade Facilitation Agreement (TFA)), საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ხელშეკრულება (Information Technology Agreement - ITA) და Trans-Pacific Partnership (TPP).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობასა და რისკების დივერსიფიკაცია-მინიმიზაციაზე, რაშიც უდაოდ დიდ როლს თამაშობენ საფინანსო ინსტიტუტები. ამ მხრივ საინტერესოა საერთაშორისო სავაჭრო პალატის უახლესი კვლევა ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებით (ICC Global Survey on Trade Finance, 2016) - 109 ქვეყნის 357 რესპოდენტი.

ექსპორტის დაფინანსების პროდუქტების დანაწილების მსოფლიო მაჩვენებლები 2016 წლის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება: აკრედიტივებმა შეადგინა ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების 38%, რაც შემცირებულია 2015 წელთან შედარებით

(45%) და დაკავშირებულია SWIFT-ით შესრულებული ტრანზაქციების შემცირებული მონაცემებით (-5%). გარანტიებმა 17,25% შეადგინა, რაც არ არის გასაკვირი, რადგან გარანტიები და „სტენდბაი“ აკრედიტივები საერთაშორისო ვაჭრობის არასტაბილურ გარემოში რისკების მინიმიზაციის ეფექტური საშუალებებია დალოგიკურია, რომ ვაჭრობის დაკრედიტების ძირითად ნაწილს წარმოადგენს (ნახაზი #2.2.4).

ნახაზი №2.2.4: ექსპორტის დაფინანსების პროდუქტები




წყარო: ICC Global Survey on Trade Finance 2016

ღია ანგარიშით ანგარიშსწორება და მიწოდების ჯაჭვის დაფინანსება 16-17%-ით განისაზღვრა, რაც შეიძლება აიხსნებოდეს იმით, რომ აღნიშნული კვლევის რესპოდენტები ძირითადად მიჯაჭვულნი არიან ვაჭრობის დაფინანსების ტრადიციულ მეთოდებზე. აღნიშნული მაჩვენებელი, ფაქტორინგის მაჩვენებლების მსგავსად 2015 წლის შემდეგ ზრდის ტენდენციით ხასიათდება (15%).

უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის დაფინანსების შემცირებულ მაჩვენებელს შესაძლოა პოზიტიური კუთხითაც შევხედოთ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ ბანკს შესწევს უნარი ეფექტურად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნები ვაჭრობის დაფინანსების კუთხით არსებულ საჭიროებებზე.

ამასთანავე, რესპოდენტთა 39% აქტიურად გამოხატავს ინტერესს მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების მიმართულებით, რაც საფუძველს გვამძლევს ვივარაუდოთ, რომ ბანკების მხრიდან გაზრდილია მუშაობა რისკების ჰეჯირებისათვის მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების პროდუქტების პოპულარიზაციაზე (ნახაზი #2.2.5).


ნახაზი №2.2.5: ვაჭრობის დაფინანსების მოცულობების ტრენდი 2014-2015



წყარო: ICC Global Survey on Trade Finance 2016

სამომხმარებლო ფასების დაცემამ ნეგატიური ეფექტი იქონია ბანკების მიერ ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემის მაჩვენებლებზე. ბაზრის დამკვირვებლებისა და ფინანსისტების მოლოდინების მიხედვით, სამომხმარებლო ფასებს (განსაკუთრებით ენერგომატარებლებზე) უნდა დაეკომპენსირებინა გლობალური მოთხოვნა, თუმცა ფასები დარჩა დაბალ ნიშნულზე, სამაგიეროდ გაიზარდა რისკები, ხოლო საკომისიოები არ იზრდება იმ პროპორციით, რომ დააკომპენსიროს საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული არასტაბილური გარემო. რესპოდენტთა დაახლოებით 51% თვლის, რომ საკომისიოების ზრდა არ განხორციელებულა. თუმცა 31% თვლის, რომ; მოსალოდნელია საკომისიოების ზრდა, ხოლო 18% შემცირებას ელოდება. (ნახაზი #2.2.6).

ნახაზი #2.2.6: მოლოდინი ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების საკომისიოებთან დაკავშირებით



წყარო: ICC Global Survey on Trade Finance 2016


კვლევის მიხედვით, ვალდებულებების გადაუხდელობის რისკი მკვეთრად გაზრდილი, რაზეც მეტყველებს ბერნის გაერთიანების მიერ 2015 წელს კრედიტის დაზღვევის ფარგლებში ანაზღაურებული საჩივრების 51%-ით გაზრდილი მოცულობა (3.25 მლრდ აშშ დოლარი) 2014 წელთან შედარებით (2.15 მლრდ აშშ დოლარი). ცხადია, რომ რესპოდენტთა 40%-ის მოლოდინიც აკრედიტივის დამოწმებაზე გაზრდილია, რადგან გლობალურ ბაზრებზე საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით სარისკო გარემო გახდა უფრო კომპლექსური: აქტუალურია უსაფრთხოების საკითხები, პოსტ-კრიზისული გამოწვევები, რაც ზრდის მოთხოვნას რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტებზე.

საბანკო გარანტიებისა და “სთენდბაი” აკრედიტივების ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს მათ დამოუკიდებლობასა და სანდოობაში, რაც გამოხატულია გადაუხდელობის რისკის საკუთარ თავზე აღებით. 2016 წლის კვლევის მიხედვით, ამ მიმართულებით არსებული ძირითადი სირთულეები მდგომარეობს შემდეგში: გაზრდილია საჩივრები და სასამართლოს მითითებები საბანკო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული თაღლითობების გამო. 14%-იანი დაგეგმილი კლების ნაცვლად, 2016 წელს რესპოდენტთა 21.5%-მა დააფიქსირა პრეტენზიების ზრდა, რაც განაპირობა საერთაშორისო ბაზრებზე არსებულმა მერყევმა გარემომ. 65.6% მიიჩნევს, რომ არ შეცვლილა პირველივე წარდგენისას უარყოფილი დოკუმენტების რაოდენობა, ხოლო 18.7%-ის აზრით, ეს მაჩვენებლები შემცირებულია. თუმცაღა რთულია

უარყოფის მიზეზების იდენტიფიცირება, რადგან ის დამოკიდებულია როგორც ბანკზე, ასევე წარდგენილი დოკუმენტური პაკეტის სისწორეზე (ნახაზი #2.2.7).

საინტერესოა, რა ძირითად სირთულეებთან არის დაკავშირებული ვაჭრობის დაფინანსების და კონკრეტულად დოკუმენტური ბიზნესის განვითარება და რა ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს ამ მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ბანკების 30%-მა შეცვალა საკრედიტო რისკების შეფასების კრიტერიუმები ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციებთან მიმართებაში და შედეგად, მათი 5% მიიჩნევს, რომ ძალიან გართულდა ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციების განხორციელება (trade finance transactions), 71%-ის აზრით ნაკლებად, მაგრამ მაინც გართულდა მდგომარეობა, ხოლო 24% ფიქრობს, რომ რისკების კრიტერიუმების ცვლილებამ საერთოდ არ იქონია გავლენა.


ნახაზი №2.2.7: გარანტიებთან დაკავშირებული პრეტენზიების, სასამართლო დავებისა და თაღლითობების ტრენდი



ვაჭრობის დაფინანსების ბიზნესის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად კვლავ AML/KYC საკითხების აქტუალურობა მიიჩნევა (90.3%), თუმცა ფაქტია, რომ კლიენტის შესახებ დეტალური ინფორმაციის ფლობა მნიშვნელოვნად ამცირებს საბანკო სექტორისთვის როგორც გადაუხდელობის, ასევე ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ რისკებს. მეორე და მესამე ადგილზეა გამცემი ბანკისა და ქვეყნის დაბალი


საკრედიტო რეიტინგები. დოლარის სუსტი ლიკვიდურობა 2015 წლის მდგომარეობით ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად იყო დასახელებული (44%), თუმცა 2016 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი შემცირებულია და განისაზღვრა 31.5%-ით, შედეგად ის ხელშემშლელ ფაქტორებს შორის ბოლო ადგილზეა (ნახაზი #2.2.8).

ნახაზი №2.2.8: ვაჭრობის დაფინანსების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები



თანამედროვე მსოფლიოში მეტად აქტუალურია პროცესების ოპტიმიზაცია, რაც მათი გაციფრულებით ე.წ. დიჯიტალიზაციით (digitalisation) მიიღწევა. ეს გამოწვევა ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებითაც დგას, თუმცა ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. გამოკითხულთა მხოლოდ 7.4% მიიჩნევს, რომ ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციების გაციფრულება აქტიურად მიმდინარეობს. 27.8%-ის აზრით, მცირე დოზით დაწყებულია ტრანზაქციების დიჯიტალიზაცია. 43.2% კი თვლის, რომ უმნიშვნელო ძვრები შეინიშნება ამ მიმართულებით, ხოლო 21.6% ფიქრობს, რომ ამ საკითხს არ ექცევა ყურადღება (ნახაზი #2.2.9).

ნახაზი #2.2.9: ბანკების მიერ ვაჭრობის დაფინანსების პროცესების გაციფრულების (digitalisation) ხარისხი




წყარო: ICC Global Survey on Trade Finance 2016

პროცესების “დიჯიტალიზაციის” მიმართულებით უახლესი მიღწევაა 2016 წელს 7 ევროპული ბანკის მიერ (Rabobank, Deutsche Bank, HSBC, KBC, Natixis, Société Générale and UniCredit) გაფორმებული მემორანდუმი სავაჭრო ტრანზაქციების საბანკო მომსახურების დისტანციური სერვისის შექმნასთან დაკავშირებით (Digital Trade Chain- DTC), რომელიც მობილური აპლიკაციით ერთმანეთთან აკავშირებს სავაჭრო ტრანზაქციებში ჩართულ ყველა მხარეს (მყიდველს, მყიდველის ბანკს, გამყიდველს, გამყიდველის ბანკს და ტრანსპორტიორ კომპანიას). აღნიშნული პროდუქტი ამარტივებს საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების მართვის პროცესს და ამცირებს იმ რისკებს, რისთვისაც დოკუმენტურ კრედიტს იყენებს მსოფლიო სავაჭრო ბიზნესი. ახალი პლატფორმა უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, რისკების მინიმიზაციას და დოკუმენტების გაფორმებასთან დაკავშირებული ზედმეტი ბიუროკრატიის გაუქმებას, რაც საუკეთესო საშუალებაა იმ კომპანიებისათვის, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ღია ანგარიშით ანგარიშსწორებას.


რაც შეეხება ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების პროცესუალურ ნაწილს, ამ მხრივ აქტიურად გამოიყენება SWIFT-ით შეტყობინების გაგზავნა, რაც ადასტურებს, რომ მყიდველი გამყიდველს გადაუხდის ზუსტ თანხას და დათმულ ვადებში. აკრედიტივისა და გარანტიების სვიფტი (SWIFT L/Cs) – ეს არის MT700, ხოლო MT400 გამოიყენება დოკუმენტური ინკასოს (documentary collection) შემთხვევაში. 2015 წელს SWIFT-ით განხორციელებული ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციები შემცირდა 5%-ით, რაც ბევრად მაღალია ვიდრე 2014 წლის მაჩვენებელი (1.79%). მათ შორის, დოკუმენტური ინკასოს შეტყობინებები, კატეგორია 4 შემცირდა 6.79%-ით, ხოლო კატეგორია 7, რომელიც მოიცავს შეტყობინებებსა აკრედიტივებისა

და გარანტიებისათვის, შემცირდა 4.49%-ით. ასევე აღსანიშნავია, რომ 2015 წელს MT700-ის მოცულობითი მაჩვენებლები თითქმის მიუახლოვდა 2009 წლის პოსტ-კრიზისულ მდგომარეობას (ნახაზი #2.2.10). თუკი შევხედავთ სტატისტიკას რეგიონების ჭრილში, MT700-ებით გაგზავნილი და მიღებული აკრედიტივების (L/C) მოცულობა ყველაზე მაღალია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. გაგზავნილი MT700 3 მილიონზე მეტია, ხოლო მიღებული ტრანზაქციები 5 მილიონს აღწევს. (ნახაზი #2.2.11).

ნახაზი №2.2.10: SWIFT ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებში



ნახაზი №2.2.11: გაგზავნილი და მიღებული აკრედიტივების (L/C) მოცულობა (2015)



ვაჭრობის შემზღუდავ ნორმებს სამრეწველო პროდუქციაზე. გახსნილმა ურთიერთობებმა თავის მხრივ განაპირობა CEEC ქვეყნების ექსპორტის ტრანექტორიის ცვლილება შრომატევადი პროდუქტებიდან ტექნოლოგიურტევად პროდუქტებისაკენ. სწორედ მაღალ ტექნოლოგიური პროდუქტის ექსპორტს ეკავა საკმაოდ დიდი წილი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპორტში ევროკავშირის მიმართულებით, რამაც საკმაოდ დროულად ამოავსო ევროზონასთან შედარებით არსებული ტექნოლოგიური შესაბამობა CEEC ქვეყნებში (Hornok, 2010). თუმცა, 2004 წლიდან ამ ქვეყნებისთვის ვაჭრობის შემაფერხებელ მიზეზად კვლავ არასატარიფო ბარიერები (მაგ: ტექნიკური სტანდარტები) რჩებოდა (Marques, 2011). გასათვალისწინებელია, რომ CEEC ქვეყნები პარალელურად შეუერთდნენ ევროპის მონეტარული გაერთიანებას (European Monetary Union - EMU) და მიიღეს ერთიანი ვალუტა ევრო. 13-დან 7 ქვეყანა აღნიშნულ გაერთიანებაში შევიდა 2008-2015 წლებში, ხოლო დანარჩენები ჯერ კიდევ მოლაპარაკებების ეტაპზე არიან ევროზონის ქვეყნებთან. შედეგად, აღნიშნული ქვეყნებისათვის საერთოდ აღარ არსებობდა ადგილობრივი სავალუტო კურსების ცვალებადობის რისკი, სტაბილურმა ვალუტამ (ევრომ) კი ხელი შეუწყო მათი ექსპორტის ზრდას როგორც ევროკავშირში, ასევე ევროზონის მიღმა მყოფ ქვეყნებშიც (Cieslik, Michalek, & Mycielski, 2012).

ეკონომიკურ ლიტერატურაში რამდენიმე მიზეზით არის ახსნილი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპორტის ინტენსიური ზრდის საკითხი. ერთნი თვლიან, რომ ფინანსური ბაზრების გახსნამ, ერთიანი ვალუტაზე გადასვლამ და საფონდო ბაზრებისა და საბანკო სექტორის განვითარებამ ხელი შეუწყო ექსპორტის სტაბილურ წინსვლას CEEC ქვეყნებში (Beck, 2003). მანოვას აზრით (Manova, 2013), განვითარებული საბანკო სექტორი უზრუნველყოფს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და კომფორტულ მომსახურებას საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული კომპანიებისათვის. საბანკო სექტორის მასიური ლიბერალიზაცია კი თავის მხრივ განაპირობებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოსვლას ამ ბიზნესში. შედეგად, მსხვილი უცხოური ბანკების გამოჩენა კიდევ უფრო ინტენსიურად დააკრედიტებს ექსპორტიორ კომპანიებს და ხელს შეუწყოფს ექსპორტის ზრდას. (Marques & Metcalf (2005), Martfn-Montaner, & Rfos (2002)), ექსპორტის დივერსიფიცირებასა და

წარმატებას ხსნიან განათლებული და მაღალ განვითარებული შრომითი რესურსებით. ევროკავშირიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი ხელს უწყობს ადამიანური რესურსების განვითარებას, განვითარებული შრომითი რესურსები კი თავის მხრივ ახდენს ეფექტურ ლავირება კრიზისულ სიტუაციებში. ამ ტიპის ადამიანური კაპიტალის მქონე ქვეყანა საკმაოდ დროულად კონცენტრირდება წარმოქმნილ პრობლემაზე და ახერხებს მოქნილად ჩაანაცვლოს ერთი პროდუქტი მეორით, რაც საშუალებას აძლევს მაქსიმალურად მოკლე დროში მოახერხოს ექსპორტის დივერსიფიკაცია (Agosin, Alvarez, Bravo-Ortega, 2012 და Bastos, Cabral, 2007).

ზემოხსენებული ლიტერატურის საპირისპიროდ, დონი ტენგი (Tang, 2015) ემპირიული კვლევის საფუძველზე აკეთებს რადიკალურად განსხვავებულ დასკვნას – საფონდო ბაზრებისა და საბანკო სექტორის განვითარებამ პოზიტიურზე მეტად ნეგატიური გავლენა იქონია ექსპორტის განვითარებაზე CEEC ქვეყნებში, რაც შეიძლება აიხსნას გარკვეული მიზეზებით. კერძოდ, საფონდო ბაზრის პოზიტიური ეფექტის სიმცირე გამოიწვია ევროს ვალუტის შემოღების დაყოვნებამ ყველა ქვეყანაში, შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს საფონდო ბაზრების მხოლოდ ნაწილობრივი ინტეგრაცია მოხდა ევროზონის საფონდო ბაზართან. ინტეგრაციის საკითხი კი 2008-2012 წლებში მნიშვნელოვნად შეაფერხა მსოფლიოს საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა.

გარდა ამისა, არც საბანკო კრედიტების დიდმა ნაკადმა იქონია დადებითი ეფექტი CEEC ქვეყნების ექსპორტის განვითარების შედეგებზე, თუმცა ეს მოხდა ევროკავშირში გაწევრიანებამდე და პოზიტიურთან ერთად ნეგატიური ეფექტიც თან ახლდა, რადგან ევროპული ბანკები ძირითადად მაინც CEEC ქვეყნებში არსებულ ევროზონის კომპანიებს აფინანსებდნენ და თანაბარზომიერად არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივის კომპანიების ინტერესები, რაც მათთვის ფინანსური რესურსების სიმცირეში აისახებოდა. და მესამე, უნარების, კომპეტენციების, განათლებული შრომითი რესურსების ბენეფიტები CEEC ქვეყნებმა ბევრად ადრე მიიღეს ევროპიდან, ვიდრე ევროკავშირში გაწევრიანდებოდნენ, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ გაწევრიანებამდე მოხდა სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება მათ

შორის. შესაბამისად, ამ უპირატესობებით მიღებული დადებითი ეფექტი არ შეიძლება მიეწეროს ევროკავშირში შესვლის შემდგომ მიღებულ შედეგებს.

“იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს მოლოდინებზე ევროკავშირთან დაახლოებულ სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებით. ცხადია, ბევრი საინტერესო პროგრამა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ არსებული ხელშეკრულებები ფუნქციონირებს ჩვენს ქვეყანაში, არის დიდი მოლოდინები ამ მიმართულებით, თუმცა ჯერ კიდევ ადრეა საუბარი ევროკავშირში გაწევრიანებაზე და ერთიანი ვალუტის – ევროს შემოღებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, CEEC ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს ჯერ კიდევ დიდი ხნის მანძილზე ექნება ეროვნული ვალუტის რყევებისგან გამოწვეული რისკი – როგორც საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი” (ბურდული, 2015). იქიდან გამომდინარე, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა წარმოადგენს ერთგვარ გზას ევროკავშირამდე, “გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ წევრობის ნაცვლად საქართველოს თვითმიზანს ევროკავშირთან დაახლოება უნდა წარმოადგენდეს, როგორც ჭეშმარიტ ევროპულ სახელმწიფოდ და ევროპული ღირებულებების მქონე ქვეყნად ჩამოყალიბების საშუალება” (ბურდული, 2015), რადგან გაწევრიანებამდეც შესაძლებელია მთელი რიგი უპირატესობებისა და შესაძლებლობების მიღება, ვაჭრობის დაფინანსებისა და ზოგადად საერთაშორისო ვაჭრობაში პოზიციების გაძლიერების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული საკითხის გარდა, მსოფლიოს ვაჭრობის დაფინანსების მაჩვენებლების ანალიზისას გამოიკვეთა რამოდენიმე საყურადღებო თემა: კრიზისის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ფინანსურ ბაზრებს ახასიათებს ტურბულენტობა და არასტაბილური საფინანსო გარემო დიდ დაბრკოლებებს ქმნის ვაჭრობის დაფინანსებისა და რისკების ჰეჯირების მიმართულებით, რადგან თავად ამ მომსახურების მიმწოდებელმა კომპანიებმა შესაძლოა მხოლოდ გაზრდილი საკომისიოების გამო აიღონ საკუთარ თავზე მნიშვნელოვნად მომატებული რისკები. გარდა ამისა, ის ხიბლი, რაც გარანტიებსა და “სთენდბაი” აკრედიტივებს გააჩნდა და განაპირობებდა მომხმარებლის ნდობას, გარკვეულწილად შეილახა, რადგან გაიზარდა მასთან დაკავშირებული საჩივრების რაოდენობა, რასაც ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

თავი 3. საქართველოში ექსპორტის დაფინანსების კვლევის შედეგები

3.1. საქართველოს ექსპორტის დაფინანსების კვლევის მეთოდოლოგია და ძირითადი მიმართულებები

ვაჭრობის დაფინანსებისა და ფინანსური რესურსების ხელმოსაწვდომობის საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე მუდმივად საინტერესოა კვლევებზე დაყრდნობით აღნიშნულ თემებზე დინამიკაში დაკვირვება, რადგან კვლევებიდან მიღებული სისტემატიური ხასიათის მონაცემები ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო და გადაწყვეტილებების მისაღებად სწორი მიმართულების მიმცემი მასალაა.

საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საქმეში ფინანსური რესურსების ხელმოსაწვდომობას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში, ფაქტობრივად კონსესუსია მიღწეული ვაჭრობის დაფინანსების უდავო როლთან დაკავშირებით და ამ თემის ირგვლივ არაერთ არგუმენტს ვხდებით სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელთაგან საინტერესოა აბეგლენ და ჰოუტი (1978), ბეკი (2002), ნკინი (2005), ჰოლენსენი (2007), ეუბოინი (2009), ეკ, ენგემანი და შნიზერი (2015) და სხვა (Abegglen & Hout (1978), Beck (2002), Nkini (2005), Hollensen (2007), Auboin, M. (2009), Eck, Engemann & Schnitzer (2015)). ქვემოთ მოცემულ ნაშრომებში ავტორები საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული კვლევების მეთოდოლოგიურ ასპექტებზე მიუთითებენ: პაპაჩაშვილი (2012), პაპაჩაშვილი (2017), პაპაჩაშვილი, ჟელევი და ჯამაგიძე (2017) და სეფაშვილი (2015).

ასევე საინტერესოა, რომ ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (DCFTA) საქართველოს მის წევრ სახელმწიფოებთან კომერციული ურთიერთობების ისეთ პირობებს სთავაზობს, როგორც ეს ადგილობრივი კომპანიებისთვისაა შესაძლებელი. გარდა ამისა, საქართველოს საკმაოდ მრავალმხრივი ფინანსური მხარდაჭერა აქვს ევროკავშირის მხრიდან როგორც ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, ასევე DCFTA-ით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელების ხელშესაწყობად. მაგალითად, 2017-

2020 წლების ახალი მაკრო-ფინანსური დახმარების ფარგლებში ევროპარლამენტი საქართველოს 45 მილიონ ევროს გადასცემს. გასათვალისწინებელია, რომ ეს დახმარება რიგით მესამეა 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს EU4Business, EIB და IF პროგრედტ ჰოლდინგის მეშვეობით განხორციელებული მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების 100 მილიონი ევროს მოცულობის პროექტი საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში და EBRD-ის საკრედიტო ხაზი ქართველი მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის (<http://www.dcfta.gov.ge/ge/international-support/255>).

ევროკავშირის ფინანსური და სხვა სახის ხელშეწყობის პროგრამების მიუხედავად, ეკონომიკის ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ და სტატისტიკაც მიუთითებს, რომ ქართულ ბიზნეს სექტორში არ ფიქსირდება განსაკუთრებული მისწრაფება ამ შეთავაზებების ათვისებისაკენ. ამის საფუძველი შესაძლოა იყოს რამდენიმე რამ:

- DCFTA-ს შესაძლებლობებთან დაკავშირებით მეწარმეების არაინფორმირებულობა
- რეგულაციების სირთულე, რომელსაც ევროკავშირი უყენებს საქართველოს და რომლის დაძლევის გარეშეც შეუძლებელია ევროკავშირის ბაზარზე შესვლა ქართული კომპანიებისთვის (მაგალითად, არამართო საექსპორტოდ წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, არამედ ანალოგიური სტანდარტით ადგილობრივი ბაზრისთვის შესაბამისი პროდუქციის წარმოება).
- შეზღუდული წვდომა გრძელვადიან ფინანსებზე ზოგიერთ სეგმენტში
- დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი და სავალუტო რყევები, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც საბანკო სექტორზე, ასევე მსესხებლებსა და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებზე (<http://eugeorgia.info/ka/article/679>)

საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ბაზარზე ისტორიულად ძირითად მიმწოდებლად გვევლინებიან ადგილობრივი კომერციული ბანკები, ცალკეულ ქვეყნებში ექსპორტ-იმპორტის სააგენტოები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, თუმცა თანამედროვე მსოფლიოში ასევე გავრცელდა დაფინანსების ალტერნატიული წყაროებიც. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სტატისტიკა ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით

არც ისე მწირია, მუდმივად აქტუალურია ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის პრობლემატიკა, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისათვის. ვაჭრობის დაფინანსების კუთხით არსებულ ხარვეზებსა და ეფექტურობასთან დაკავშირებით არსებული კვლევები საინტერესო წყაროა არამარტო ტრენდებისა და ტენდენციების გამოვლენისთვის, არამედ ამ სფეროში არსებული გამოწვევების შესაფასებლად და კვლევის დროს დაფიქსირებული პრობლემატიკის პრევენციისათვის.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს ვაჭრობის დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების პერმანენტული კვლევის გამოცდილება, შესაბამისად საქართველოს შესახებ ამ ტიპის მონაცემების მოძიება შესაძლებელია მსოფლიო ბანკის ეგიდით 3-4 წელიწადში ერთხელ ჩატარებული საწარმოთა კვლევის შედეგებიდან (World Bank Group, Enterprise Surveys, 2013). ასევე იშვიათი და მეტად საინტერესო წყაროა ევროკომისიისა და ევროპის ცენტრალური ბანკის ყოველწლიური კვლევა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ასლამაზიშვილი, 2015), რომლის მიხედვითაც 2014 წლის მდგომარეობით ბიზნესის ხელისშემშლელ ფაქტორებში მე-5 ადგილზე იმყოფება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა (European Commission, Enterprise policies, 2014).

საქართველოში ვაჭრობის დაფინანსების მდგომარეობის შესახებ არსებული კვლევების მწირი რესურსების გაცნობის შემდგომ ექსპორტის დაფინანსების პრობლემატიკის კვლევისათვის შევიმუშავეთ მეთოდოლოგია – რაოდენობრივი, თვისებრივი და სტატისტიკური კვლევის მეთოდების ერთობლიობა, რომელიც ვფიქრობთ, რომ შეძლებისდაგვარად ამომწურავ ინფორმაციას მოგვცემს და მრავალმხრივ ჭრილში წარმოაჩენს საკითხის ირგვლივ არსებულ გამოწვევებს.

საქართველოს უმსხვილეს ექსპორტიორ კომპანიებთან რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად შემუშავდა კითხვარი. კვლევის თეორიულ საფუძველად გამოყენებული იქნა ვაჭრობის დაფინანსების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, სტატიებისა და ელექტრონული რესურსების ანალიზი. კითხვარის ბაზად კი აღებულია საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით განხორციელებული

კვლევები, ანგარიშები და აღნიშნულ თემატიკაზე არსებული კითხვარების ნიმუშები: აზიის განვითარების ბანკის კვლევა ვაჭრობის დაფინანსების შესახებ (Asian Development Bank, 2013), ევროკომისიისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კვლევის დროს გამოყენებული კითხვარი (European Commission and European Central Bank, 2009 & 2016-2017), ევროპის ცენტრალური ბანკის მეთოფოლოგიური გზამკვლევი ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კვლევასთან დაკავშირებით (European Central Bank, 2017), ევროპის საინვესტიციო ბანკის მიმოხილვა ვაჭრობის დაფინანსების არსებული სერვისების შესახებ (European Investment bank, FTF/REG/02/2006), თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევების ფონდის ანალიზი – რა გავლენას ახდენს ფინანსური პრობლემები თურქეთში ექსპორტის შემცირებაზე (TEPAV, 2010), ვაჭრობის საერთაშორისო პალატის ყოველწლიური კვლევა ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებით (ICC Global Trade and Finance Survey, 2016), მსოფლიო ბანკის კვლევა ვაჭრობის დაფინანსების შესახებ 14 განვითარებად ქვეყანაში 2008 წლის სექტემბრის შემდგომ პერიოდში (World Bank, 2009). ექსპორტის ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობების შეფასება საქართველოში, ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა (ვაჭრობის დაფინანსება და მცირე და საშუალო ბიზნესი: ხარვეზების გამოვლენა (WTO, Trade finance and SMEs: Bridging the gaps in provision) და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ფინანსების და ვაჭრობის ბანკირთა ასოციაციის მიერ ჩატარებული ინტერნეტ კვლევა ვაჭრობის დაფინანსების არსებული გარემოს შესაფასებლად (IMF-BAFT, 2009).

წყაროების ანალიზის საფუძველზე ნათლად იკვეთება, რომ საკვლევი ობიექტების დიდი რაოდენობის მიუხედავად, რეგიონულ კრილში, განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ვაჭრობის დაფინანსების მდგომარეობის შესახებ განხორციელებულ კვლევებში საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ძირითადად გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. საბოლოო საველე სამუშაოებამდე ინსტრუმენტის საპილოტე კვლევამ გამოკვეთა როგორც ტექნიკური, ასევე კითხვარის სირთულესთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდა საველე

სამუშაოების დაწყებამდე. აღსანიშნავია, რომ კითხვარი შეიცავდა სენსიტიური კითხვების ბლოკს. ასეთი ტიპის კითხვებზე პასუხები ჩანაცვლდა ზოგადი, დიაპაზონური მონაცემებით (მაგალითად, კონკრეტული ტიპის ფინანსური ინფორმაცია ექსპორტის ზრდისა და საკრედიტო ვალდებულებების მონაცემების შესახებ) და ასევე ამოღებული იქნა კომპანიის დასახელების ველი, რადგან თავიდან აგვერიდებინა რესპოდენტების მხრიდან ინფორმაციის მოწოდებაზე უარის თქმის მოტივები.

კითხვარის მაკორექტირებელი და პრევენციული ხასიათის ქმედებების მიუხედავად, მაინც დაბალია გამოკითხულ რესპოდენტთა მაჩვენებელი (საშუალოდ 10 კომპანიიდან – 2 დათანხმება ინტერვიუზე). სირთულე განპირობებულია ისეთი ფაქტორით, როგორცაა, რესპოდენტების რთული მიზნობრივი სეგმენტი – ზედა დონის მენეჯმენტის წარმომადგენლები: მთავარი ბუღალტერი, ფინანსური და/ან კომერციული დეპარტამენტის თანამშრომლები და აღმასრულებელი დირექტორი, რომლებიც ფლობენ კომპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით ზუსტ ინფორმაციას. შესაბამისად, რთულია ამ კატეგორიის რესპოდენტების დათანხმება ინტერვიუზე.

უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის დაიგეგმა ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუები ადგილობრივი კომერციული ბანკებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო პროგრამების წარმომადგენლებთან, თუმცა პირველად მოკვლევის შედეგად დაფიქსირდა სირთულე სახელმწიფო სტრუქტურებიდან სტატისტიკური ტიპის ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით. პროგრამის “აწარმოე საქართველოში” ინტერნეტ რესურსების მოძიების შედეგად გამოვლინდა მხოლოდ მარკეტინგული კუთხით წარმოჩენილი ანგარიშები პროგრამის მიერ გაცემული დაფინანსების შესახებ, ხოლო სიღრმისეული ანალიზი და სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რა მოცულობით თანხებია გაცემული კონკრეტულად ექსპორტის დასაფინანსებლად და შედეგად რა ოდენობითაა გაზრდილი დაფინანსებული კომპანიების საექსპორტო ბრუნვა – არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. მხოლოდ ფრაგმენტულად არის საინფორმაციო პორტალების სიახლეებში გაჟღერებული ამა თუ იმ დაფინანსებული პროექტის კრახის შესახებ (მაგალითად აწარმოე საქართველოს ფარგლებში

დაფინანსებული ერთ-ერთი საწარმოს ქონება აუქციონზე იყიდება ერთ-ერთ ბანკში ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო). ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამა “აწარმოე საქართველოში” ძირითადად ქართული წარმოების განვითარებაზეა ორიენტირებული და არ იკითხება მისი განსაკუთრებული აქცენტი ექსპორტის ხელშეწყობაზე, შესაბამისად კარგი იქნება, თუკი გააძლიერებს ამ ნაწილს.

პრობლემები დაფიქსირდა ექსპორტზე მოქმედი ფაქტორების რეგრესიული ანალიზისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების დროსაც. მიუხედავად საკითხის აქტუალურობისა, ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის დაფინანსების პროდუქტების აღრიცხვა სამწუხაროდ სტატისტიკური საქმიანობის პრიორიტეტულ სფეროთა კატეგორიაში ჯერ კიდევ არ ფიგურირებს. თუმცა, ამგვარი სტატისტიკა ერთნაირად სჭირდება როგორც მცირე ბიზნესს, რათა შეძლოს სწორი პრიორიტეტების განსაზღვრა თავის საქმიანობაში, ასევე ფინანსურ შუამავლებს, რათა შეძლონ ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზება ბიზნესისათვის, და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს, რათა უკეთ დაინახონ ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში (ასლამაზიშვილი, 2015). ბოლო პერიოდში, ფინანსებზე წვდომისა და ფინანსური სიჯანსაღის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუმენტის შექმნის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის - სესტატის სივრცეში დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების შესწავლა, თუმცა მხოლოდ სესხების მიმართულებით: საქმიანობის სახეების მიხედვით, დენომინაციის ვალუტების მიხედვით, სესხის უზრუნველყოფის სახეების მიხედვით, სესხის პროცენტის სიდიდისა და სახეობის მიხედვით და სასესხო ვალდებულების კატეგორიების მიხედვით. ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანიის საქმიანობის კრილში (მაგალითად, ექსპორტიორი კომპანიები) არ ხდება გაცემული დაფინანსების აღრიცხვა, რომელიც საინტერესო სურათს მოგვცემდა ამავე კომპანიების მიერ დაფინანსების შედეგად გაზრდილი სავაჭრო ბრუნვის გაანალიზებისას და შესაძლებელი იქნებოდა გაცემული დაფინანსების ეფექტიანობის დათვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ვაჭრობის დაფინანსების (trade finance) პროდუქტების სტრუქტურისა და მოცულობის შესახებ დღესდღეობით არ არის ხელმისაწვდომი სტატისტიკა, რაც ცალსახად ხელისშემშლელი და დამაბრკოლებელი ფაქტორია ამ მიმართულებაში არსებული მიღწევების, ტრენდების, ტენდეციებისა და პრობლემატიკის ანალიზისათვის. ამ ეტაპზე მხოლოდ კომერციული ბანკების ცალკეულ ვებ-გვერდებიდან არის შესაძლებელი გარკვეული ინფორმაციის მოძიება ვაჭრობის დაფინანსების კუთხით მათ მიერ შემოთავაზებული პროდუქტების შესახებ და ცალსახაა, რომ ამ სფეროში წარმოდგენილი ძირითადი ფორმატის პროდუქტებს ქართული ბანკები ნამდვილად სთავაზობენ მომხმარებლებს. მათ შორისაა, როგორც დოკუმენტურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურება: ადგილობრივი და საერთაშორისო საბანკო გარანტიები, დოკუმენტური აკრედიტივი, ფაქტორინგი, დოკუმენტური ინკასო, ასევე საშუამავლო სავაჭრო მომსახურება: სავალუტო კონტრაქტები, ფიუჩერსები, ოპციონები და ა.შ. რათქმუნდა, კომერციული ბანკების ვებ-გვერდები მხოლოდ შემოთავაზებული პროდუქტების შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას, თუმცა წლების განმავლობაში ვაჭრობის დაფინანსების სექტორის შესახებ რაოდენობრივ და მოცულობით სტატისტიკას, პროდუქტების ჭრილში ჩაშლილი მონაცემები ამ ეტაპზე არიკითხება კომერციული ბანკების ანგარიშებში და არც ეროვნული ბანკის საინფორმაციო ბაზებშია ასახული. კომერციული ბანკები მხოლოდ გარეგანსურ ანგარიშზე აღრიცხავენ ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებს, რაც თავისთავად დიდ გაურკვევლობას იწვევს, რადგან გარეგანსურ ანგარიშზე სხვა მრავალი საკითხი აღრიცხება და ძალზედ რთულია აქედან რაიმე კონკრეტული მონაცემების მოძიება ვაჭრობის დაფინანსების ცალკეული პროდუქტების ჭრილში. კომერციული ბანკები თავისთავად ფლობენ ამ ინფორმაციას, თუმცა იგი არ არის საჯარო და შეუძლებელია მათი განზოგადება ქვეყნის მასშტაბით ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ მსჯელობისას.

3.2. საქართველოს ექსპორტის დაფინანსების სტატისტიკური ანალიზი

საგარეო ვაჭრობას განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, რადგან სავალუტო შემოდინების ერთ-ერთ ძირითად არხს სწორედ ექსპორტი წარმოადგენს. საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკური და საგარეო გეოპოლიტიკური ფაქტორები. ევროკავშირის, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, თურქეთისა და საერთოდ მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ყოველთვის საყურადღებოა ამ მხრივ არსებული მდგომარეობა. გასათვალისწინებელია, რომ 2014-2016 წლის ეკონომიკური ზრდის შენელების შემდეგ, 2017 წლიდან საქართველოს ეკონომიკამ დაიწყო გამოცოცხლება და წინასწარი მაჩვენებლებით, 2017 წლის ბოლოს 5%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება ძირითადად გამოწვეული იყო ექსპორტით. მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღებამ და პარტნიორ ქვეყნებში არსებულმა დადებითმა ტენდენციებმა პოზიტიური ასახვა ჰპოვა ექსპორტზე, მოხმარებასა და მთლიანად ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით საქონლის რეგისტრირებულმა ექსპორტმა (FOB) 2018 წლის წინასწარი მონაცემებით შეადგინა 3362.1 მლნ. აშშ. დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს (2735.5 მლნ. აშშ. დოლარი) 23%-ით აღემატება, თუმცა ასევე 14.9%-ითაა გაზრდილი საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF), რომელმაც 9122.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა და შედეგად უარყოფითი სავაჭრო ბალანსმა -5760.2 მლნ. აშშ დოლარიანი მაჩვენებლებით მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46.14% შეადგინა. რაც შეეხება ექსპორტის მონაცემებს რეექსპორტის გარეშე, დაფიქსირდა 10.97%-იანი ზრდა და 2297.1 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, თუმცა მაინც ჩამორჩება წინა წლის ზრდის მაჩვენებელს, რომელიც 24.5%-ს შეადგენდა (ცხრილი # 3.2.1).

ცხრილი # 3.2.1: საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2010-2018წწ
(მლნ აშშ. დოლარი)

	2010	2011;	2012;	2013;	2014	2015	2016	2017;	2018*;
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6913.3	9258.7	10433.0	10933.1	11462.9	9505.0	9407.7	10674.7	12484.4
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1677.3	2186.4	2376.6	2910.3	2861.0	2204.7	2112.9	2735.5	3362.1
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	5236.0	7072.3	8056.4	8022.7	8601.8	7300.3	7294.0	7939.2	9122.3
საგარეო ვაჭრობის სადღო	-3558.7	-4885.8	-5679.7	-5112.4	-5740.8	-5095.6	-5181.1	-5203.7	-5760.2
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1380.3	1693.0	1606.4	1812.1	1873.3	1637.4	1657.1	2070.0	2297.1


*წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

საყურადღებოა, რომ საქართველოს სავაჭრო პარტნიორმა ქვეყნებმა 2017 წელს დაიწყეს ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა, შესაბამისად, საქართველოს ექსპორტის ზრდა განაპირობა დადებითმა ტენდენციებმა ყველა ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ეკონომიკაში: ევროკავშირის ქვეყნებში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში, რასაც თან დაერთო უკანასკნელ წლებში მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებიც და ახალი საექსპორტო მიმართულება – ჩინეთი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზების კუთხით.

2010-2018 წლიან პერიოდში საქონლის ექსპორტის სტატისტიკის ანალიზისას ტრენდის ხაზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ტრენდის მიმდინარე მიმართულება. მოცემულ პერიოდში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის გრაფიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად მკვეთრი რყევებისა (გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში 2010 წლის კრიტიკულად დაბალი მაჩვენებლიდან დაწყებული ზრდა, რომელიც 2014-2016 წლების მკვეთრმა ვარდნამ ჩაანაცვლა, 2017 წლიდან კვლავ ექსპორტის ზრდით დაგვირგვინდა) მაინც ზრდის ტენდენციით ხასიათდება (ნახაზი 3.2.1).

ნახაზი 3.2.1 - საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB), 2010-2018*



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <http://geostat.ge/>

საგარეო ვაჭრობის და კონკრეტულად ექსპორტის განვითარებაში ვაჭრობის დაფინანსების მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, საინტერესოა საქართველოს ექსპორტისა და კომერციული ბანკების მიერ ექსპორტიორი კომპანიებისათვის გაცემული დაფინანსების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი, რომელიც კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტების გაანგარიშებისა და სტიუდენტისა და ფიშერის კოეფიციენტებით რეგრესიული მოდელის ტესტირებაზე დაყრდნობით საშუალებას მოგვცემს უფრო სიღრმისეულად გავაანალიზოთ ექსპორტისა და ვაჭრობის დაფინანსების დინამიკა და შევაფასოთ ექსპორტის კორელაცია დაფინანსებასთან მიმართებაში.

პირველ ეტაპზე გავაანალიზოთ კომერციული ბანკების მიერ გაცემული დაკრედიტების სტატისტიკა და ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით არსებული ტენდენცია ბოლო 10 წლის მანძილზე. ცალსახაა, რომ ვაჭრობაზე ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების წილი მთლიანად იურიდიულ პირებზე ასევე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებში ვარირებს კრიზისული პერიოდების შესაბამისად. კერძოდ, 2007-2008 წლებში ვაჭრობაზე გაცემული სესხების იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებში შეადგენს 51%-53%,

გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში 2009-2012 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირებულია, ხოლო 2013 წელს ისევ იმატებს და 44%-ს შეადგენს, თუმცა 2014-2016 წლის კრიზისის შესაბამისად კვლავ იკლებს და ბოლო წლის მდგომარეობით, 2017 წელს 31%-ს შეადგენს (ცხრილი 3.2.2)

თუკი გავაკეთებთ კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების გრაფიკულ ანალიზს, დავინახავთ, რომ ტრენდი ზრდადია როგორც ვაჭრობაზე გაცემული სესხების ასევე ჯამურად იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მიმართულებით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მათ შორის სხვაობა წლიდან წლამდე იზრდება და შესაბამისად მცირდება იურიდიულ პირებზე ლარში გაცემულ სესხებში ვაჭრობაზე გაცემული დაკრედიტების წილი (ნახაზი 3.2.2). რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, რომელიც მუდმივად აქტუალური პრობლემაა დაკრედიტების სფეროში, უნდა აღინიშნოს, რომ ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს ბოლო 10 წლის მანძილზე კლებადი ტენდენცია ახასიათებთ, თუმცა სამწუხაროდ ვაჭრობაზე გაცემული სესხებზე მაინც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ვიდრე ჯამურად იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების შემთხვევაში (ნახაზი 3.2.3).

ეროვნული ვალუტის მსგავსად, კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების; მთლიან მოცულობაში 2007-2017 წლების პერიოდში 58%-დან 30%-მდე იკლებს (ცხრილი 3.2.3).


ცხრილი 3.2.2: კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები

(ათასი ლარი)

წელი	იურ. პირებზე გაცემული სესხები	საპროცენტო განაკვეთი ლარში (იურ.პირები)	ვაჭრობაზე გაცემული სესხები	საპროცენტო განაკვეთი ლარში (ვაჭრობა)	ვაჭრობაზე გაცემული სესხების წილი
2007	1,751,286	16.84	890,580	18.00	51%
2008	1,576,732	17.85	834,175	18.87	53%
2009	1,016,841	17.63	374,810	19.56	37%
2010	1,520,078	15.69	592,030	16.53	39%
2011	2,145,611	14.95	840,359	15.66	39%
2012	2,329,902	14.80	840,359	15.76	36%
2013	2,628,308	13.58	1,165,128	14.06	44%
2014	4,102,939	10.37	1,459,320	12.32	36%
2015	7,500,695	9.41	1,718,654	12.84	23%
2016	6,734,109	11.15	1,853,659	12.69	28%
2017	7,425,971	10.41	2,320,127	11.39	31%


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.gov.ge

ნახაზი 3.2.2



წყარო: შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, www.nbg.gov.ge

ნახაზი 3.2.3



წყარო: შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, www.nbg.gov.ge

ცხრილი 3.2.3: კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები

(ათასი ლარი)


წელი	იურ. პირებზე გაცემული სესხები	საპროცენტო განაკვეთი ვალუტაში (იურ.პირები)	ვაჭრობაზე გაცემული სესხები	საპროცენტო განაკვეთი ვალუტაში (ვაჭრობა)	ვაჭრობაზე გაცემული სესხების წილი
2007	3,124,074	15.42	1,818,385	15.33	58%
2008	2,513,358	16.95	1,375,774	17.24	55%
2009	2,267,366	18.26	1,238,957	18.77	55%
2010	3,745,427	15.63	2,208,101	15.86	59%
2011	4,079,264	13.72	2,285,963	13.88	56%
2012	3,628,474	13.70	1,868,239	13.69	51%
2013	4,359,982	12.62	2,157,600	12.59	49%
2014	5,138,440	10.89	2,082,563	10.97	41%
2015	5,701,736	10.43	1,996,753	10.33	35%
2016	6,515,276	9.51	2,106,210	9.08	32%
2017	6,983,662	8.42	2,076,560	7.98	30%

წყარო: შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, www.nbg.gov.ge

გრაფიკული ანალიზი კი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ ზოგადად იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ტრენდი მკვეთრად მზარდი ხასიათისაა, თუმცა ვაჭრობაზე გაცემული სესხები მეტნაკლებად სტაბილურია და ისეთივე ტემპით ვერ


მიჰყვება იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მოცულობას, შესაბამისად მისი წილი მთლიან მოცულობაში მცირდება (ნახაზი 3.2.4). რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, აქაც 2008 წლის შემდგომ პოსტკრიზისულ პერიოდში, 2009 წელს არის დაფიქსირებული უმაღლესი საპროცენტო განაკვეთი, რომლის შემდეგაც ტრენდს კლებადი სახე აქვს ყოველწლიურად მცირდება, რაც ცალსახად დადებითი ტენდენციაა ვაჭრობის დაფინანსების გაუმჯობესების თვალსაზრისით (ნახაზი 3.2.5).

ნახაზი 3.2.4



წყარო: შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით www.nbg.gov.ge

ნახაზი 3.2.5



წყარო: შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით www.nbg.gov.ge

ვაჭრობის და კონკრეტულად ექსპორტის დაფინანსების ძირითადი პროდუქტების – სესხებისა და გარანტიების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს უფრო სიღრმისეულად გავანალიზოთ საქართველოში არსებული მდგომარეობა ექსპორტის დაფინანსების თვალსაზრისით და შევაფასოთ აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენის ხარისხი საქართველოს ექსპორტის განვითარებაზე.

საქართველოს ექსპორტისა და მასზე მოქმედი დაფინანსების პროდუქტების – სესხებისა და გარანტიების რეგრესიული ანალიზის ჩატარებისას მონაცემები დავამუშავეთ შემდეგი პრინციპით: იქიდან გამომდინარე, რომ დღესდღეობით სტატისტიკური აღრიცხვის არეალში განცალკევებით არ ხვდება კონკრეტულად ექსპორტის დასაფინანსებლად გაცემული სესხების მონაცემები, ასევე კომერციული ბანკების მიერ მხოლოდ გაღებარანსურზე აღირიცხება ვაჭრობის დაფინანსების ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა გარანტიები, აკრედიტივები და ა.შ., საიდანაც შეუძლებელია პროდუქტების ჭრილში ექსპორტიორებზე გაცემული ვაჭრობის დაფინანსების მოცულობების გამორკვევა, რეგრესიული ანალიზისთვის საჭირო მონაცემების მისაღებად გავაკეთეთ შემდეგი დაშვება – სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით დავადგინეთ

ექსპორტის ხვედრითი წილი საგარეო სავაჭრო მთლიან ბრუნვაში წლების კრილში (ცხრილი 3.2.4) და საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავაკეთეთ დაშვება, რომ კომერციული ბანკების მიერ ვაჭრობაზე გაცემული სესხების მოცულობაში საგარეო სავაჭრო ბრუნვასთან ექსპორტის მსგავსი პროპორციებით ექნება წილი ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების მოცულობას (ცხრილი 3.2.5).

ცხრილი 3.2.4 – ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში (2008-2017)

(მლნ. აშშ დოლარი)

წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
სულ სავაჭრო ბრუნვა	7796.8	5609.3	6913.3	9258.7	10433.0	10933.1	11462.9	9505.0	9407.7	10710.6
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1495.3	1133.6	1677.3	2186.4	2376.6	2910.3	2861.0	2204.7	2113.1	2728.0
ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში	19.2%	20.2%	24.3%	23.6%	22.8%	26.6%	25.0%	23.2%	22.5%	25.5%

წყარო: www.geostat.ge

ცხრილი 3.2.5 – ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები

წლები	კომერციული ბანკების მიერ ვაჭრობაზე გაცემული სესხები (ათასი ლარი)	კომერციული ბანკების მიერ ვაჭრობაზე გაცემული უცხოურ ვალუტაში (ათასი ლარი)	სულ კომერციული ბანკების მიერ ვაჭრობაზე გაცემული სესხები (ათასი ლარი)	ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში	ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები - დაშვება (ათასი ლარი)	საშუალო კურსი - აშშ დოლარი	ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები (ათასი აშშ დოლარი)	ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები (მლნ. აშშ დოლარი)
2008	834,175.43	1,375,773.94	2,209,949.36	19.2%	424,310.28	1.49	284,772.00	284.8
2009	374,809.75	1,238,957.44	1,613,767.19	20.2%	326,130.98	1.67	195,288.01	195.3
2010	592,030.01	2,208,101.26	2,800,131.27	24.3%	679,365.89	1.78	381,164.79	381.2
2011	840,359.24	2,285,962.98	3,126,322.22	23.6%	738,266.81	1.69	437,754.38	437.8
2012	871,641.24	1,868,239.08	2,739,880.32	22.8%	624,134.92	1.65	377,976.54	378.0
2013	1,165,128.42	2,157,600.22	3,322,728.65	26.6%	884,482.64	1.66	531,746.64	531.7
2014	1,459,319.50	2,082,563.10	3,541,882.61	25.0%	884,010.69	1.77	500,666.03	500.7
2015	1,718,654.31	1,996,753.36	3,715,407.67	23.2%	861,794.77	2.27	379,754.09	379.8
2016	1,853,658.69	2,106,209.52	3,959,868.21	22.5%	889,441.36	2.37	375,810.09	375.8
2017	2,320,126.80	2,076,560.18	4,396,686.98	25.5%	1,119,840.35	2.51	446,233.61	446.2

წყარო: შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

სესხებისა და ექსპორტის რეგრესიული ანალიზისათვის გამოყენებულია 2008-დან 2017 წლამდე პერიოდის მონაცემები. დამოკიდებულ ცვლადად აღებულია საქართველოს ექსპორტის მოცულობა (მლნ. აშშ დოლარი), ხოლო დამოუკიდებელ ცვლადად აღებულია ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების მოცულობა (ცხრილი 3.2.6).


ცხრილი 3.2.6 - ექსპორტი და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები

წლები	ექსპორტის მოცულობა (მლნ აშ დოლარი)	ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები (მლნ. აშშ დოლარი)
2008	1,495.0	284.8
2009	1,134.0	195.3
2010	1,677.3	381.2
2011	2,186.4	437.8
2012	2,376.6	378.0
2013	2,910.3	531.7
2014	2,861.0	500.7
2015	2,204.7	379.8
2016	2,113.1	375.8
2017	2,728.0	446.2

წყარო: შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

თავდაპირველად განცალკევებით შევხედოთ ექსპორტზე მოქმედ დამოუკიდებელ ცვლადს - ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების სტატისტიკას 2008-2017 წწ პერიოდში და დავრწმუნდეთ, რომ ნამდვილად წრფივი ხასიათი გააჩნია აღნიშნულ ცვლადს. როგორც ნახაზში #3.2.6-ში ჩანს, რომ ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემულ სესხები იმეორებს კრიზისის შემდგომი ეტაპებისთვის დამახასიათებელ ჩავარდნებს და კლება ფიქსირდება როგორც 2008 წლის შემდგომ პოსტკრიზისულ პერიოდში, ასევე 2015-2016 წლებში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 195,3 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა 2009 წლის გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, 2009 წელს. თვალსაჩინოა, რომ ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემულ სესხებს ზრდის ტენდენცია ახასიათებს.

ნახაზი 3.2.6



წყარო: შედგენილია წინა ცხრილზე დაყრდნობით

რაც შეეხება უშუალოდ ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის შედეგებს, მოცემულია ცხრილში #3.2.7. კორელაციის კოეფიციენტი (Multiple R) ტოლია 0.931-ს, დეტერმინაციის კოეფიციენტი (კორელაციის კოეფიციენტის კვადრატი) $R^2=0.867$, რაც გულისხმობს იმას, რომ დამოუკიდებელი ცვლადის (ექსპორტი) თითქმის 87% აიხსნება მოდელში შეყვანილი დამოუკიდებელი ფაქტორით ანუ ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხებით და შესაბამისად დამოუკიდებელი ცვლადის გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე მნიშვნელოვანია, ხოლო დანარჩენი 13% განპირობებულია ექსპორტზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორებით.

მოცემული სტატისტიკური მოდელის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს ასევე ფიშერის კრიტერიუმი (F), რომელიც საკმაოდ მაღალია – 52.1 და ასევე Significance F და P-value კოეფიციენტები, რომლებიც უმცირესი რიცხვია ($9.09724E-05$), უდრის 0.0000909723923197586 -ს ($9.097-0.5$) და მნიშვნელოვნების დონეზე ($\alpha=0.05$) ბევრად ნაკლებია.

ცხრილი 3.2.7 - დისპერსიული ანალიზი (ANOVA), ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები

Regression Statistics	
Multiple R	0.931
R Square	0.867
Adjusted R Square	0.850
Standard Error	229.196
Observations	10

ANOVA					
	df	SS	MS	F	Significance F
Regression	1	2735693.7	2735693.7	52.1	9.09724E-05
Residual	8	420245.4	52530.7		
Total	9	3155939.1			

	Coefficients	Standard Error	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%
Intercept	-21.000	311.957	-0.067	0.9480	-740.38	698.37
ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხები (მლნ. აშშ დოლარი)	5.598	0.776	7.217	9.09724E-05	3.81	7.39

F სტატისტიკის კრიტიკული მნიშვნელობა 0.05 მნიშვნელოვნების დონისათვის (α), სადაც თავისუფლების ხარისხების მნიშვნელობებია $df_1(\text{Regression})=1$ და $df_2(\text{Residual})=8$. აღნიშნული მონაცემებისთვის F კრიტიკული მნიშვნელობა (Critical F-value) ტოლია 5.31765506-ს ($=\text{FINV}(0.05,1,8)$). აღნიშნულ მოდელში ფიშერის კრიტერიუმი F-value (52.1) > Critical F-value (5.31765506), რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მოდელი სარწმუნოა.

ასევე გამოვთვალოთ სტიუდენტის ტ სტატისტიკის კრიტიკული მნიშვნელობა 0.05 მნიშვნელოვნების დონისათვის (α).

$$df = n - k - 1$$

$$k = \# \text{ coefficients (1)}$$

$$n = \# \text{ observations (10)}$$

$$df = 10 - 1 - 1 = 8$$

სტიუდენტის t სტატისტიკის კრიტიკული მნიშვნელობა ექსელში გამოითვლება შემდეგი ფორმულით- $TINV(\text{probability},df)=TINV(0.05,8)=2.306004133$. რადგან სტიუდენტის კრიტერიუმი მეტია მის კრიტიკულ მნიშვნელობაზე $t \text{ stat } (7.217) > t \text{ critical } (2.306004133)$, ეს ნიშნავს, რომ ტესტირებამ წარმატებით ჩაიარა და აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით რეგრესიული მოდელი მნიშვნელოვანია, სანდოა.


გარდა ამისა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ Lower 95% და Upper 95%, რაც 95%-იანი სანდოობის ხარისხით მიგვითითებს დამოუკიდებელი ცვლადისა (სესხები) და თავისუფალი წევრის (intercept) დიაპაზონებზე – სესხები მოცემული იქნება 3.81-დან 7.39-მდე შუალედში, ხოლო თავისუფალი წევრი (intercept) იმოდრავებს (-740.38)-დან 698.37-მდე დიაპაზონში.

ანალიზის დასასრულს, დისპერსიული ანალიზის ცხრილის (ANOVA) საფუძველზე შევადგინოთ რეგრესული განტოლება:

$$y = 5.598x - 21$$

ანალოგიური რეგრესიული განტოლება დაფიქსირდა რეგრესიის განტოლების შედეგების დიაგრამაზე, რომელიც ასახავს მოდელში შემავალ დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს (ნახაზი 3.2.7).

ნახაზი 3.2.7



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით

ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სესხებს ნამდვილად გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ექსპორტის მოცულობაზე, რადგან ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული სესხების ერთი ერთეულით ცვლილება განაპირობებს ექსპორტის მოცულობის 5.598 ერთეულით ცვლილებას და სესხების ნულოვანი მოცულობის პირობებში ექსპორტის მაჩვენებელი იქნება უარყოფითი (-21)-ის ტოლი.

წინა მოდელის მსგავსად ჩავატარეთ საქართველოს ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი. ასევე წინა მოდელის ანალოგიურად საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავაკეთეთ დაშვება, რომ ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიების მოცულობას კომერციული ბანკების მიერ მთლიანად გაცემული გარანტიების მოცულობაში ექნება წილი იგივენაირი პროპორციებით, რა პროპორციებითაც წარმოდგენილია საქართველოს ექსპორტის მოცულობა საგარეო სავაჭრო ბრუნვასთან შესაბამისობაში (ცხრილი 3.2.8).

ცხრილი 3.2.8 – ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები

წწ	კომერციული ბანკების მიერ გაცემული გარანტიები (ლარი)	ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები - დაშვება (ლარი)	ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში	ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები - დაშვება (აშშდოლარი)	საშუალო კურსი (აშშ დოლარი)	ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები - დაშვება (მლნ. აშშდოლარი)
2009	5,522,385,828	1,116,035,258	20.2%	749,016,952	1.49	749.0
2010	6,768,382,155	1,642,140,134	24.3%	983,317,446	1.67	983.3
2011	9,602,009,340	2,267,470,943	23.6%	1,272,186,464	1.78	1,272.2
2012	12,122,346,593	2,761,427,098	22.8%	1,637,384,744	1.69	1,637.4
2013	10,165,762,074	2,706,041,046	26.6%	1,638,780,343	1.65	1,638.8
2014	11,268,923,948	2,812,585,944	25.0%	1,690,912,927	1.66	1,690.9
2015	13,822,748,033	3,206,208,584	23.2%	1,815,860,098	1.77	1,815.9
2016	14,642,217,901	3,288,845,376	22.5%	1,449,245,843	2.27	1,449.2

წყარო: შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

გარანტიებისა და ექსპორტის რეგრესიული ანალიზისათვის გამოყენებულია 2009-დან 2016 წლამდე პერიოდის მონაცემები. დამოკიდებულ ცვლადად აღებულია საქართველოს ექსპორტის მოცულობა (მლნ. აშშ დოლარი), ხოლო დამოუკიდებელ ცვლადად აღებულია ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიების მოცულობა (ცხრილი 3.2.9).


ცხრილი 3.2.9 - ექსპორტი და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები

წლები	ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები (მლნ. აშშ დოლარი)
2009	1,134.0	749.0
2010	1,677.3	983.3
2011	2,186.4	1,272.2
2012	2,376.6	1,637.4
2013	2,910.3	1,638.8
2014	2,861.0	1,690.9
2015	2,204.7	1,815.9
2016	2,113.1	1,449.2

წყარო: შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

პირველ რიგში შევხედეთ ექსპორტზე მოქმედ დამოუკიდებელ ცვლადს - ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიების სტატისტიკას 2009-2016 წწ პერიოდში და დავრწმუნდით, რომ ნამდვილად წრფივი ხასიათი გააჩნია აღნიშნულ ცვლადს. როგორც ნახაზში #3.2.8 ჩანს, დაკვირვების 8 წლიანი პერიოდიდან უმეტესობა ტრენდის ხაზს ზემოთ ფიქსირდება და შესაბამისად ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემულ გარანტიებს ზრდის ტენდენცია ახასიათებს. შედეგების სტატისტიკურ სარწმუნოებაზე მეტყველებს დეტერმინაციის კოეფიციენტი (კორელაციის კოეფიციენტის კვადრატი) $R^2=0.642$.

ნახაზი 3.2.8



წყარო: შედგენილია წინა ცხრილზე დაყრდნობით

ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიების კორელაციურ-რეგრესიულიანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში 3.2.10. აღნიშნულ მოდელში კორელაციის კოეფიციენტი (Multiple R) ტოლია 0.857-ს, დეტერმინაციის კოეფიციენტი (კორელაციის კოეფიციენტის კვადრატი) $R^2=0.7345$, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დამოუკიდებელი ცვლადის, ანუ ექსპორტის 73% აიხსენაბ მოდელში შეყვანილი დამოუკიდებელი ფაქტორით, ანუ ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიებით და დამოუკიდებელი ცვლადის გავლენა დამოუკიდებელ ცვლადზე მნიშვნელოვანია.

სტატისტიკური მოდელის სანდოობაზე მიუთითებს ასევე ფიშერის კრიტერიუმი (F), რომელიც 16.6-ის ტოლია. გარდა ამისა, Significance F (0.007) და P-value (0.007) კოეფიციენტები ნაკლებია მნიშვნელოვნების დონეზე ($\alpha=0.05$), რაც ასევე მოწმობს, დამოუკიდებელი ფაქტორის (გარანტიების) მნიშვნელოვნებაზე.

ცხრილი 3.2.10 - დისპერსიული ანალიზი (ANOVA), ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები

<i>Regression Statistics</i>	
Multiple R	0.857
R Square	0.7345
Adjusted R Square	0.690
Standard Error	325.036
Observations	8

ANOVA				
	<i>df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>Significance F</i>
Regression	1	1753742.4	1753742	0.007
Residual	6	633889.8	105648.3	
Total	7	2387632.2		

	<i>Coefficients</i>	<i>Standard Error</i>	<i>t Stat</i>	<i>P-value</i>	<i>Lower 95%</i>	<i>Upper 95%</i>
Intercept	310.571	473.704	0.656	0.536	-848.54	1469.68
ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიები	1.333	0.327	4.074	0.007	0.53	2.13

მოდელის ტესტირებისთვის ასევე საინტერესოა F სტატისტიკის კრიტიკული მნიშვნელობისა და სტიუდენტის t სტატისტიკის კრიტიკული მნიშვნელობის გამოთვლა და შემოწმება 0.05 მნიშვნელოვნების დონისათვის (α).

F სტატისტიკის კრიტიკული მნიშვნელობის გამოსათვლელად აღებული თავისუფლების ხარისხების მნიშვნელობებია $df_1(\text{Regression})=1$ და $df_2(\text{Residual})=6$ და ექსელის მეშვეობით აღნიშნული მონაცემებისთვის დათვლილია F კრიტიკული მნიშვნელობა (Critical F-value), რომელიც მოცემულ შემთხვევაში ტოლია 5.987377607-ის ($\text{FINV}(\text{probability}, df_1, df_2)=\text{FINV}(0.05, 1, 6)$). აღნიშნულ მოდელში ფიშერის კრიტერიუმი $F\text{-value}(16.6) > \text{Critical F-value}(5.987377607)$, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მოდელი სარწმუნოა.

ანალოგიურად, ჯერ გამოვთვალოთ სტიუდენტის t სტატისტიკის კრიტიკული მნიშვნელობა 0.05 მნიშვნელოვნების დონისათვის (α) და შემდეგ კრიტიკული მნიშვნელობა შევადაროთ სტიუდენტის კრიტერიუმს.

$$df=n-k-1$$

$$k= \# \text{ coefficients (1)}$$

$$n= \# \text{ observations (8)}$$

$$df= 8-1-1=6$$

სტიუდენტის t სტატისტიკის კრიტიკული მნიშვნელობა გამოვითვალეთ ექსელში ფორმულით - $TINV(\text{probability},df) = TINV(0.05,6) = 2.446911851$. რადგან სტიუდენტის კრიტერიუმი მეტია მის კრიტიკულ მნიშვნელობაზე t stat (4.074)>t critical (2.446911851), ეს ნიშნავს, რომ ტესტირებამ წარმატებით ჩაიარა და აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით რეგრესიული მოდელი მნიშვნელოვანი და სანდოა.


გარდა ამისა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ Lower 95% და Upper 95%, რაც 95%- იანი სანდოობის ხარისხით მიგვითითებს დამოუკიდებელი ცვლადისა (სესხები) და თავისუფალი წევრის (intercept) დიაპაზონებზე – სესხები მოცემული იქნება 0.53-დან 2.13-მდე შუალედში, ხოლო თავისუფალი წევრი (intercept) იმოდრავებს -848.54-დან 1469.68-მდე დიაპაზონში.

ექსპორტისა და გარანტიების რეგრესიული ანალიზის შესაჯამებლად დისპერსიული ანალიზის ცხრილის (ANOVA) საფუძველზე შევადგინოთ რეგრესიული განტოლება:

$$y = 1.333x + 310.571$$

ანალოგიური რეგრესიული განტოლება მივიღეთ რეგრესიული ანალიზის შედეგების დიაგრამაზეც, რომელიც წარმოდგენილია მოდელში შემავალი დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები (ნახაზი 3.2.9).

ნახაზი 3.2.9 - ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიების რეგრესიული ანალიზი



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ექსპორტისა და ექსპორტიორ კომპანიებზე გაცემული გარანტიების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარანტიებს ნამდვილად გააჩნია გავლენა ექსპორტის მოცულობაზე, თუმცა გავლენის ხარისხი სესხებთან შედარებით მცირეა, რადგან გარანტიების ერთი ერთეულით ცვლილება განაპირობებს ექსპორტის მოცულობის მხოლოდ 1.333 ერთეულით ცვლილებას. აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ ექსპორტზე დაფინანსების პროდუქტების გარდა სხვა მაკროეკონომიკური ფაქტორებიც ახდენს გავლენას (მაგ: პარტნიორი ექსპორტიორი ქვეყნების მშპ, ვალუტის გაცვლითი კურსი და ა.შ.), თუმცა ფაქტია, რომ ზემოქმედების ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე სესხების შემთხვევაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დაფინანსების ძირითადი წყარო კვლავ წმინდა სესხებია და ვაჭრობის დაფინანსებისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების ჰეჯირების სხვა პროდუქტების ბაზარი განვითარების დონით ბევრად ჩამორჩება სესხებს. ეს თავის მხრივ გამოწვეულია როგორც ექსპორტიორთა ცნობადობის დაბალი დონით და ამ ტიპის პროდუქტებზე არსებული საკომისიო

დანახარჯებით, ასევე უშუალოდ კომერციული ბანკების მხრიდან ამ მიმართულებით გამოჩენილი შედარებითი პასიურობით და ინერტულობით, რაც ასევე ნათლად გამოჩნდა ექსპორტიორ კომპანიებთან ექსპორტის დაფინანსების პრობლემატიკასთან დაკავშირებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებში, რომელიც მოცემულია წინა ქვეთავში.

კომერციული ბანკების გარდა საინტერესო სახელმწიფოს როლი ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული საკითხის გასაანალიზებლად ავიღეთ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ სააგენტოს დაარსების დღიდან – 2014 წლიდან ექსპორტის ხელშეწყობისთვის დახარჯული თანხების მონაცემები, სადაც იგულისხმება საერთაშორისო ღონისძიებების დაფინანსება, რაც მოიცავს საერთაშორისო გამოფენებს, სავაჭრო მისიებსა და კონფერენციებს (ცხრილი 3.2.11).


ცხრილი 3.2.11 - „აწარმოე საქართველოში“
(საერთაშორისო ღონისძიებების დაფინანსება ექსპორტის ხელშეწყობისთვის)

წლები	„აწარმოე საქართველოში“ (ლარი)
2014	200,000.0
2015	1,150,000.0
2016	1,000,000.0
2017	2,075,765.0

წყარო: „აწარმოე საქართველოში“

სააგენტოს მიერ ექსპორტის ხელშეწყობისთვის დახარჯული თანხებისა მონაცემები მართალია ამ ეტაპისთვის მწირია, რადგან მოიცავს მხოლოდ 4 წლიან პერიოდს (2014-2017წწ), მაგრამ თუკი შევხედავთ მის გრაფიკულ გამოსახულებას, ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად გარკვეული ჩავარდნებისა, ზოგადად ტრენდის ზრდადი ხასიათი გააჩნია (ნახაზი 3.2.10).

ნახაზი 3.2.10 - „აწარმოე საქართველოში“
 (საერთაშორისო ღონისძიებების დაფინანსება ექსპორტის ხელშეწყობისთვის)



წყარო: შედგენილია წინა ცხრილზე დაყრდნობით

მიზანშეწონილია, რომ სტაბილურად შენარჩუნდეს პროგრამა “აწარმოე საქართველოს” მიერ ექსპორტის ხელშეწყობისთვის გაცემული დაფინანსების ზრდადი ტენდენცია და დღევანდელი რეალობისგან განსხვავებით, აუცილებლად განხორციელდეს პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ექსპორტის განვითარების (უკუგების) ანალიზი, რაც ცალსახად იქნება აღნიშნული პროგრამის ეფექტურობის და ექსპორტის განვითარებაზე მისი ზეგავლენის შეფასების საუკეთესო საშუალება.

3.3 ექსპორტიორი კომპანიების დაფინანსებასთან დაკავშირებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ექსპორტიორი კომპანიების დაფინანსებასთან დაკავშირებული რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. კვლევაში გამოყენებული იქნა როგორც სატელეფონო კვლევის, ასევე ელექტრონული კითხვარის შევსების მეთოდები, თუმცა თვით სელექციის პრობლემის

თავიდან არიდების მიზნით, რესპოდენტთა ძირითადი ნაწილი (92%) დაიფარა სატელეფონო ინტერვიუს ფორმატით. კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის იანვარ-თებერვლის თვეში. ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა 30-40 წუთი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო მიზნობრივმა სეგმენტმა, რომელიც შედგებოდა ექსპორტიორი კომპანიების ზედა დონის მენეჯმენტის წარმომადგენლებისგან, რომლებიც ფლობდნენ კომპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით ზუსტ ინფორმაციას - მთავარი ბუღალტრები, ფინანსური და/ან კომერციული დეპარტამენტის თანამშრომლები და აღმასრულებელი დირექტორები.

კითხვარის ბაზად აღებული იქნა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით განხორციელებული კვლევები, ანგარიშები და აღნიშნულ თემატიკაზე არსებული კითხვარების ნიმუშები. კითხვარი შედგებოდა 6 ბლოკისაგან (დანართი #2):

- ზოგადი ინფორმაცია
- A ბლოკი – საექსპორტო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია
- B ბლოკი – ვაჭრობის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია
- C ბლოკი – ვაჭრობის დაფინანსების ალტერნატიული წყაროები
- D ბლოკი – ვაჭრობის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამები
- E ბლოკი – მოლოდინები სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით


კვლევის დაწყებამდე მოხდა კითხვარის ტესტირება როგორც პირისპირ, ასევე სატელეფონო ინტერვიუებისა და ელექტრონული კითხვარის შევსების ფორმატში. სატესტო კითხვარის შევსება მოხდა სულ 10 რესპოდენტის მიერ. ტესტირების შედეგად სავსე სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდა კითხვარის მოდიფიცირება და ტესტირების დროს გამოვლენილი ხარვეზებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა საქართველოს უმსხვილესი ექსპორტიორი კომპანიების ბაზა საექსპორტო ბრუნვის მიხედვით. აღნიშნული ბაზიდან შემთხვევითი შერჩევით დაკავშირება მოხდა 250 კომპანიასთან და საბოლოო ჯამში

ჩატარდა 128 სრულყოფილი ინტერვიუ. კვლევის სანდოობის კოეფიციენტად განისაზღვრა 95%, ხოლო შერჩევის ცდომილებამ შეადგინა 8.1%. (<http://www.raosoft.com/samplesize.html>).


კვლევაში მონაწილე კომპანიების უმრავლესობა, 60% გახლდათ მსხვილი კატეგორიის კომპანიები წლიური ბრუნვის მიხედვით - 1.5 მლნ. ლარზე მეტი წლიური ბრუნვით, ხოლო საშუალო ტიპის (0.5-1.5 მლნ. ლარი) კომპანიებმა შეადგინა 34% (ნახაზი 3.3.1).

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული კომპანიების 58% 5 წელზე მეტი ხანია რაც ფუნქციონირებს, რესპოდენტი კომპანიების 14%-ის გამოცდილება 1-დან 3 წლამდე პერიოდს შეადგენს. ის ფაქტი, რომ ასეთი მცირე გამოცდილების მქონე კომპანიები ექსპორტიორთა სიაში ფიქსირდებიან, გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ე.წ. "სტარტაპერები" საკმაოდ ამბიციურად უდგებიან ბიზნესის განვითარების სტრატეგიებს და ცდილობენ მოღვაწეობის პირველივე წლებში გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე (ნახაზი 3.3.2).

ნახაზი 3.3.1.




ნახაზი 3.3.2.



რესპოდენტების საექსპორტო საქმიანობის არეალი საკმაოდ ფართო აღმოჩნდა და გამოკითხულთა მიერ ექსპორტზე გატანილი პროდუქციის სახეობების რაოდენობამ ჯამში 28 შეადგინა, რომელთაგან შედარებით მსხვილი კატეგორიებია: ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტები (10%), ღვინის პროდუქტები (14%), მერქანი და ხის პროდუქტები (9%), პლასტმასის, რეზინისა და მეტალოპლასტმასის ნაწარმი (9%), ტანსაცმელი/ფეხსაცმელი (8%) და სამედიცინო ნაწარმი (7%) (ნახაზი 3.3.3).

ნახაზი 3.3.3




შენიშვნა: რესპოდენტების ნაწილს ერთდროულად რამდენიმე სახეობის პროდუქტი გააქვს ექსპორტზე, რის გამოც ნახაზზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები არ ჯამდება 100%-მდე.


საინტერესოა ექსპორტის დაფინანსების გარე წყაროებზე უარის თქმის ან საერთოდ არ სარგებლობის მიზეზები, შესაბამისად საბანკო კრედიტით მოსარგებლე ექსპორტიორების გარდა (79%), ასევე რესპოდენტთა შორის გახლდათ კომპანიები, რომლებსაც არ უსარგებლიათ ექსპორტის დასაფინანსებლად საბანკო კრედიტით (21%) (ნახაზი 3.3.4). ამ ტიპის კომპანიებთან დამატებით დავსვით კითხვები, რომლებიც დაგვეხმარებოდა უკეთ გავრკვეულიყავით დაფინანსების ალტერნატიული წყაროების უგულვებელყოფის

მიზეზებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიზეზებში, რის გამოც არ უსარგებლიათ ექსპორტის დასაფინანსებლად საბანკო კრედიტით, 55%-მა დაასახელა საკუთარი სახსრების არსებობა, თუმცა 30% აღნიშნავს, რომ რთულია საბანკო კრედიტით სარგებლობა, 7% კი უპირატესობას ანიჭებს ფირმათაშორისი დაკრედიტების ფორმებს როგორებიცაა: ღია ანგარიშით ანგარიშსწორება და ავანსით ანგარიშსწორება (ნახაზი 3.3.5). საბანკო კრედიტით სარგებლობის სირთულეებში კი ძირითად აქცენტს აკეთებენ მაღალ საპროცენტო განაკვეთებსა და საკომისიოებზე (43%). ასევე სახელდება უზრუნველყოფის მაღალი მოთხოვნები (17%). რისკიანი კატეგორიის ბიზნესის დაუფინანსებლობა (9%) და შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნა (4%) კი ბოლო ადგილებს ინაწილებენ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 26% ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემების ერთობლიობას მიიჩნევს საბანკო კრედიტით სარგებლობის შემაფერხებელ ფაქტორებად (ნახაზი 3.3.6).


ნახაზი 3.3.4. - ექსპორტიორი კომპანიების მიერ საბანკო კრედიტით სარგებლობა



ნახაზი 3.3.5 - ექსპორტის დასაფინანსებლად საბანკო კრედიტის გამოუყენებლობის მიზეზები




ნახაზი 3.3.6



კითხვარის A ბლოკი მოიცავდა კითხვებს კომპანიების საექსპორტო საქმიანობასთან დაკავშირებით. რესპოდენტთა შორის საექსპორტო საქმიანობის გამოცდილება წლების


ჭრილში შემდეგნაირად გადანაწილდა: 3-4 წლიანი გამოცდილება - 42%, 5-10 წელი -35%, 10 წელზე მეტი - 14%, ხოლო დამწყები ექსპორტიორები 0-დან 2 წლამდე გამცდილებით - 9% (ნახაზი 3.3.7).

ნახაზი 3.3.7. - ექსპორტზე პროდუქციის გატანის გამოცდილება



კვლევაში მონაწილე კომპანიების უმრავლესობას ერთზე მეტ ქვეყანაში გააქვს პროდუქცია ექსპორტზე, რაც ცალსახად მეტყველებს მათ მცდელობაზე, რომ მოახდინონ ექსპორტის დივერსიფიკაცია გასაღების ბაზრების ჭრილში. რესპოდენტების პასუხებში ქვეყნების განაწილების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოს საექსპორტო ანუ ქართული პროდუქციის იმპორტიორ ქვეყნებში უდიდესი წილი უკავია ევროკავშირის ქვეყნებს (87%), რომელსაც მოჰყვება აზერბაიჯანი (23%), რუსეთი (19%), სომხეთი (12%), თურქეთი, ჩინეთი და უკრაინა ინაწილებენ 11-11%-ს, აშშ (5%), ხოლო ყველაზე ბოლო ადგილასაა გაერთიანებული სამეფო 2%-იანი მაჩვენებლით. ევროკავშირის ქვეყნების განაწილება მოცემულია ნახაზში 3.3.8, რომლის მიხედვითაც მოწინავე პოზიციებს იკავებს გერმანია (13%), საფრანგეთი (11%) და ლიტვა (9%). კვლევის მოცემული შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროკავშირში ვაჭრობის ხელშეწყობის მიმართულებით არსებული მოთხოვნები და მარეგულირებელ ნორმებში შეტანილი ცვლილებები, კონკრეტული ეფექტის მომტანია, რადგან ქართულ კომპანიებს უკვე ინტენსიურად გააქვთ საექსპორტო პროდუქცია ევროკავშირის ბაზრებზე.


ნახაზი 3.3.8:



საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რესპოდენტთა დიდ ნაწილს (34%) ბოლო 5 წლის მანძილზე არ განუხორციელებია საექსპორტო პროდუქციის სახეობების გაფართოება. პროდუქციის დივერსიფიკაცია მოახდინა კვლევაში მონაწილე კომპანიების 28%-მა და საექსპორტო საქონლის სახეობების რაოდენობა გაზარდა 2-5-მდე დიაპაზონით, 13%-მა დაამატა 5-დან 10-მდე სახეობის პროდუქცია, ხოლო 18%-მა 10-ზე მეტი სახეობის საექსპორტო პროდუქტი შემატა კომპანიის ასორტიმენტს (ნახაზი 3.3.9). პროდუქციის სახეობების კლებაზე მიუთითა მხოლოდ რესპოდენტთა 2%-მა, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ექსპორტიორი კომპანიების დიდი ნაწილი ცდილობს მოახდინოს საექსპორტო პროდუქციის სახეობების დივერსიფიკაცია და გამრავალფეროვნება, თუმცა ასევე საყურადღებო ნაწილი (34%) ბოლო 5 წლის მანძილზე პასიურობს ამ მიმართულებით. სწორედ ამ ტიპის კომპანიებისთვის რეკომენდირებულია ბაზრის კვლევის ჩატარება, რაც დაეხმარება მათ შეისწავლონ საექსპორტო ბაზრებზე არსებული მდგომარეობა და მოთხოვნის შესაბამისად მოახდინონ არსებული პროდუქციის გამრავალფეროვნება, რადგან დივერსიფიკაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია

რისკების დაზღვევისათვის – რომელიმე კონკრეტული პროდუქციის ბაზარზე არსებული “ჩავარდნების” შემთხვევაში კომპანიას ექნება შესაძლებლობა დანაკარგების კომპენსირება მოახდინოს სხვა სახეობის საქონლის რეალიზაციით.

ნახაზი 3.3.9.




ბოლო 5 წლის მანძილზე კვლევაში მონაწილე კომპანიების მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობის დინამიკა შემდეგნაირია (ნახაზი 3.3.10): რესპოდენტთა უმეტესობისთვის (27%) მოცემულ პერიოდში ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 20%-ზე მეტად, კომპანიების 20%-თვის გაიზარდა 10%-დან 20%-მდე დიაპაზონში, ექსპორტიორების 18%-თვის გაიზარდა 5%-დან 10%-მდე, ხოლო ექსპორტის შემცირება ჯამურად დაფიქსირდა 19% შემთხვევაში შემდეგი გადანაწილებით:

- შემცირდა 1%-დან 5%-მდე (1%)
- შემცირდა 5%-დან 10%-მდე (8%)
- შემცირდა 10%-დან 20%-მდე (6%)
- შემცირდა 20%-ზე მეტად (4%)

საინტერესოა რამდენად ახდენს გავლენას საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია და გაფართოება ექსპორტის მოცულობის ზრდაზე. აღნიშნულ საკითხში გასარკვევად გავანალიზეთ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები და აღმოჩნდა, რომ ისეთ კომპანიებში, რომლებმაც არ შეცვალეს საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტი, ექსპორტის მოცულობა იმავე პერიოდში შემცირდა, ხოლო იმ კომპანიებში, სადაც მოხდა საექსპორტო პროდუქციის სახეობების დამატება – ექსპორტის მოცულობა გაიზარდა (ნახაზი 3.3.11).

ნახაზი 3.3.10 - ექსპორტის მოცულობის ცვლილება ბოლო 5 წლის მანძილზე




ნახაზი 3.3.11 - საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილება

	ექსპორტის მოცულობა	%
არ შეცვლილა საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტი	არ შეცვლილა	25%
	გაიზარდა	33%
	შემცირდა	42%
დაემატა საექსპორტო პროდუქციის სახეობები	არ შეცვლილა	9%
	გაიზარდა	74%
	შემცირდა	17%

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კითხვაში ჩამოთვლილი ფაქტორებიდან, თუ რომელი მათგანი აფერხებს ყველაზე მეტად კვლევაში მონაწილე კომპანიების ექსპორტის განვითარებას, ყველა ფაქტორი (ინფორმაციის ნაკლებობა ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ, კონტრაქტორ ბანკებს შორის გართულებული ურთიერთობები,


არაეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით და ვაჭრობის დაფინანსების შეზღუდულობა ბანკების მხრიდან) შეფასდა, პასუხით “საერთოდ არ აფერხებს ექსპორტს” (ნახაზი 3.3.12). აღნიშნული სურათი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კვლევის დროს წარმოქმნილ სირთულეს, რაც გამოიხატება გულახდილობის პრობლემებში – მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტებს განემარტათ, რომ კვლევა არის სრულიად კონფიდენციალური, ამოღებული იქნა კითხვარიდან კომპანიის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, მენტალიტეტის და რიდის გამო მაინც პოზიტიურად შეფასდა ექსპორტის შემაფერხებელი ერთი შეხედვით საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორები. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ დეტალურად გაშლილ კითხვებში მიუხედავად მოცემულ კითხვაზე პოზიტიური პასუხებისა, მაინც გამოვლინდა კონკრეტული პრობლემატიკა, რომელიც ვაჭრობის დაფინანსებასთან არის დაკავშირებული, რასაც დეტალურად განვიხილავთ კითხვარის სხვა ბლოკებში.

ნახაზი 3.3.12




კითხვარის B ბლოკში მოცემული იყო კითხვები ვაჭრობის დაფინანსების შესახებ, რომელიც თავისმხრივ მოიცავდა ორ მიმართულებას: საბანკო დაკრედიტებასა და ფირმათაშორის დაკრედიტებას. კვლევის შედეგების მიხედვით რესპოდენტთა 66% იყენებს ფირმათაშორისი დაკრედიტების ორივე ფორმას: ღია ანგარიშით და ავანსით ანგარიშსწორებას, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. გარდა ამისა, მხოლოდ ღია ანგარიშით ანგარიშსწორებით სარგებლობს 13%, ხოლო ავანსით ანგარიშსწორებას იყენებს 5% (ნახაზი 3.3.13). ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების ფორმების დახასიათებისას ხმათა უმრავლესობით გამოყოფენ შემდეგ მახასიათებლებს: საკომისიო დანახარჯების არარსებობა (74%), დიდი მოცულობის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნები (69%), ნაკლები ბიუროკრატია/დოკუმენტაციის მოთხოვნა (54%) და რაც მთავარია მაღალი რისკი (59%) (ნახაზი 3.3.14).

ნახაზი 3.3.13 - ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების გამოყენება




ბოლო 5 წლის მანძილზე ექსპორტიორი კომპანიების მიერ ფირმათაშორისი დაკრედიტების ფორმებით სარგებლობა უმეტეს შემთხვევებში (ჯამში 78%) გაიზარდა, უფრო კონკრეტულად კი: 10%-დან 20%-მდე გაიზარდა 31% შემთხვევაში, რესპოდენტების 20%-თვის გაიზარდა 20%-ზე მეტად, 19%-თვის გაიზარდა ექსპორტის მოცულობა, ხოლო დანარჩენ უმნიშვნელო შემთხვევებში ძირითადად მოხდა საექსპორტო მოცულობის შემცირება (ნახაზი 3.3.15).

ნახაზი 3.3.14 - ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების ფორმების მახასიათებლები




ნახაზი 3.3.15 - ვაჭრობის ფირმათაშორისი დაკრედიტების ფორმების მოცულობის ცვლილება ბოლო 5 წლის მანძილზე



ვაჭრობის დაკრედიტების საბანკო მომსახურების სარეგულობის კრილში გამოიყო 4 ძირითადი ბანკი: საქართველოს ბანკი (37%), თიბისი ბანკი (22%), პროკრედიტ ბანკი (16%) და ბაზისბანკი (14%) (ნახაზი 3.3.16).

ნახაზი 3.3.16 - რომელი ბანკ(ებ)ში სარგებლობთ ვაჭრობის/ექსპორტის დაკრედიტების მომსახურებით?




რაც შეეხება ვაჭრობის, უფრო კონკრეტულად კი ექსპორტის დასაფინანსებლად მომსახურე ბანკების შერჩევაზე მოქმედ ფაქტორებს, კვლევის შედეგების მიხედვით ყველაზე სენსიტიური ფაქტორი აღმოჩნდა საბანკო პროდუქტების ფასი (87%), რაც მოიცავს საპროცენტო განაკვეთებსა და საკომისიოებს. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა ვადა (81%), რაც ასევე მოსალოდნელი იყო, რადგან ექსპორტიორი კომპანიების და ზოგადად ბიზნესის გრძელვადიანი დაკრედიტების პრობლემები თეორიული კვლევის დროსაც ნათლად გამოიკვეთა. საერთაშორისო კვლევების შედეგებს ეხმიანება მოცემულ კვლევაში დაფიქსირებული ბანკის შერჩევაზე მოქმედი რეიტინგით მესამე ფაქტორი – მოთხოვნილი უზრუნველყოფა, რომელიც რესპოდენტთა 78%-ს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია და საერთაშორისო კვლევებზე ადასტურებს, რომ ეს საკითხი ნამდვილად დგას ექსპორტის დაკრედიტების პრობლემების რიგში (ნახაზი 3.3.17).

საინტერესო და დამაფიქრებელი აღმოჩნდა პასუხი კითხვაზე “ფლობთ თუ არა ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის რომელი პროდუქტების შემოთავაზება შეუძლია ბანკს”. აღმოჩნდა, რომ რესპოდენტი ექსპორტორების საკმაოდ დიდი ნაწილი – 77% არ ფლობს ინფორმაციას და დიდი ალბათობით არც მიმართავს ბანკს რისკების დაზღვევის ინსტრუმენტების


გამოსაყენებლად, რაც გვადლევს იმის საშუალებას, ვიფიქროთ, რომ უმეტეს შემთხვევაში ბანკს მხოლოდ დაკრედიტების საშუალებად განიხილავენ (ნახაზი 3.3.18). იგივე სურათი დაფიქსირდა მოდერნო კითხვის პასუხებშიც: რესპოდენტთა 76% საერთოდ არ სარგებლობს ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის არცერთი საბანკო პროდუქტით, ხოლო მოსარგებლეთა შორის ყველაზე მეტი ნაწილი 12% იყენებს სავალუტო ფორვარდს (12%), რომელსაც მოყვება 6-6%-ით სავალუტო ოფციონი და ფაქტორინგი და ბოლოს სვოპი – 4%-იანი მაჩვენებლით (ნახაზი 3.3.19).

ნახაზი 3.3.17


ვაჭრობის (ექსპორტის) დაფინანსებისთვის მომსახურე ბანკების შერჩევისას მოქმედი ფაქტორები



ნახაზი 3.3.18



ნახაზი 3.3.19 - ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის საბანკო პროდუქტებით სარგებლობა




კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების ანალიზისას ასევე გამოვლინდა წინა კითხვებში გამოვლენილი ტენდენცია. რესპოდენტთა უმრავლესობას არ უსარგებლია ან არ იცის პროდუქტის შესახებ, შესაბამისად ცუდი და ძალიან ცუდი შეფასებები არ გაკეთდა თითქმის არცერთ პროდუქტზე. შეფასება “კარგი” ყველაზე მეტი პროცენტული მაჩვენებლით დაფიქსირდა საკრედიტო ხაზის შემთხვევაში (18%), რაც დიდი ალბათობით ამ პროდუქტის მოქნილი პირობებითაა გამოწვეული (ათვისების და დაფარვის მოქნილობა). მასთან ახლო პოზიციაში იმყოფება დოკუმენტური ინკასო და გარანტია 17-17%-ით (ნახაზი 3.3.20.ა და ნახაზი 3.3.20.ბ).


კვლევის შედეგების მიხედვით, რესპოდენტთა 64%-თვის ზემოაღნიშნულ პროდუქტებთან დაკავშირებული საჭიროებები ბოლო პერიოდში გაზრდილია, რაც ერთგვარი სიგნალია კომერციული ბანკებისთვის, რომ გაააქტიურონ მუშაობა ამ მიმართულებით (ნახაზი 3.3.21).

ნახაზი 3.3.20ა -კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების შეფასება


შეაფასეთ კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტები (1)



ნახაზი 3.3.20ბ -კომერციული ბანკების მიერ შემოთავაზებული ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების შეფასება




ნახაზი 3.3.21 - ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე საჭიროების ცვლილება




აღმოჩნდა, რომ ბოლო 1 წლის მანძილზე ექსპორტიორების 59%-მა მიმართა ვაჭრობის დაფინანსების მოთხოვნით კომერციულ ბანკებს, 28%-მა არ მიმართა საკუთარი სახსრების არსებობის გამო, რაც საკმაოდ საიმედო მონაცემია, რადგან აღნიშნული მიუთითებს ექსპორტიორების გარკვეული ნაწილის ფინანსურ მდგრადობაზე, რომელთაც მინიმუმამდე ექნებათ დაყვანილი საპროცენტო დანახაჯები. კვლევაში მონაწილე კომპანიების 10% უარს აცხადებს ბანკისათვის მიუმართაობის მიზეზის დასახელებაზე, ხოლო 3% თვლის, რომ მაინც არ დააფინანსებდნენ და ამიტომ არ მიმართა ბანკს (ნახაზი 3.3.22). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათგან, ვინც მიმართა კომერციულ ბანკებს, 77%-ს სრულად დაუფინანსეს მოთხოვნილი თანხა, 16% ნაწილობრივ დააფინანსეს, მხოლოდ 4%-ს უთხრეს უარი, ხოლო 3%-მა დამტკიცებულ თანხაზე თქვა უარი მაღალის საპროცენტო განაკვეთისა და საკომისიოების გამო, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საკრედიტო პროდუქტების საკომისიოები და საპროცენტო განაკვეთი კვლავ რჩება სენსიტიურ თემად ზოგადად მომხარებლისთვის და ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ექსპორტიორი კომპანიებისათვის (ნახაზი 3.3.23).

ნახაზი 3.3.22 - ბოლო 1 წლის მანძილზე ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების მოთხოვნით საბანკო დაწესებულებებისადმი მიმართვიანობა




ნახაზი 3.3.23 - დაფინანსებისთვის მოთხოვნილი თანხის მიღების სისრულე




რესპოდენტები ასევე პოზიტიურად აფასებენ ბანკების პროაქტიულობას ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების შეთავაზებისას. 56% მიიჩნევს, რომ ხშირად სთავაზობენ ბანკები ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებს, 10% თვლის, რომ ძალიან ხშირად ხდება შეთავაზება, 24% კი აფიქსირებს, რომ იშვიათად სთავაზობენ ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებს კომერციული ბანკებიდან (ნახაზი 3.3.24).

ნახაზი 3.3.24 - ბანკების მხრიდან ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების შეთავაზების სიხშირე



საქართველოს კომერციული ბანკების შეფასებისას, რესპოდენტებში უმეტესწილად არსებობს ვაჭრობის დაფინანსების მიმართ პოზიტიური განწყობა და კრიტერიუმების 4 ბალიანი შკალიდან უმრავლესობა შეფასებულია 3 ბალით (კარგი). “საშუალო” შეფასებაში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (41%) აქვს პროცენტებისა და საკომისიოების თემას, რაც სხვა კითხვებშიც გაჟღერდა. ასევე გამოირჩევა ვადა, რომელსაც რესპოდენტების 33%-მა დაუწერა საშუალო, პროცედურების სიმარტივე და ბიუროკრატიის ნაკლებობა რესპოდენტთა 30%-მა შეაფასა საშუალოდ, ხოლო იგივე ქულით მოთხოვნილი უზრუნველყოფა შეაფასა კომპანიების 28%-მა (ნახაზი 3.3.25).


ნახაზი 3.3.25 - საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების შეფასება ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით




ბოლო 5 წლის მანძილზე გამოკითხული კომპანიების უმრავლესობისთვის (ჯამში 66%) გაიზარდა ვაჭრობის დაფინანსებისთვის გამოყენებული საბანკო პროდუქტების მოცულობა. პროპორციების გადანაწილება მოცემულია ნახაზში 3.3.26.

ექსპორტიორების აზრით, ბოლო 5 წლის განმავლობაში ბანკებიდან აღებულმა დაფინანსებამ პოზიტიურად იმოქმედა წმინდა შემოსავლებზე (net income from trade finance), რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ვაჭრობის დაფინანსების უმნიშვნელოვანეს როლს საერთაშორისო ვაჭრობის და კონკრეტულად ექსპორტის განვითარების საქმეში. რესპოდენტების 43%-თვის ბანკის დაკრედიტების შედეგად წმინდა შემოსავლები გაიზარდა 10%-ზე მეტად, 9%-თვის გაიზარდა 10%-ით და ასევე 9%-თვის გაიზარდა 5%-ით, 18%-თვის დაკრედიტების შედეგად არ შეცვლილა წმინდა შემოსავლები, ხოლო შემოსავლები შემცირდა ჯამში 9%-ს (ნახაზი 3.3.27).

ნახაზი 3.3.26 - ვაჭრობის დასაფინანსებლად გამოყენებული საბანკო პროდუქტების მოცულობის ცვლილება ბოლო 5 წლის მანძილზე



ნახაზი 3.3.27 - ბოლო 5 წლის განმავლობაში ბანკიდან აღებული დაფინანსების ზემოქმედება ექსპორტიორი კომპანიების წმინდა შემოსავლებზე (net income from trade finance)




კითხვაზე “რამდენად შეცვლილია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ბოლო 1 წლის მანძილზე”, რაც გულისხმობს რამდენად გამკაცრდა ან გამარტივდა მომსახურე ბანკების მხრიდან დაკრედიტების პოლიტიკა მოცემულ პერიოდში, რესპოდენტების 35% თვლის, რომ დაკრედიტების პოლიტიკა არ შეცვლილა, თუმცა ასევე 35% თვლის, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებულია, რაც შეიძლება დადებით მოცემულობად მივიჩნიოთ (ნახაზი 3.3.28).


ასევე თანაბრად არის გადანაწილებულ პროცენტული მაჩვენებლები ბოლო 1 წლის მანძილზე ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე ფასების (საპროცენტო განაკვეთები, საკომისიოები, ტარიფები) ცვლილებასთან დაკავშირებით: ექსპორტიორი კომპანიების 29% თვლის, რომ არ შეცვლილა და იგივე რაოდენობა - 29% თვლის, რომ გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები. მხოლოდ 19% მიიჩნევს, რომ შემცირებულია ტარიფები, თუმცა ეს მაჩვენებელი 10%-ით ჩამოუვარდება მათ, ვინც თვლის, რომ საპროცენტო განაკვეთები გაზარდილია (ნახაზი 3.3.29). აღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საკრედიტო პროდუქტებზე დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ

უმვირებს ექსპორტიორ კომპანიებს საბანკო ფინანსური რესურსით სარგებლობას და მიზანშეწონილია, რომ ეტაპობრივად მოხდეს გადასვლა დაფინანსების ალტერნატიულ არხებზე, თუმცა ალტერნატიული რესურსებით დაფინანსება მოითხოვს კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების სათანადო აღრიცხვა-მოწესრიგებას და ზოგადად ინტენსიურ მუშაობას ამ მაჩვენებლების გაუმჯობესების მიმართულებით, რათა მოხდეს ალტერნატიული დაფინანსების მომწოდებლების დარწმუნება კომპანიის პერსპექტიულობასა და მდგრადობაში.

ნახაზი 3.3.28 - რამდენად შეცვლილია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა თქვენი მომსახურე ბანკების მხრიდან ბოლო 1 წლის განმავლობაში




ნახაზი 3.3.29 - რამდენად შეიცვალა ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე ფასები (საპროცენტო განაკვეთი, საკომისიოები, ტარიფები) ბოლო 1 წლის განმავლობაში




დადებითი ტენდენცია შეინიშნება ბანკში შეტანილ განაცხადებზე უარყოფითი პასუხის მიღების სიხშირესთან დაკავშირებული კითხვის გაანალიზებისასაც. კვლევის შედეგების მიხედვით, ვაჭრობის დაფინანსების მოთხოვნაზე უარი არ მიუღია 71%-ს, 16%-მა იშვიათად, 5%-მა ძალიან იშვიათად, ხშირი უარი კი მხოლოდ 3%-მა მიიღო (ნახაზი 3.3.30), რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ გამოკითხულთა შორის არიან საქართველოს უმსხვილესი ექსპორტიორი კომპანიები, რომელთაც ბიზნესის მდგრადობიდან გამომდინარე მეტნაკლებად დასტაბილურებული აქვთ ბანკთან ურთიერთობა.

ნახაზი 3.3.30-ვაჭრობის დაფინანსებაზე უარის მიღების სიხშირე




სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ ბანკები უარის მიზეზს უმეტეს შემთხვევაში (31%) არ უკონკრეტებენ მომხმარებელს. კონკრეტული მიზეზებიდან კი მოწინავე ადგილს იკავებს არასაკმარისი უზრუნველყოფის (23%) გამო უარყოფილი განაცხადები, შემდეგ მოდის არასაკმარისი შემოსავლები (15%) და ბოლოს 5%-იანი მაჩვენებლით უარის მიზეზად სახელდება საექვო რეპუტაციის პარტნიორები (კონტრაგენტები)(ნახაზი 3.3.31).

ნახაზი 3.3.31 - ვაჭრობის დაფინანსებაზე უარის მიზეზები



ექსპორტიორი კომპანიების აზრით, ვაჭრობის დაფინანსების ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის ტრადიციულად პირველი ადგილი უკავია მაღალ საპროცენტო განაკვეთებსა და საკომისიოებს (57%), ასევე მნიშვნელოვანია გრძელვადიანი დაფინანსების პრაქტიკის არარსებობა (32%) და დიდ მოცულობის უზრუნველყოფის მოთხოვნა (16%). რესპოდენტთა 13%-ის აზრით ბანკების მხრიდან გამკაცრებულია დაკრედიტების პოლიტიკა, ხოლო 3% თვლის, რომ არ სთავაზობენ მის კომპანიის საჭიროებებზე მორგებულ პროდუქტებს (ნახაზი 3.3.32).

ნახაზი 3.3.32 - ვაჭრობის დაფინანსების ხელისშემშლელი ფაქტორები




კითხვარის C ბლოკი მოიცავდა ვაჭრობის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების (fund raising) შესახებ რამდენიმე კითხვას. აღნიშნული ბლოკის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ექსპორტიორი კომპანიების უმრავლესობა (76%) საერთოდ არ იყენებს ვაჭრობის დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებს, თუმცა 21% ცდილობს სახელმწიფო თანადაფინანსების მოპოვებას. რაც შეეხება ინვესტორების მოზიდვას (1%), გრანტების მოპოვებას (3%) და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან სახსრების მოძიებას (2%), დაფინანსების ამ წყაროებს ძალიან უმნიშვნელო მაჩვენებლები გააჩნია (ნახაზი 3.3.33).


რაც შეეხება დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გამოყენების პრობლემებს, სპეციფიურობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს 24%, ძალიან მნიშვნელოვნად კი 20%, რაც ჯამში შეადგენს 44%-ს. ნაკლებად მნიშვნელოვნად და საერთოდ უმნიშვნელოდ თვლის ჯამში 47%, ხოლო 8% ვერ აფიქსირებს თავის პოზიციას. არამდგრად საინვესტიციო

გარემოს მნიშვნელოვან და ძალიან მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევა ჯამში 52%, ხოლო ხალხის უნდობლობას ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) მიმართ მნიშვნელოვან პრობლემად მიაჩნია ჯამში 18%-ს (ნახაზი 3.3.34).

ნახაზი 3.3.33 - ვაჭრობის დაფინანსების ალტერნატიულ წყაროების ცნობადობა




ნახაზი 3.3.34 - დაფინანსების ალტერნატიული წყაროების პრობლემები




კითხვარის D ბლოკი ეხებოდა ვაჭრობის დაფინანსებისა და ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებს. სამწუხაროდ, ვაჭრობის ხელშეწყობის არცერთი სახელმწიფო პროგრამით არ უსარგებლია კვლევაში მონაწილე კომპანიების 75%-ს, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ექსპორტიორი კომპანიები მხოლოდ საბანკო დაკრედიტებაზე არიან

დამოკიდებულნი. ეს ერთის მხრივ შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამების არაეფექტურობით ან იმით, რომ ვერ მოიცავს ექსპორტიორთა ყველა სეგმენტს და მხოლოდ კონკრეტულ სეგმენტებზეა აქცენტი გაეკეთებული. შეღავათიანი აგრო კრედიტებით კვლევაში მონაწილე კომპანიების 16%-ს, ხოლო პროექტით “აწარმოე საქართველოში” 13%-ს აქვს ნასარგებლები, სტარტაპ საქართველო და სახელმწიფო თანადაფინანსების სხვა პროექტები გამოყენებული აქვს 1-1%-ს (ნახაზი 3.3.35). ვაჭრობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები ეფექტურად შეაფასა რესპოდენტთა 16%-მა, ხოლო ძალიან ეფექტურის სტატუსი მიანიჭა 12%-მა, შეფასებისგან კი თავი შეიკავა კომპანიების 18%-მა. ჯამში სახელმწიფო პროგრამები ეფექტურად მიიჩნია 28%-მა, რაც არც ისე სახარბიელო მაჩვენებელია (ნახაზი 3.3.36).

ნახაზი 3.3.35 - ვაჭრობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა



ნახაზი 3.3.36 - ვაჭრობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შეფასება



საინტერესოა ის რეკომენდაციები, რომლებიც ვაჭრობის დაფინანსების სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიმართულებით მოვისმინეთ ექსპორტიორი კომპანიებისგან. რეკომენდაციებში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა

- ✓ “იყოს მეტად აქტიური კამპანია, რომ კომპანიები გათვითცნობიერდნენ ასეთი პროგრამების არსებობის შესახებ და გამოიყენონ”
- ✓ “არ ვიცნობ სახელმწიფო სახელმწიფო პროგრამებს, არ არის ხელმისაწვდომი“
- ✓ არ მაქვს ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებზე”
- ✓ “სახელმწიფო პროგრამებით არ ვსარგებლობთ და არც ვიცით როგორ ვისარგებლოთ, არ არის ხელმისაწვდომი“
- ✓ “არ გვქონია შემოთავაზება და არ ვიცი“
- ✓ “არ ვიცნობ სახელმწიფო დაფინანსების დეტალებს“

2. სახელმწიფო პროგრამების ბიუროკრატია

- ✓ “ჩემი აზრით ეს პროგრამები არაეფექტურია. იმდენ საბუთებს გთხოვენ, ჯობია არ მიიღო მონაწილეობა“
- ✓ “არ მიგვიწვდება ხელი, ძალიან ბევრ საბუთს ითხოვენ“

✓ “ერთადერთი შენიშვნა გვაქვს არის ის რომ ითხოვენ ძალიან ბევრ საბუთებს რომელიც დროში იწელება და ეს ქმნის პრობლემებს“

✓ “ძალიან რთულია ამ პროექტში მონაწილეობა. გახადონ უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი“

3. მოცულობა დასაპროცენტო განაკვეთი

✓ “შეცვალონ პოლიტიკა შეღავათიან სესხებთან და სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებით. გაზარდონ მოცულობა, მაქსიმალურად დაბალპროცენტოანი სესხები“

✓ “თანხის ოდენობის გაზრდა“

4. მხოლოდ რამდენიმე მართულების ბიზნესის დაფინანსებაზე კონცენტრირება

✓ “სასურველის სახელმწიფომ მეტი ყურადღება მიაქციოს სხვადასხვა ბიზნესებს; დაფინანსების თვალსაზრისით“

✓ “მეტი ინვესტიციის განხორციელება სოფლის მეურნეობაში“

✓ “სახელმწიფომ თანაბრად უნდა დააფინანსოს ყველა კომპანია და არ უნდა მოხდეს კომპანიების განსხვავება. დაფინანსება უნდა მოხდეს არამხოლოდ აგრო კუთხით, არამედ ჩვენი მსგავსი კომპანიებიც უნდა იქნეს დაფინანსებული“

✓ “კარგი იქნება თუ სახელმწიფო დააფინანსებს არამხოლოდ აგრო სფეროს არამედ სხვა ტიპის ბიზნესსაც“

✓ “სახელმწიფო არ არის ჩართული ხის მასალების თანადაფინანსებაში“

✓ “არ გვეხება თანადაფინანსება, ჩვენი ტიპის კომპანიებს (ხორცპროდუქტები)“

5. გრანტები

✓ “გრანტებს გასცემენ მცირე რაოდენობით, რომელიც ხელმიუწვდომელია ყველა ტიპის კომპანიისათვის“

✓ “გაგრძელდეს სახელმწიფო გრანტები“

✓ “გაგრძელდეს თანადაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან“

6. უზრუნველყოფის პრობლემები

✓ “კარგი იქნება, თუ გამარტივდება საკითხი უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. სახელმწიფო უნდა იყოს ჩართული ამ საკითხში“


7. არაფინანსური მხარდაჭერა

- ✓ “სახელმწიფო ნაკლებად არის ჩართული ბიზნესის ხელშეწყობაში, ბიზნესისთვის საჭირო რეგულაციების შემუშავებაში რომელიც სამედიცინო საქონლის მხარეს აზიანებს“
- ✓ “სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სამედიცინო მხარესაც და ხელმისაწვდომი გახადოს “ჯიემპის” ხარისხი“
- ✓ “სახელმწიფო ვალდებულია არამარტო დაფინანსების კუთხით დაეხმაროს ბიზნესს, არამედ ექსპორტზეც შეუწყოს ხელი (ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებთან)“
- ✓ “ჩვენი ტიპის კომპანიების პრობლემაა ის, რომ სამაცივრე მეურნეობა არ არის განვითარებული, რომელიც აფერხებს ბიზნესის განვითარებას. კარგი იქნება თანადაფინანსებით მოხდეს ამ პრობლემის აღმოფხვრა“


კითხვარის ბოლო, E ბლოკი ეხებოდა ექსპორტიორი კომპანიების სამომავლო განწყობასა და ზოგად მოლოდინებს. უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური განწყობაა საექსპორტო მაჩვენებლების ზრდის მოლოდინთან დაკავშირებით, რადგან რესპოდენტების 64% თვლის, რომ გაიზრდება მათი კომპანიის მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობა (ნახაზი 3.3.37). სამწუხაროდ, ექსპორტიორი კომპანიების უმეტესობამ (33%) არ იცის/ვერ ასახელებს, თუ როგორ გეგმავს სამომავლოდ ექსპორტის გაფართოებას, თუმცა 25% გასაღების ბაზრების, ხოლო 24% საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციით აპირებს ექსპორტის გაფართოებას. ინოვაციური პროდუქტების ექსპორტზე გატანას მხოლოდ 12% გეგმავს, ხოლო 5% გაფართოებას შეეცდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გაეზრდება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა (ნახაზი 3.3.38).

რაც შეეხება ექსპორტიორი კომპანიების მოლოდინებს ვაჭრობის დაფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც პოზიტიურად არიან განწყობილები: 52% თვლის, რომ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა გაიზრდება, ხოლო 27%-ის აზრით გაიზრდება, მაგრამ უმნიშვნელოდ. ნეიტრალურად განწყობილია 18%, რადგან არ აქვს არანაირი მოლოდინი, ხოლო პესიმისტურად განწყობილია მხოლოდ 1%. (ნახაზი 3.3.39).


ნახაზი 3.3.37 - მოლოდინები თქვენი კომპანიის საექსპორტო მაჩვენებლების ზრდის მიმართულებით



ნახაზი 3.3.38 - ექსპორტის დივერსიფიკაციასთან დაკავშირებული გეგმები



ნახაზი 3.3.39 - მოლოდინები ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით



ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივი კვლევის შედეგების შეჯამებისას დასკვნის სახით შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხი:

- იმ კომპანიებს შორის ვისაც არ უსარგებლია საბანკო კრედიტით დაახლოებით 30% აღნიშნულის მიზეზად ასახელებს საბანკო კრედიტით სარგებლობის სირთულეს, რაშიც მოიაზრებენ როგორც საპროცენტო განაკვეთების ოდენობას, ასევე უზრუნველყოფის მაღალ მოთხოვნებს.
- აღსანიშნავია, რომ მათ რიცხვში მართალია მცირე ოდენობით (7%), მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ფირმათაშორისი დაკრედიტებით მოსარგებლე კომპანიები, რომლებიც პარტნიორების ნდობით შემოიფარგლებიან და მეტად რისკიან სავაჭრო ტრანზაქციებს ასრულებენ აღნიშნული რისკების საბანკო დაზღვევის ფორმების გამოყენების გარეშე.
- კვლევაში მონაწილე კომპანიების 28%-მა ბოლო 5 წლის მანძილზე გაზარდა საექსპორტო პროდუქციის სახეობების რაოდენობა 2-დან 5-მდე დიაპაზონით, თუმცა საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 34%-ს ბოლო 5 წლის მანძილზე საერთოდ არ განუხორციელებია საექსპორტო პროდუქციის სახეობების დივერსიფიკაცია. სწორედ ამ ტიპის კომპანიებისთვის რეკომენდირებულია ბაზრის

კვლევის ჩატარება, რაც დაეხმარება მათ შეისწავლონ საექსპორტო ბაზრებზე არსებული მდგომარეობა და მოთხოვნის შესაბამისად მოახდინონ არსებული პროდუქციის გამრავალფეროვნება, რადგან დივერსიფიკაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია რისკების დაზღვევისათვის – რომელიმე კონკრეტული პროდუქციის ბაზარზე არსებული “ჩავარდნების” შემთხვევაში კომპანიას ექნება შესაძლებლობა დანაკარგების კომპენსირება მოახდინოს სხვა სახეობის საქონლის რეალიზაციით.

- გასათვალისწინებელია, რომ კვლევის შედეგების მიხედვით ექსპორტიორი კომპანიების საკმაოდ დიდი ნაწილი (77%) არ ფლობს ინფორმაციას რისკების დაზღვევის საბანკო ინსტრუმენტების შესახებ, რაც გვამლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ისინი ბანკს მხოლოდ დაკრედიტების საშუალებად განიხილავენ და იშვიათად სარგებლობენ სავაჭრო თუ სავალუტო რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტებით.

- შესაბამისად, ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების ჭრილში პოპულარული პროდუქტია გარანტია, ხოლო ოფციონის, ფიუჩერსის, აკრედიტივისა და ფაქტორინგის შესახებ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი არფლობს ინფორმაციას.

- კვლევის შედეგების მიხედვით დაბალია ექსპორტიორი კომპანიების ინფორმირებულობის დონე დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებთან (fund raising) დაკავშირებით.

- ექსპორტიორი კომპანიის წარმომადგენლები კვლევაში აფიქსირებენ, რომ სასურველია სახელმწიფო პროგრამების მოქმედების არეალი გაიზარდოს დასაფინანსებელი კომპანიების მიმართულებების ჭრილში და მაქსიმალურად იყოს მოცული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და პერსპექტიული სექტორების დაფინანსების კუთხით.

რაოდენობრივი კვლევის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები შემდგომში გამოყენებულია ექსპორტიორი კომპანიების მხრიდან დაფიქსირებული პრობლემების დეტალური შესწავლის მიზნით. აღნიშნული კვლევის ფარგლებში მონიშნული საყურადღებო საკითხები აღმოფხვრისა და პრევენციის შესაძლებლობებში გასარკვევად


ამ თემატიკასთან დაკავშირებით ჩატარდა თვისებრივი კვლევა კომერციული საბანკო სექტორის მენეჯმენტთან ჩაღრმავებული ინტერვიუების სახით.

3.4. საქართველოს კომერციული ბანკების თვისებრივი კვლევის ანალიზი ვაჭრობის (მათ შორის ექსპორტის) დაფინანსების საკითხებზე

თეორიული კვლევისა და ლიტერატურული ანალიზის დროს განვიხილეთ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ე.წ. სამი ინსტანციის რგოლი, რომელთაგან თითოეულს თავისი როლი და თავისი წილი პასუხისმგებლობა გააჩნია საერთაშორისო ვაჭრობის და კონკრეტულად ექსპორტის დაფინანსების ხელშეწყობის კუთხით. უფრო მკაფიოდ რომ შევხედოთ სამივე ინსტანციის საფინანსო ინსტიტუტებს, მათი მასშტაბები და მომხმარებელთან, ამ შემთხვევაში იგულისხმება საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებთან შეხების წერტილები მოცემულია ნახაზზე 3.4.1.

როგორც დიაგრამიდან იკვეთება, სამივე ინსტიტუცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის მიმართულებით, თუმცა საერთაშორისო ინსტიტუტები და ეროვნული ბანკი არაპირდაპირ, მაგრამ კომერციული ბანკების მეშვეობით მაინც იკვეთებიან მომხმარებელთან. რაც შეეხება კომერციული საბანკო სექტორს, მათ უშუალო შეხება აქვთ კლიენტთან და სწორედ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსებითა და ეროვნული ბანკის რეგულაციების გათვალისწინებით სხვადასხვა ტიპის საბანკო პროდუქტებს და ოპერაციებს სთავაზობენ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებს.

ნახაზი 3.4.1. – საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის “სამი ინსტანცია”



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ექსპორტიორ კომპანიებთან ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ჯერ კიდევ არსებობს საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების და განსაკუთრებით ექსპორტის დაფინანსების კუთხით გარკვეული რეზერვები და ისეთი სახის პრობლემატიკა, რომლის მოგვარებაც უფრო მეტად სასარგებლო იქნებოდა ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ მომხმარებელთან პირდაპირი შეხება კომერციულ ბანკებს აქვთ და ყველაზე მეტად მათ იციან (უნდა იცოდნენ) საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული კომპანიების საჭიროებები და ზოგადად, ბიზნესის დაკრედიტების გამოწვევები, აღნიშნულ საკითხებზე დეტალური ჩაღრმავებისთვის ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა კომერციული ბანკების მენეჯმენტთან და ფილიალების თანამშრომლებთან, ვისაც უშუალო შეხება აქვს მომხმარებელთან.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევა მიზნად ისახავდა ვაჭრობის დაფინანსების, კონკრეტულად ექსპორტის დაფინანსების კუთხით ექსპორტიორი კომპანიების მიერ

დაფიქსირებული პრობლემური საკითხების მოგვარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შეფასებას კომერციული საბანკო სექტორის ხედვებზე დაყრდნობით.

კვლევის ფარგლებში დასახული მიზნის მისაღწევად დაიდენტიფიცირდა და განისაზღვრა შემდეგი **ამოცანები**:

- როგორ გამოიყურება ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებით სარგებლობის შესაძლებლობების ტერიტორიული გავრცელების არეალი კომერციულ ბანკებში

- რამდენად საკმარისია კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული პროდუქტები, რამდენად სრულფასოვნად აკმაყოფილებს აღნიშნულ სექტორში არსებულ საჭიროებებს და რა გამოწვევები არსებობს ამ მიმართულებით

- მსოფლიო პროდუქტების კატალოგიდან ვაჭრობის (ექსპორტის) დაფინანსების რომელ პროდუქტს ვერ ვთავაზობთ ქართულ კომპანიებს და რა მიზეზით

- რა მდგომარეობაა საფილიალო და დისტანციური პროცესების ოპტიმიზაცია/დიჯიტალიზაციის მიმართულებით. რამდენად პრიორიტეტულია ეს საკითხი ბანკისთვის და ვაჭრობის დაფინანსების ტრანზაქციის რა ნაწილის გაკეთება არის შესაძლებელი დისტანციურად.

- რამდენად არის ბანკებში მზაობა და თვლიან, რომ საჭიროა კონკრეტულად ექსპორტიორ კომპანიების მოთხოვნებზე მორგებული პროდუქტების/პაკეტის (ნაკრების) შექმნა/პოზიციონირება

- ბანკების დაკრედიტების პოლიტიკის ზოგადი შეფასება და მასზე მოქმედი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა

- საგარანტიო ფონდის შექმნის ახალი ინიციატივის შეფასება

- კომერციული ბანკების ხედვა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე სახელმწიფო პოლიტიკის, საერთაშორისო რეგულაციებისა (ბაზელ III) და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გავლენასთან დაკავშირებით.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. კერძოდ, სამიზნე ჯგუფისთვის შერჩეული იქნა ჩადრმავებული ინტერვიუს მეთოდი ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარით. აღნიშნული მეთოდი

საშუალებას იძლევა მოხდეს რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დეტალიზება და სიღრმისეული ანალიზი.

მონაცემთა აკუმულირება. კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევის შემდეგ განისაზღვრა კვლევის სამიზნე ჯგუფი, მონაწილე სუბიექტების რაოდენობა და შემუშავდა კითხვარი. ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივი კვლევის დროს მიღებული შედეგების კიდევ უფრო ჩაღრმავებისა და დაფიქსირებული პრობლემატიკის აღმოფხვრის გზების ძიების მიზნით, ასევე კომერციული საბანკო სექტორის ხედვების, სტრატეგიისა და ვაჭრობის დაფინანსების განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებისთვის ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა კომერციული ბანკების იმ დეპარტამენტების და განყოფილებების მენეჯმენტთან, რომლებიც ჩართულები არიან ვაჭრობის დაფინანსებაში. შერჩეული იქნა საქართველოს საბანკო სექტორის უმსხვილესი ბანკები, მათ შორის ის ბანკებიც, რომლებთან სავაჭრო დაფინანსებაზე ურთიერთობის შესახებაც ისაუბრეს ექსპორტიორმა კომპანიებმა რაოდენობრივ კვლევაში. ჩაღრმავებულ ინტერვიუში მონაწილე რესპოდენტების პოზიციები მოცემულია ცხრილში 3.4.1.

ცხრილი #3.4.1: კომერციული ბანკების მენეჯმენტთან ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპოდენტების პროფილი

ბანკი	რესპოდენტის პოზიცია
სს თიბისი ბანკი	ვაჭრობის ფინანსირებისა და დოკუმენტური ოპერაციების ჯგუფის უფროსი
სს საქართველოს ბანკი	ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის დირექტორი ICC Banking commission-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი
სს ლიბერთი ბანკი	რეგიონალური მართვის დირექტორის მოადგილე
სს იშბანკ საქართველო	საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობების სამმართველოს უფროსი
სს ტერაბანკი	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების განყოფილების უფროსი

იმისათვის, რომ კვლევის ფარგლებში სრულყოფილად მომხდარიყო ინფორმაციის ამოღება და გაანალიზება, სამიზნე ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავდა

ინტერვიუს სახელმძღვანელო კითხვარი კომერციული ბანკების მენეჯმენტისთვის, რომელიც მოიცავდა 5 ბლოკს:

- A ბლოკი -ზოგადი ინფორმაცია
 - B ბლოკი - ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტები / ინსტრუმენტები / პროცესები
 - C ბლოკი - მოკორესპოდენტო ბანკებთან ურთიერთობა
 - D ბლოკი-ბანკის დაკრედიტების პოლიტიკა ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით
 - E ბლოკი – ვაჭრობის დაფინანსების საბანკო პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები
- სახელმძღვანელო კითხვარში აქცენტები იყო გაკეთებული შემდეგი ძირითადი

საკითხების გამოკვლევაზე:

- ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებით სარგებლობის შესაძლებლობების ტერიტორიული გავრცელების არეალი კომერციულ ბანკებში
- ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების მსოფლიო ასორტიმენტთან შედარებით
- ქართული პროდუქტების საკმარისობა სექტორში არსებული საჭიროების დასაკმაყოფილებლად
- საფილიალო და დისტანციური პროცესების ოპტიმიზაცია/დიჯიტალიზაციის პერსპექტივები
- ექსპორტიორ კომპანიების მოთხოვნებზე მორგებული პროდუქტების/პაკეტის (ნაკრების) შექმნა/პოზიციონირების აუცილებლობა
- მოკორესპოდენტო ბანკებთან ურთიერთობის გამოწვევები
- ბანკების დაკრედიტების პოლიტიკის ზოგადი შეფასება და მასზე მოქმედი და ხელისშემშლელი ფაქტორები
- ბანკების ხედვა სახელმწიფო, ეროვნული ბანკის, ბაზელ III–ის რეგულაციების და საერთაშორისო ინსტიტუტების ზემოქმედებისა და სამომავლო მიზანშეწონილი ქმედებების შესახებ ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის მიმართულებით.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5 ჩაღრმავებული ინტერვიუ. სამიზნე ჯგუფის თითოეულ წევრთან თავდაპირველად მოხდა ტელეფონით დაკავშირება და კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესახებ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია, რის შემდეგაც

ჩაინიშნა ინდივიდუალური ინტერვიუები კომერციული ბანკების მენეჯმენტთან. მონაცემების მაქსიმალურად დეტალური დამუშავებისთვის მოხდა ჩაღრმავებული ინტერვიუს აუდიო ჩანაწერების გაკეთება, თუმცა რესპოდენტებს კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან ერთად განემართათ როგორც აუდიო ჩანაწერის გაკეთების მიზნობრიობა, ასევე მკვლევარის მხრიდან ინფორმაციის გავრცელებისას კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის პასუხისმგებლობა. ინტერვიუს დასრულების შემდეგ გაკეთდა ე.წ. ტრანსკრიპტები, რომლებშიც აისახა ინტერვიუს მსვლელობის დროს მოწოდებული სრული ინფორმაცია. ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა 50-60 წუთი.

კომერციული ბანკების მენეჯმენტთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუს კვლევის შედეგები. იქიდან გამომდინარე, რომ რაოდენობრივ კვლევაში ექსპორტიორი კომპანიების მიერ შედარებით უფრო ამომწურავად მოხდა უშუალოდ ექსპორტის დაკრედიტებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის გავრცობა და გამოიკვეთა, რომ მათთვის ვაჭრობის ხელშეწყობა მაინც უფრო მეტად სესხებთან ასოცირდება და ნაკლები ინფორმაცია გაააჩნიათ ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის (ჰეჯირების) ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუების დროს ფოკუსირება გაკეთდა სწორედ ვაჭრობის ფინანსირებისა (Trade Finance) და რისკების დაზღვევის ინსტრუმენტებზე და მათთან დაკავშირებული პრობლემების ინდენტიფიცირებაზე.

პირველ (A) ბლოკში ძირითადად გაკეთდა პირველადი ინფორმაციის მოძიება კვლევაში მონაწილე ბანკებისა და მათი წარმომადგენლების ბანკში დაკავებული პოზიციების, თითოეული ბანკის კრილში ვაჭრობის დაფინანსების გეოგრაფიული არეალისა და ამ მიმართულებით არსებული სტრუქტურული ერთეულებისა და ზოგადად სტრუქტურული ფორმატის შესახებ.

ვაჭრობის დაფინანსების მიმართულების სტრუქტურული წყობა ქართულ კომერციულ ბანკებში. ჩაღრმავებული ინტერვიუების ტრანსკრიპტების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებული მომსახურების მიღება თითქმის ყველა ბანკში მსხვილი ფილიალების 70-95%-შია შესაძლებელი (სერვის ცენტრების გარდა),

თუმცა აქ უნდა განვიხილოთ ორი მიმართულება: 1. ვაჭრობის და ზოგადად მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების სრული ციკლი ხდება ფილიალებშივე. მიუხედავად იმისა, რომ რისკების, ქონების შეფასებისა და ბექ ოფისის დეპარტამენტები ცენტრალიზებულად არის წარმოდგენილი, მომხმარებლისთვის და ამ შემთხვევაში კომპანიისთვის დაკრედიტების პროცესი მიმდინარეობს ერთ სივრცეში. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როდესაც უკვე ბანკებს ფილიალებში ჰყავთ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის წარმომადგენლებიც და ფილიალებშივე კეთდება დაკრედიტების მიზნით უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის პროცედურები. 2. ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტებით (Trade Finance) სარგებლობა, როგორებიცაა გარანტიები, აკრედიტივები, ფაქტორინგი და ა.შ. ამ შემთხვევაშიც 2 მიმართულება გამოიკვეთა: შედარებით მცირე ზომის ბანკები, რომლებსაც ბაზარზე არ გააჩნიათ ძალიან დომინანტური წილი, უფრო მოქნილები არიან, პროცესები აქვთ სისტემატიზირებული და ბექში ჰყავთ ძალიან ცოტა თანამშრომლები (ერთი ქვეგანყოფილება, ერთი თანამშრომელი), რადგან მცირე მასშტაბების გამო შეუძლიათ აიღონ საკუთარ თავზე დეცენტრალიზებული სტრუქტურის შედეგად დამდგარი ისეთი რისკები, როგორებიცაა: კვალიფიკაციის პრობლემის ან სხვა ფაქტორების გამო დაფიქსირებული თანამშრომლის შეცდომები, თაღლითობები (ე.წ. ფროდები) და ა.შ.

“...სტრუქტურა არის ისეთი, რომ მთელივე პროცესი არის სისტემატიზირებული, სტანდარტიზებული დაშესაბამისად ბექში “სტაფის” დიდი რაოდენობა არ არის აუცილებელი. “სტაფი” საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ რაღაც კონკრეტული განსხვავებული და გამონაკლისი ქეისების შემთხვევაში. რაც შეეხება ზოგადად ამ პროდუქტის მომსახურებას ბაზარზე, საფილიალო ქსელი უზრუნველყოფს, ქსელში არსებული თანამშრომლები, რომლებიც რათქმაუნდა ბევრნი არიან...”

რაც შეეხება მსხვილ ბანკებს, რომლებსაც ბაზარზე წამყვანი პოზიციები უკავიათ, მათთან ვაჭრობის დაფინანსების დეპარტამენტის სტრუქტურული წყობა დასავლური ბანკების მსგავსია: Trade Finance სტრუქტურულად არის კორპორატიული სექტორის დაქვემდებარებაში, რადგან ბანკების წარმომადგენლების თქმით, ამ ტიპის სერვისებს

ძირითადად მსხვილი კორპორატიული კლიენტები იყენებენ. ამის მიზეზად ასახელებენ იმ ფაქტს, რომ ვაჭრობის დაფინანსებას (გარანტიები, აკრედიტივები ა.შ.) გააჩნია გარკვეული საკომისიო, ხოლო მიკრო, მცირე და საშუალო (MSME) სეგმენტი მცირე ზომის კომპანიებია, მცირე მასშტაბები აქვთ და შესაძლოა უღირდეთ რისკების აღება საკუთარ თავზე საკომისიო დანახარჯების დაზოგვის მიზნით. კორპორატიული კლიენტები კი უფრო მეტად აცნობიერებენ აღნიშნულ რისკებს და ურჩევენიათ დააზღვიონ ეს რისკები თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე. თუკი ამ ყველაფერს შევხედავთ ექსპორტიორი კომპანიების ჭრილში, იქიდან გამომდინარე, რომ კორპორატიულ სექტორს ექსპორტიორების მხოლოდ გარკვეული ნაწილი მიეკუთვნება (მაგალითად: მინერალური წყლებისა და ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანიები), დამწყები ექსპორტიორები კი ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები არიან, ფაქტია, რომ მათთან უფრო მეტია სამუშაო რისკების დაზღვევის ინსტრუმენტების სარგებლიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლების კუთხით.

რაც შეეხება ვაჭრობის დაფინანსების სტრუქტურულ ფორმას მსხვილ ბანკებში, ისინი მცირე ზომის ბანკების დეცენტრალიზებული ფორმისგან განსხვავებით ირჩევენ ცენტრალიზებულ ფორმას, რაც პორტფელის ხარისხის კუთხით საინტერესოა, თუმცა მომხმარებლისთვის საკმაოდ გართულებული პროცესია. აღნიშნული არჩევანის მიზეზად ვაჭრობის დაფინანსების და რისკების დაზღვევის ინსტრუმენტების სპეციფიურობას და ამ სპეციფიურობის გათვალისწინებით, კვალიფიციური კადრების დეფიციტსასახელებენ, რადგან ამ სფეროში კომპეტენცია რამდენიმეწლიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად ყალიბდება და თუნდაც მაგისტრის ხარისხის მქონე ადამიანს, მაინც სჭირდება გარკვეული პერიოდი იმისათვის, რომ შეიძინოს ისეთი ხარისხის გამოცდილება, რომ შესაძლებელი იყოს მისი ჩართვა კლიენტთან მომსახურების პროცესში.

“... დასავლეთში რაც არის კარგი, საქართველოში ამისი რესურსი ძალიან ცოტაა იმიტომ, რომ ეს არ არის სერვისი, რომელიც შეგიძლია პირდაპირ MBA-ს დამთავრებული მოიყვანო, დასვა და გააკეთებინო. ამას სჭირდება სპეციფიური ცოდნა, გამოცდილება და პრაქტიკა. დრო სჭირდება...”

მსხვილ ბანკებში თვლიან, რომ სწორი სტრუქტურა ალბათ უფრო დეცენტრალიზებული ფორმატი და კვალიფიციური კადრების ფილიალში, “ფრონტ ოფისში” განთავსება იქნებოდა, რაც ამ ეტაპზე კადრების დენადობისა და ზოგადად ამ მიმართულების შესახებ სპეციფიური ცოდნისა და გამოცდილების დეფიციტის გამო ვერ ხერხდება. ამჟამად, ფილიალის თანამშრომლებს ეხებათ მხოლოდ შეთავაზების გაკეთება და ზოგადი ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებისათვის. ნებისმიერი გარანტია თუ აკრედიტივი ვიზირდება სათაოში. ამ მიდგომის მართებულობას ასევე საოპერაციო რისკებისა და გარანტიებთან დაკავშირებული თაღლითობებისგან (ე.წ. ფროდები) თავის დაზღვევის არგუმენტით ხსნიან.

“... მიუხედავად იმისა, რომ რისკები და სრული პორტფელი გადაზღვეული გვაქვს, მაინც არ ვართ მზად, რომ დეცენტრალიზაცია მოვახდინოთ. პროცესებიც აწყობილი გვაქვს, მაგრამ მაინც არის საკმაოდ რთული სტრუქტურა, რასაც ვერ დავავალებთ ფილიალის მენეჯერს, რომელმაც კარგად არ იცის რა არის გარანტია. ადრე სრულად ვატრენინგებდით მთლიან “სტაფს”, მაგრამ რადგან შესაძლოა წელიწადში ერთხელ ჰქონოდათ შეხება, მაინც ავიწყდებოდათ. ეხლა არის ზოგადი სკრიპტი, რომლის მიხედვითაც ფილიალი მომხმარებელს უწევს კონსულტაციას D და ამისამართებს სათაოში. ეხლა ხარისხობრივად ბევრად გამართული სქემაა, ვიდრე ადრე, როდესაც აბნევდნენ და რაღაც “ლაბირინთებში” მიჰყავდათ კლიენტი ...”

ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების ქართული და მსოფლიო ასორტიმენტი.

კომერციულ ბანკებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს B ბლოკი გულისხმობდა ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებსა და პროცესებთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებას. რესპოდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქართული ბანკების მიერ შეთავაზებული ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების ასორტიმენტი საკმაოდ განვითარებულია და აკმაყოფილებს სექტორში არსებულ საჭიროებებს. გარდა ამისა, ბანკები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ იყვნენ მაქსიმალურად მოქნილები და სტანდარტული პროდუქტების გარდა, შესაძლებლობის ფარგლებში დააკმაყოფილონ მომხმარებლის მხრიდან წამოსული ყველა არასტანდარტული მოთხოვნა და “ქეისი”,

თუმცა პროდუქტების კუთხით არსებობს ლიმიტების პრობლემა, განსაკუთრებით აკრედიტივების ჭრილში.

“... აქ არის ლიმიტების თემა, განსაკუთრებით აკრედიტივების კუთხით. უცხოური ბანკი რომ წამოვიდეს შენთან თანამშრომლობაზე, ჯერ გთხოვს A კლასის ბანკის ან რომელიმესაერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის coverage-ს. მაგალითად, EBRD-ს ან IFC-ს, რაც აძვირებს. თვითონ EBRD-ს, IFC-ს და ADB-ს აქვს ეს trade finance ხაზები, რომლებსაც გამოუყოფენ ბანკებს, მაგრამ ამათი გარანტია, რომ მიაწოდო და მერე სხვა ბანკმა ამ გარანტიის საფუძველზე კიდევ გასცეს გარანტია, რაც უფრო მეტი ბანკია ჩართული, მით უფრო რთულდება პროცესიც და ფასიც ძვირდება...”

საინტერესოა რესპოდენტების კიდევ ერთი ვერსია ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების ტარიფებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ფასები მიზმულია არა მხოლოდ ბანკის რისკზე (რაც წარმატებული ბანკების შემთხვევაში საკმაოდ კარგი კოეფიციენტია), არამედ ქვეყნის რისკზე. ფასების გენერირების, პირველი “ალერტორი” არის სწორედ ქვეყნის რისკი. შესაბამისად, წარმატებულ ბანკებს, ბევრად უფრო მოქნილი ფასების და ტარიფების შეთავაზება შეეძლებოდათ ქვეყნის რისკი, რომ ნორმალურ ნიშნულზე იყოს, მაგრამ როგორც ისინი აცხადებენ მათ “ზღუდავს ქვეყნის რისკი”. გარდა ზემოხსენებული მიზეზებისა, ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების ტარიფებზე ასევე მოქმედებს ეროვნული ბანკის რეგულაციები და ბოლო პერიოდში აკრედიტივებზე შემოღებულმა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტმა, რომლიც კვლევაში მონაწილე რესპოდენტების თქმით 175%-მდე არის აწეული, მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა ფასზეც.

რაც შეეხება ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების შედარებას დაფინანსების სტანდარტული წყაროს, სესხების საპროცენტო განაკვეთებთან, რესპოდენტების განმარტებით ადრე ბევრად მაღალი იყო ტარიფების სხვაობა გარანტიებისა და აკრედიტივების სასარგებლოდ, თუმცა ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე ეს სხვაობა მინიმუმამდეა შემცირებული.

“... ზოგადად, ბაზარზე არსებული ფასები არის ნორმალური, მაგრამ, როდესაც ვალუტაში (დოლარში) აკეთებ ფინანსირებიან ტრანზაქციას და ლიბორიც უნდა

ჩართო, ჯამში ყოველთვის იაფი გამოდის ვიდრე სესხი. მაგრამ უფრო იაფი იყო, როდესაც კოპორატიული კლიენტებისთვის სესხი იყო 12-13%-ში და ეს იყო ყველაზე კარგი საპროცენტო განაკვეთი, რადგან კორპორატიულებს ყოველთვის ყველაზე კარგიპროცენტი აქვთ. მაშინ შესაძლებელი იყო, რომ ტრადე ფინანსე პროდუქტები (ფინანსირებიანი აკრედიტივი) გაცემულიყო 7-8%-ში და მკვეთრი სხვაობა იყო მომხმარებლებისათვის. ეხლა ბევრად უფრო რთულია, რადგან დაიწია პროცენტმა სესხებზე და სხვაობა შეიძლება იყოს მხოლოდ 1.5%. ამ მარჯის გამო აკრედიტივის გაკეთება რამდენად უღირს ექსპორტიორს – ეს ცალკე თემაა და ამიტომ გვიჭირს...”

ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე ფასების (საპროცენტო განაკვეთები და საკომისიოები) დაწვევის სირთულეებზე ერთხმად თანხმდებიან კვლევაში მონაწილე რესპოდენტები. ისინი ხაზს უსვამენ, რომ ფასწარმოქმნაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის რისკი, როს გამოც მვირდება საბოლოო ფასი. პარტნიორი ინსტიტუტები ცდილობენ ან ნაღდი ფულით უზრუნველყოფილ გარანტიებზე ითანამშრომლონ ქართულ ბანკებთან, ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (EBRD, IFC) გარანტიების წარდგენას ითხოვენ, რაც საკმაოდ აძვირებს პროდუქტის საბოლოო ფასს. ამავედროულად კომერციული ბანკების წარმომადგენლები ასევე ერთხმად თანხმდებიან, რომ ვაჭრობის დაფინანსების მიმართულება (Trade finance) არის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ რისკიანი მიმართულება, რადგან ამ შემთხვევაში არ უწევთ თანხის გაცემა და ფაქტიურად “ქემის” გარეშე არის შესაძლებელი, რომ დაწერონ საკომისიო შემოსავლები.

საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ექსპორტიორ კომპანიებზე კონცენტრაციის არ არსებობაზე მეტყველებს უცხოური ბანკების ქართული წარმომადგენლობების რესპოდენტების მხრიდან დაფიქსირებული ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი სარგებლობენ თურქეთის ექსიმბანკის იაფი რესურსით, რომელსაც არ იყენებენ ქართული ექსპორტიორი კომპანიებისთვის. ეს არის თურქეთის ექსპორტ-იმპორტ ბანკი, სახელმწიფო ბანკი, რომელსაც აქვს დიდი თანხის ლიმიტი გამოყოფილი და შეუძლია თავის შვილობილ

კომპანიებზეც განავრცოს ლიმიტი ძალიან შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთებით, თუმცა ეს რესურსი ფარავს მხოლოდ იმპორტს თურქეთიდან.

“... ექსპორტიორ კომპანიებს ვუკეთებთ სტანდარტული საპროცენტო განაკვეთით. ევროპაშიც გვყავს პარტნიორი, კონკრეტულად ;გერმანიაში და ასევე რუსეთში, მაგრამ არ ხდება აქტიური გაყიდვები ექსპორტიორებზე, რადგან ამ ეტაპზე არსებული კადრები უფრო კონცენტრირებულნი არიან სასესხო პორტფელის გაზრდაზე, თორემ რესურსები გვაქვს და ხაზები შეგვიძლია გავაკეთოთ უცხოურ ბანკებთან...”

რაც შეეხება სახაზინო პროდუქტებს, რესპოდენტები აფიქსირებენ, რომ ბანკირების კომპეტენცია სავალუტო რისკების დაზღვევის პროდუქტებზე ცოტა ნაკლებია და ასევე ცოტა ძვირიც ჯდება რისკების ჰეჯირება. ძირითადად ამ პროდუქტებს იყენებენ ტექნიკის იმპორტიორი კომპანიები საქართველოში, ხოლო სხვა სეგმენტთან მიზნობრივი მუშაობა ინტენსიურად არ მიმდინარეობს, თუმცა ზოგიერთი ბანკი ცდილობს სატრენინგო მასალებში დანერგონ ხაზინის თემატიკაც.

მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკების წარმომადგენლები თვლიან, რომ ამ ეტაპისთვის სრულად აკმაყოფილებენ ბაზარზე არსებულ მოთხოვნას ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების კუთხით, მსოფლიო კატალოგიდან, სავაჭრო კრედიტის დაზღვევის საქართველოში არ არსებობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი პასუხები მივიღეთ. ნაწილი თვლის, რომ ამ ეტაპზე არ არის სათანადო მოთხოვნა ამ პროდუქტზე, თუმცა შესაძლოა მომხმარებლებმა არც კი იციან ამ პროდუქტის არსებობის შესახებ და თუკი სავაჭრო კრედიტის გადაუხდელობის რისკის დაზღვევას სახელმწიფო ან კომერციული საბანკო და სადაზღვევო სექტორი შესთავაზებს და სთანადოდ აუხსნის მის სარგებელს, დიდი ალბათობით, მოთხოვნა გაჩნდება. რესპოდენტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ რადგან ბანკებს არ აქვთ უფლება თავადვე შექმნან სადაზღვევო პროდუქტები და ეს მათი პროფილი არ არის, უმჯობესი იქნება, თუკი აღნიშნულ პროდუქტს განავითარებს სახელმწიფოს ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით მომუშავე სტრუქტურა ან სადაზღვევო კომპანიები, თუმცა ამ მიმართულებით

უპირატესობა მაინც იმ კომერციულ ბანკებს ექნებათ, რომლებიც თავადვე ფლობენ სადაზღვევო კომპანიებს. იგივე კითხვით მივმართეთ მსგავსი პროფილის მქონე ბანკების წარმომადგენლებს, რომლებიც ასევე ფლობენ სადაზღვევო კომპანიებსაც, თუმცა ამ ეტაპზე თვლიან, რომ საკმაოდ ბევრი სამუშაოა ამ მიმართულებით, რადგან სტანდარტული იპოთეკური სესხის შენატანის დაზღვევისგან განსხვავებით, რომელიც შედარებით ახალი პროდუქტია ბაზარზე, სავაჭრო ან ბიზნეს სესხის დაზღვევის შემთხვევაში რთულია კომპანიის გადახდისუუნარობის მომენტის დადგენა, რომელიც მომენტიდანაც მსესხებლის ნაცვლად უნდა ანაზღაურდეს სესხის შენატანი.

რესპოდენტების აზრით, კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც სავაჭრო კრედიტის ან ექსპორტის კრედიტის დაზღვევის პროდუქტთან არის დაკავშირებული გახლავთ ის, რომ დღესდრეობით არ არსებობს სესხები კონკრეტულად ექსპორტის ან ვაჭრობის მიზნობრიობით. სესხების მიზნობრიობა ძირითადად არის სეგმენტზე მორგებული. მაგალითად, მცირე ბიზნეს სესხი ან SME ბიზნეს სესხი, რომლითაც ფინანსდება ამა თუ იმ ბიზნესის ინვესტირება – არ აქვს მნიშვნელობა ადგილობრივი ბაზრისთვის აწარმოებს, თუ ექსპორტისათვის.

“... სავაჭრო კრედიტის დაზღვევაზე ჯერ-ჯერობით ვერ ვისაუბრებთ, რადგან ჯერ-ჯერობით სავაჭრო კრედიტი, როგორც ასეთი ცალკე არ არსებობს. არსებობს სტანდარტული ბიზნეს სესხი. თუმცა საერთაშორისო ინსტიტუტებს კი აქვთ სავაჭრო ხაზები (trade finance lines), მაგალითად EBRD-ს აქვს ეს მიმართულება და უნდა წარადგინო ინვოისები და დეკლარაციები, რომ ნამდვილად ექსპორტისთვის მოხდა სესხის თანხის დახარჯვა. გამოდის, რომ უფრო პრეექსპორტს (ექსპორტის წინა პერიოდს) აფინანსებ, რომ აქ აწარმოოს და მერე გაიტანოს ...”

რაც შეეხება ფორფეიტინგს, რომელიც ასევე გავრცელებულია საერთაშორისო ბაზარზე და არ გვხვდება საქართველოში, რესპოდენტთაგან მხოლოდ ერთს და ისიც არასტანდარტული ფორმატით აქვს გაკეთებული, რომელიც არ არის საცალოდ კომპანიებისთვის შესაძენად ხელმისაწვდომი.

“...ფორფეიტინგი გავაკეთეთ ეხლა, თუმცა ცოტა არასტანდარტული ფორმით – ვიყიდეთ მეორად ბაზარზე აკრედიტივი თურქული ბანკების მიერ გაცემული. თურქულმა ბანკმა გასცა აკრედიტივი ჩინურ ბანკზე და ჩინური ბანკისგან ვიყიდეთ და საპროცენტო შემოსავალი მივიღეთ. ეხლა ამ თურქულმა ბანკმა ჩვენ უნდა გადაგვიხადოს...”

აღსანიშნავია, რომ ქართულ კომერციულ საბანკო სისტემაში საცალო მიმართულებისგან განსხვავებით, დღემდე არ არსებობს ბიზნეს მიმართულების მიზნობრივი სეგმენტიზაცია. როგორც რესპოდენტების საუბრიდანაც იკვეთება, საბანკო პროდუქტები დახარისხებულია კომპანიის ზომის მიხედვით და არა მათი სეგმენტებისა და საქმიანობის სფეროების მიხედვით. შესაბამისად, არ არსებობს საბანკო პროდუქტებისა და ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ინსტრუმენტების ერთიანი პაკეტი არცერთი სფეროს წარმომადგენელი კომპანიებისათვის და შესაბამისად არც ექსპორტიორებისათვის, რაც მათთვის უფრო მეტად აღქმადს გახდიდა მათ საჭიროებებზე მორგებულ სერვისებს და შედარებით ნაკლები ძალისხმევა იქნებოდა საჭირო მათი ცნობადობის ამაღლებისათვის. რესპოდენტები აფიქსირებენ, რომ ექსპორტიორებისათვის trade finance-ში ერთ-ერთი ყველაზე ერთ-ერთი მორგებული პროდუქტი არის აკრედიტივი, რომლის შეთავაზებასაც ახდენენ ექსპორტიორებთან, თუმცა გარკვეული ნაწილი ექსპორტიორების იღებს ამ შეთავაზებას და სარგებლობს ამ პროდუქტით, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც თავს არიდებენ გარკვეული პროცედურების გამო.

“... რადგან როცა გრძელვადიანი ურთიერთობები აქვთ ჩამოყალიბებული და ნდობის ფაქტორია წამოწეული, ერიდებიან შუამავლად ბანკის გამოყენებას. საკომისიო ხარჯი ამ შეთხვევაში არც ისეთი მნიშვნელოვანია, იმ რისკთან შედარებით, რა რისკიც არსებობს ანგარიშსწორებაში ზოგადად. პოპულარიზაციას რათქმაუნდა ვახდენთ და ვთავაზობთ, რომ პირდაპირ ანგარიშსწორებას ურჩევნიათ აკრედიტივის გამოყენება, ვიდრე ვიღაცას ბრმად ენდონ და რისკის ქვეშ დააყენონ საკუთარი ბიზნესი...”

ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე საუბრისას ასევე შევეხეთ ბანკის თანამშრომლების მოტივაციას როგორც დაკრედიტების, ასევე რისკების დაზღვევის პროდუქტების შეთავაზების კუთხით. იქიდან გამომდინარე, რომ სესხების შეთავაზება უფრო აქტიურად ხდება მომხმარებლებისათვის, დავინტერესდით, რამდენად ადეკვატურად არის ასახული ვაჭრობის დაფინანსების (trade finance) პროდუქტები ბანკის თანამშრომლების სამოტივაციო სისტემაში. იმ ფაქტს, რომ სესხები მაინც უფრო მეტად პრიორიტეტულია, ვიდრე ვაჭრობის დაფინანსება (trade finance), კვლევაში მონაწილე საბანკო სექტორის წარმომადგენლებიც ადასტურებენ. აქამდე ვაჭრობის დაფინანსება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორც ბიზნესი - ბანკების უმეტესობისათვის არ ყოფილა. მცირე ბანკებს ადამიანური რესურსების დეფიციტიც აქვთ და სამომავლოდ ფიქრობენ გააქტიურებას. რესპოდენტების თქმით, ბოლო პერიოდში შეინიშნება აქტიურობა ამ სფეროს განვითარების მიმართულებით, თუმცა იკვეთება, რომ ბანკების მხრიდან უმეტესწილად აქცენტი მაინც უფრო იმპორტიორებზე კეთდება. გეგმავენ თურქეთის, როგორც სტრატეგიული სავაჭრო პარტნიორის იმპორტიორების ათვისებას ვაჭრობის ფინანსირების პროდუქტების შეთავაზების კუთხით. სესხების უპირატესობა ვაჭრობის დაფინანსების საბანკო ბიზნესთან შედარებით ბანკის თანამშრომლების საბონუსე სისტემაზეც გარკვეულწილად აისახება. შესაბამისად, თუკი თანამშრომელი სესხზე ნაკლებ ბონუსს იღებს ვაჭრობის დაფინანსების და რისკების გადაზღვევის ინსტრუმენტების გაყიდვაში, არ არის გასაკვირი, რომ მათი მხრიდან ნაკლები ინტენსივობით ან სულაც არ ხდება კლიენტებისთვის ამ ტიპის სერვისების შეთავაზება და მათი ცნობადობის ამაღლება ამ მიმართულებით.

“... საბონუსე სისტემა ვერ ვიტყვი, რომ ცუდია, უბრალოდ ძალიან გადატვირთულია მრავალფეროვანი პროდუქტებით. ყველა მიმართულებას თავისი საბონუსე სისტემა აქვს. კორპორატიულში ძალიან ფასობს გარეგანსური ვალდებულებები და საკომისიო შემოსავლები (Fee income). ეს არის ძირითადი გენერატორი და წილობრივად თანაბარია. რაც შეეხება SME-ს, ხშირად ეცვლება ხედვები, თუმცა ბოლო წლების მანძილზე ჩვენი ძალისხმევით

ბევრად უფრო ამაღლდა ამის დაფასება SME-ში. თუმცა აქ ასევე პრობლემაა და უფრო ხშირია კადრების გადინება და ძალიან რთულია ამ ხალხის გადატრენინგება. მინიმუმ 2 წელი სჭირდება ბანკირსაც და ექსპერტსაც, რომ როცა აუხსნი რა არის გარანტია, აკრედიტივი, ფაქტორინგი, გაითავისოს. თუ ამას არ შეეხო პრაქტიკაში, ძალიან რთულია. ასევე საჭიროა, რომ პროცესი იყოს ძალიან მარტივი, რომ ბანკირმა კიდევ შესთავაზოს მომხმარებლებს...”

ვაჭრობის დაფინანსების პროცესებთან დაკავშირებული გამოწვევები. ვაჭრობის დაფინანსებისა (trade finance) და სესხების გაცემის პროცესებთან დაკავშირებით, გარდა ცენტრალიზებული სტრუქტურისგან გამოწვეული პროცესუალური გაუმართაობისა, ასევე დაფიქსირდა ანალოგიური მიზეზით, ფინანსური ინსტიტუტის მასშტაბურობით განპირობებული არაეფექტური პროცესები. როგორც რესპოდენტები აღნიშნავენ, დღესდღეობით ქვეყანაში სისტემა ისეთ დონეზე არაა გამართული, რომ უზრუნველყოს რისკების ავტომატური კონტროლი. შესაბამისად, მსხვილ ბანკებს თავად უწევთ კონტროლის დამატებითი მექანიზმების ჩართვა პროცესებში, რაც პრევენციის პარალელურად მომხმარებლისთვის ართულებს სერვისის მიღებას.

“...რაც უფრო პატარაა ბანკი, მით უფრო მარტივად გასცემს ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებს. იქ პროცესები მარტივია, ნაკლებია ბიუროკრატია. როცა პორტფელი სცდება მილიარდს, ირთვება უკვე გარკვეული კონტროლის მექანიზმები, რადგან სისტემური გამართულობა საქართველოში არ არსებობს და ვერ აკეთებს ისეთი ტიპის კონტროლებს, რომ ვიყოთ დაცულები...”

კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა დიჯიტალიზაციის გამოწვევები, რომელიც საერთოა ორივე მიმართულებისათვის – როგორც დაკრედიტების, ასევე ვაჭრობის დაფინანსებისათვის. ბიზნეს კლიენტებისათვის, საცალო მოხმარებლებისგან განსხვავებით ამ ეტაპზე ვერ ხდება საკრედიტო მომსახურებით დისტანციურად გაწევა. მაშინ, როცა ფიზიკურ პირს შეუძლია წინასწარ დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში ინტერნეტ ბანკიდანვე, ბანკში მიუსვლელად ისარგებლოს სესხით, კომპანიისათვის ბიზნეს სესხის, საკრედიტო ხაზის ან გარანტიის გასაკეთებლად აუცილებელია კომპანიის

წარმომადგენლის ვიზიტი ბანკის ფილიალში.ინტერვიუში მცირე ბანკების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საინტერესო მიმართულებაა ბიზნეს დაკრედიტების დისტანციური სერვისების ამუშავება, თუმცა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, მათი აზრით საკმაოდ რთული და კომპლექსური თემაა კომპანიის უფლებამოსილი პირების დისტანციურად იდენტიფიცირების საკითხი. რესპოდენტები თვლიან, რომ ყველა ტიპის საკრედიტო მომსახურების დიჯიტალიზაცია შეუძლებელია, რადგან ნაღდი ფულით უზრუნველყოფილი გარანტიებისგან განსხვავებით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი საკრედიტო პროდუქტების შემთხვევაში მაინც აუცილებელია ბანკში ვიზიტი.

საბანკო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პროცესების გაციფრულებასთან დაკავშირებით აქტიურად განიხილავენ ელექტრონულ ხელმოწერას. დღესდღეობით საქართველოში არსებობს კანონი ელექტრონული ხელმოწერის შესახებ, თუმცა საკრედიტო და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების შემთხვევაში ელექტრონული ხელმოწერა არ ითვლება ვალიდურად. უფრო ვალიდურია ციფრული ხელმოწერა, რომელსაც მოყვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიც, მაგრამ ჯერ არ მუშაობს ეს სქემა ქართულ რეალობაში.

“... არის ზოგი ინსტიტუტი, რომელიც იღებს დიდ რისკს და იყენებს ელექტრონულ ხელმოწერას, მაგრამ ელექტრონული ხელმოწერის შემოწმების საშუალება არ აქვს ჩვენს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და შეიძლება გაბათილდეს კონტრაქტი. ეს არის სახელმწიფო კაზუსი, სანამ არ დალაგდება, ყველა მომხმარებელზე ამ რისკს ვერ აიღებს ფინანსური ინსტიტუტი ...”

რაც შეეხება ინტერნეტ ბანკიდან კლიენტის იდენტიფიცირების შემთხვევაში საკრედიტო პროდუქტების გაცემას, რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში, როდესაც საქმე მიდგება დავაზე, ფინანსური ინსტიტუტები რჩებიან მხოლოდ მოსამართლის ობიექტურობის იმედად. ბანკების მცირე ნაწილი გამონაკლისად გარკვეული კატეგორიის მომხმარებლებს ემუშავება ინტერნეტ ბანკით, თუმცა ასეთ არასტანდარტულ შემთხვევებშიც კი შესაძლოა სრულად ვერ მოხდეს დისტანციური

სერვისის შეთავაზება. ელექტრონული გარანტიის შემთხვევაში პრობლემა არ არის, რადგან გარანტიის ორიგინალი არ მოითხოვება, მაგრამ რადგან არ არსებობს ელექტრონული ხელმოწერის ვერიფიკაცია, დასკანერებული გარანტიის წარდგენის შემთხვევაში მიმღები მაინც ვერ გაუკეთებს ვერიფიკაციას, ამიტომ მომხმარებელს ორიგინალი დოკუმენტის წასაღებად მაინც უწევს ბანკში მისვლა. ბიზნეს კლიენტებისთვის ამ პრობლემის გამარტივების მიზნით კომერციულ ბანკებს არც საკურიერო სერვისის შეთავაზება შეუძლიათ, რადგან მათი განმარტებით, ბოლო პერიოდში ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების მომწოდებელი ბანკების რაოდენობის ზრდის პარალელურად იმდენად დემპინგური ფასებია აღნიშნულ პროდუქტებზე, რომ აღარ ტოვებს მაღალ მარჟას და დამატებით საკურიერო სერვისის შეთავაზება ფაქტიურად ზარალზე გაიყვანს ამ ბიზნესში ფინანსურ ინსტიტუტს.

საბანკო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ბლოკჩეინი და დიჯიტალიზაცია მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გამოწვევაა, თუმცა ამავდროულად რთული, რადგან *“ის, რომ ვაჭრობის მსოფლიო ბაზრის დიჯიტალიზაცია მოახდინო, ნიშნავს იმას, რომ ყველა საბაჟო, პორტი, ლიცენზირებები და ა.შ. უნდა გვექონდეს ელექტრონიზირებული. ეს თითქმის წარმოუდგენელია. დაწყება შეიძლება ინდივიდუალურად, თითოეული ქვეყნიდან, მაგრამ ძალიან რთულია და ვერ კიდებენ ხელს”*.

ვაჭრობის დაფინანსების ინფორმაციული ბაზა და აღრიცხვიანობის სისტემის პრობლემატიკა. ჩაღმავებული ინტერვიუს მსვლელობისას რესპოდენტების მხრიდან აღინიშნა, რომ ვაჭრობის საერთაშორისო პალატა (ICC) ატარებს საკმაოდ ჩაშლილ, სტრუქტურირებულ და დეტალურ კვლევებს მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ჭრილში, მაგრამ საქართველოში არ არსებობს არათუ მსგავსი ტიპის, არამედ საერთოდ არანაირი ტიპის პერმანენტული ხასიათის კვლევა ამ მიმართულებით. აღნიშნულის მიზეზად ძირითადად ასახელებენ საინფორმაციო ბაზის სიმწირეს, რის გამოც კომერციულ ბანკებს ძირითადად უწევთ, რომ კვლევები საკუთარ შვილობის კომპანიებს დაუკვეთონ (ცხადია, ვისაც ჰყავს საკუთარი კვლევითი კომპანია).

“... ეს ხდება იმიტომ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ამ კვლევას აკეთებენ, არსებობს შესაბამისი ბაზა, ჩვენს ქვეყანაში კი ეს ბაზა არ არის სრულყოფილი, ლარიბი საინფორმაციო ბაზა გვაქვს, ამიტომ კვლევაც არასწორი იქნება. ჩვენ კვლევას ვუკვეთავთ საკუთარ შვილობილ კომპანიას “გალტ ენდ თაგარტს”.

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილი იქნა ვაჭრობის და მისი დაფინანსების აღრიცხვიანობის პრობლემები. კვლევაში მონაწილე ყველა რესპოდენტი აფიქსირებს, რომ ზოგადად ქვეყანაში დგას ვაჭრობის აღრიცხვიანობის პრობლემა ზოგადი სტატისტიკის კუთხით, არამარტო ეროვნულ ბანკში, არამედ სტატისტიკის სამსახურშიც, თუმცა ეტაპობრივად იხვეწება ორივე სტრუქტურა.

“... 1996 წლიდან ეროვნულში გერ კიდევ პროექტის სახით არსებობდა ვაჭრობის დაფინანსების მიმართულება, რომელიც ცდილობდა დაეღაგებინა ეს საკითხები და მინდა ვთქვა, რომ საგრძნობი პროგრესია აღრიცხვიანობის ნაწილში, სტატისტიკის ნაწილში ეროვნულის მხრიდანაც. ეროვნულში არ არსებობდა არა მხოლოდ ექსპორტიორ-იმპორტიორთა ბაზა, არამედ ქვეყანაში აღრიცხვიანობის პრობლემა იდგა – დღესაც გასაუმჯობესებელია თუ როგორ აღრიცხვენ საბაჟო ტერმინალები ამ ყველაფერს., აღრიცხვის რა მექანიზმები აქვთ, რამდენად ჩადიან სიღრმეებში, რადგან იმ სიღრმიდან კიდევ მეტი გაშლაა საჭირო პროდუქციის კოდების მიხედვით. ეხლა გამსხვილებული აქვთ კოდები, რომ მოგაქვს ინფორმაცია “ჯეოსტატიდან”, ძალიან დიდხნიანი სამუშაოა საჭირო, რომ იქიდან რაღაცა მიიღო...”

თუმცა რესპოდენტები ასევე ერთხმად აღნიშნავენ, რომ დღეს უკეთესი მდგომარეობაა, რადგან მოხდა საბანკო გარანტიების ელექტრონიფიკაცია, გამარტივდა საბაჟო ტერმინალების პროცედურა და აღრიცხვის სისტემა შეიცვალა, გარკვეული მონაცემთა ბაზა არსებობს, რომლის დამუშავება და თავის მოყრა ხდება ჯეოსტატში.

რაც შეეხება ექპორტიორების დაკრედიტების აღრიცხვიანობას, კომერციული ბანკების წარმომადგენლების თქმით ეს მიმართულებაც განვითარების საწყის ეტაპზეა. მართალია გარანტიები და აკრედიტივები გარეუკლანსურ ანგარიშზე აღრიცხება, მაგრამ ბოლო

რამდენიმე თვის მანძილზე, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ამ მონაცემების კონსოლიდაცია და უშუალოდ კომერციული ბანკებისთვის გაზიარება, თუმცა ეს ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი შიდა და საგარეო ვაჭრობის, მათ შორის ექსპორტიორებისა და იმპორტიორების ქრილში. გარდა ამისა, აღნიშნული ინფორმაცია არ არის საჯარო, მათ შორის მკვლევარებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკის ყურადღების მიღმა ასევე სავალუტო და სხვა რისკების დაზღვევის საბანკო პროდუქტების სტატისტიკაც (ფორვარდი, ფიუჩერსი, ოფციონი ა.შ.).

ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო კითხვარის C ბლოკი მოიცავდა მოკორესპოდენტო ბანკებთან ურთიერთობის შესახებ კითხვებს. რესპოდენტების აღნიშნავენ, რომ მათ 100-მდე აქტიური პარტნიორი ბანკი ჰყავთ, რომლებთანაც თანამშრომლობენ, თუმცა გამოყოფენ კომერცბანკს, რომლიც მათი აზრით ყველასთვის მისაღები და სამუშაოდ კომფორტული ინსტიტუტია. მოკორესპოდენტო ბანკების გეოგრაფიული არეალიც საკმაოდ ფართოა და მოიცავს დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას, ცენტრალურ ამერიკას, რუსეთს, აზიას, ინდოეთს და ჩინეთს. განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ თურქულ და არაბთა გაერთიანებული ემირატების ბანკებს.

რაც შეეხება მოკორესპოდენტო ბანკებთან ურთიერთობის სირთულეებს, ამ მხრივ განსაკუთრებული შეფერხებები არ ფიქსირდება. რესპოდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ თავადაც დაინტერესებულები არიან მოკორესპოდენტო ბანკები, რომ მოქნილები იყვნენ მუშაობის პროცესში, თუმცა მათი ნაწილი ასევე აფიქსირებს, რომ ისურვებდნენ მომსახურების ვადების გაუმჯობესებას.

“... არ არის პრობლემები მათთან ურთიერთობებში, თუმცა ვადები მათი მხრიდან უფრო მეტად ბიუროკრატიულია, ვიდრე ვისურვებდით. მიუხედავად იმისა, რომ ზომიერ ვადებში გვემსახურებიან, გვინდა, რომ აგვეყენონ რაღაც პროცესებში ...”

ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში ასევე შევეხეთ კომერციული ბანკების დაკრედიტების პოლიტიკას ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით და მოვისმინეთ

რესპოდენტების შეფასება დაკრედიტების პოლიტიკაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებთან დაკავშირებით. ასევე კომერციული ბანკების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მექანიზმები არსებობს უზრუნველყოფისა და ვადის, როგორც ექსპორტიორების მხრიდან დასახელებული ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრის მიმართულებით.

რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ KYC და AML რეგულაციების შემოღებამ ნაწილობრივ გამკაცრა ბანკების ვაჭრობის დაკრედიტების პოლიტიკა. აღნიშნულმა რეგულაციებმა ძირითადად იმოქმედა საერთაშორისო კომპანიებზე, რომელთა ძირითადი საქმიანობა არ ხორციელდება საქართველოში და ქართულ კომერციულ ბანკებს იყენებენ მხოლოდ საშუამავლოდ. რაც შეეხება ადგილობრივ კომპანიებს, ყველა ექსპორტიორი და ექსპორტში ჩართული მხარე გადის AML კონტროლს, მათ შორის მოითხოვება ბენეფიციარების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენა. აღნიშნული პროცედურა საჭიროებს გარკვეულ დროს, ნსაკმაოდ აჭიანურებს მომსახურების პროცესს და ასევე ხშირად არის მომსახურებაზე უარის თქმის მიზეზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე რესპოდენტის მხრიდან დაფიქსირდა საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მათი განცხადებით, კომერციული ბანკების მხოლოდ ნაწილი იცავს AML რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ნაწილი კი საკუთარ თავზე იღებს რისკს და მიუხედავად პროცედურით დადგენილი ნორმებისა, სხვა ბანკის მიერ უარით გასტუმრებულ კომპანიას მაინც ემსახურება. მათი თქმით, აღნიშნული გადაცდომის დაშვების საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ ეროვნული ბანკის მხრიდან არ ხდება ვაჭრობის დაფინანსების (გარანტიები, აკრედიტივები ა.შ.) პროდუქტების მონიტორინგი და დღემდე ბანკების ტრანზაქციები ამ კუთხით არ შემოწმებულა.

“... საჭიროა უცხოური სუბიექტების წარმომავლობის დოკუმენტაციის იდენტიფიკაცია, თუმცა ჩვენ რომ მოვითხოვეთ, წავიდნენ და სხვა ქართულ ბანკში ამ მოთხოვნის გარეშე გაუკეთეს. ანუ სხვა ბანკები არ ითხოვენ. კანონით უნდა იყოს მოთხოვნილი, მაგრამ ეხლა არც ეროვნული ბანკი და არც მონიტორინგის

სამსახური არ ამოწმებს Trade Finance-ის პროდუქტებს, ბანკების ტრანზაქციები მაგ კუთხით ჯერ არ შემოწმებულა”

გარდა ამისა, პროცედურულად გახანგრძლივებულია უცხოური ბანკების ქართული წარმომადგენლობებისთვის ლიმიტს ზედა თანხების დამტკიცების პროცესი, რადგან გარკვეულ ლიმიტებს ზემოთ ბანკის ძირითადი წარმოშობის ქვეყანაში (სათაოში) ხდება საკითხის განხილვა და ხშირად შესაძლოა კვირაც კი დასჭირდეს, რაც ძალიან მოუხერხებელია კომპანიისათვის.

კომერციული ბანკების წარმომადგენლები ინტერვიუს პროცესში აღნიშნავენ, რომ “დაუარებული” განაცხადების წილი ბოლო პერიოდში საკმაოდ დაბალია ვაჭრობის დაფინანსების (Trade Finance) პროდუქტების შემთხვევაში და შეადგენს დაახლოებით 5-10%-ს. არგუმენტად მოჰყავთ აღნიშნული ბიზნესის დაბალრისკიანობა მაღალი უზრუნველყოფების გამო და ასევე ამ მიმართულების სპეციფიკა – ამ ტიპის პროდუქტების (გარანტიები, აკრედიტივები, რისკების ჰეჯირების ინსტრუმენტები) მომთხოვნი კომპანიები უკვე განვითარების რაღაც დონეზე იმყოფებიან და შედარებით ნაკლებად რისკიანია მათთან მუშაობა. რაც შეეხება სესხებს, აქ ბევრად მაღალია უარყოფილი განაცხადების ოდენობა და მერყეობს დაახლოებით 20-30%-ებს შორის.

საინტერესოა რესპოდენტების მოსაზრება ექსპორტიორი კომპანიების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით – უზრუნველყოფა და ვადა. კითხვაზე “ არსებობს თუ არა რეზერვები, რომ შერბილდეს უზრუნველყოფის მაღალი მოთხოვნები კომერციული ბანკების მხრიდან” მივიღეთ შემდეგი არგუმენტი: რესპოდენტები თვლიან, რომ მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, არ არის მიზანშეწონილი უზრუნველყოფის მოთხოვნების შერბილება, რადგან ამ შემთხვევაში კომერციულ ბანკებს გაეზრდება რისკიანი პორტფელის წილი, თუმცა აქვე აფიქსირებენ ერთ მნიშვნელოვან საკითხს: მათი თქმით, ამ ეტაპზე კომერციულ ბანკებს კანონმდებლობით არ გააჩნიათ ტრანზიტივი მყოფი საქონლის უზრუნველყოფაში ჩადება. რიგ შემთხვევებში დამატებით უზრუნველყოფად კი განიხილება, მაგრამ ძირითადად მაინც ფასდება კომპანია. შესაბამისად, საინტერესო ინიციატივა იქნება, თუკი მოხდება

ტრანზიტში მყოფი საქონლის ძირითად უზრუნველყოფად განხილვაც. ამ შემთხვევაში შესაფასებელი და გასათვალისწინებელი იქნება ის ფაქტი, რომ ამგვარი მიდგომა ერთი მხრივ გააუმჯობესებს კომპანიების მდგომარეობას, თუმცა აუცილებლად უნდა შეფასდეს ტრანზიტში მყოფი საქონლის დაუბრუნებლობის რისკი, რომ აღნიშნულმა ცვლილებამ მეორე მხრივ არ გამოიწვიოს კომერციული ბანკების მეტად რისკიან მდგომარეობაში ჩაყენება, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო პერიოდში თავად ეროვნულმა ბანკმა გაამკაცრა უზრუნველყოფისადმი წაყენებული მოთხოვნები.

რაც შეეხება ვადებს, კომერციული ბანკების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ამ მხრივ ისედაც კარგ პირობებს სთავაზობენ ბიზნეს სექტორს და დიდი ცვლილებები არ იგეგმება.

“... ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი საუკეთესო პირობა ვადის კუთხით: 5 წლიანი საბრუნავი საშუალებებისთვის და 15 წლიანი ფიქსირებული აქტივების (ძირითადი საშუალებების) დასაფინანსებლად, ასევე მაქსიმუმ 1 წელი არის განსაზღვრული Trade Finance-ის პროდუქტებზე ...”

სასიამოვნოა, რომ კვლევაში მონაწილე საბანკო სექტორის წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ თაღლითობები (ე.წ. ფროდები) ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით თითქმის არ ჰქონიათ.

“... ფროდსტერები მოდიან, მაგრამ დაახლოებით ვხვდებით გამოცდილების დონეზე. ამაში ასევე ჩათულია AML-იც, რომელიც ფროდს კი არ იჭერს, არამედ ადგენს კომპანია ხომ არ არის სანქცირებული, თუმცა ბოლომდე ვერც AML ხვდება, რადგან რთულია იმის დადგენა, რომელი ექსპორტიორი ან იმპორტიორი განიზრახავს პარტნიორის მოტყუებას; ...”

ჩალრმავებული ინტერვიუს ბოლო ნაწილი ეხებოდა ვაჭრობის დაფინანსების პოლიტიკაზე მოქმედ ძირითად საკითხებს და ასევე სახელმწიფოსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ კომერციული ბანკების პოლიტიკას. რესპოდენტების მხრიდან ვაჭრობის დაფინანსების ძირითად ხელისშემშლელი ფაქტორებიდან გამოიყო 5 ძირითადი საკითხი:

1. ქვეყნის დაბალი საკრედიტო რეიტინგი
2. კომპანიის დაბალი რეიტინგი
3. არასაკმარისი უზრუნველყოფა
4. ტრანზაქციის მაღალი ღირებულება / დაბალი საკომისიო შემოსავლები
5. მომხმარებელთა ინფორმირებულობის დაბალი დონე

პირველ ოთხ მათგანს უკვე შევხებით ჩალრმავებული ინტერვიუს ანალიზის ფარგლებში, რაც შეეხება მომხმარებელთა ინფორმირებულობის დაბალ დონეს, ეს ფაქტორი გამოიკვეთა ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივ კვლევაშიც, სადაც ნათლად ჩანდა, რომ კომპანიებისათვის ვაჭრობის დაფინანსება ძირითადად ასოცირდება სესხთან და ისინი არ არიან გარკვეულები რისკების დაზღვევის საბანკო ინსტრუმენტებში. მომხმარებელთა ინფორმირებულობის დაბალი დონის მიზეზად რესპოდენტები თავად მომხმარებლების ბანკებისადმი დამოკიდებულებას ასახელებენ და თვლიან, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ ბანკების ძალისხმევა არ არის საკმარისი.

“... მუდმივად ვცდილობთ რისკების ჰეჯირების საბანკო ინსტრუმენტების პროდუქტების პოპულარიზაციას, თუმცა მხოლოდ ბანკების ძალისხმევა არ არის საკმარისი. ბანკი მომხმარებლისთვის მაინც აღიქმება, როგორც ფინანსური კომპანია, რომელიც “საკუთარი გეგმების/მოგების” გადმოსახედიდან აკეთებს შეთავაზებას. ძირითადად ამ საკითხზე ცნობიერების მეტნაკლებად მზარდი ტრენდი განაპირობა თავად სავალუტო რყევებმა, რა დროსაც რეალურად დაინახეს მომხმარებლებმა ამ პროდუქტის საჭიროება და უფრო გაითვალისწინეს ბანკის რჩევები...”

მომხმარებელთა არაინფორმირებულობის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც რესპოდენტების მიერ დასახელდა, არის სფეროს სპეციფიურობა და ძველი მიდგომებისა და ნაცნობ პარტნიორებთან ნაღდ ანგარიშსწორებაზე მუშაობის გამოცდილების გამო ანგარიშსწორების დაზღვეულ ფორმებზე უარის თქმა.

“... ხშირია შემთხვევა, როდესაც სესხს იღებს და ურიცხავს advance payment-ით. ვუხსნით, რომ არ არის დაზღვეული და რომ გადარიცხავს წინასწარ, შესაძლოა საქონელი ვერ მიიღოს, ამიტომ ურჩევნია, რომ აკრედიტივი გააკეთოს. ჩვენი

იმპორტიორები, უფრო advance payment-ით და ინვოისებით მუშაობენ, კომპანიათაშორის დაკრედიტებას და ურთიერთნდობის საკითხებს უფრო იყენებენ, ვიდრე ბანკებს საშუაშალოდ. არის შემთხვევები, როდესაც ძველ პარტნიორს, ველარ ითანხმებენ რომ გარანტია/აკრედიტივით ემუშაონ. ისინი უკვე მიჩვეულები არიან თანხის წინასწარ აღებას და ესეც ენდობა, თუმცა მაღალი რისკის ფასად ...”

ინტერვიუს დროს დაფიქსირდა საინტერესო დეტალი, რომელიც ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემის დროს ბანკების მხრიდან მომხმარებლების გათვითცნობიერების კუთხით პასიურობაზე მეტყველებს და საჭიროებს ამ საკითხის გამოსწორებაზე მუშაობას, თუნდაც ეროვნულის რეგულაციების დონეზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბანკების წარმომადგენლებს აქვთ გარკვეული არგუმენტები ამ ფაქტის გასამართლებლად. ისინი თვლიან, რომ ვაჭრობის დაფინანსების (თრადე ფინანცე) კონტრაქტები ტენდერებიდან დაწყებული, ძალიან სწრაფად არის გასაკეთებელი. ხშირად იმავე დღეს არის საჭირო პროცედურების დასრულება, შესაბამისად, კონტრაქტის ხელმოწერამდე ნაკლებ დროს უთმობენ კლიენტისთვის ამ პროდუქტის შინაარსისა და პირობების დეტალურ გაცნობას.

რესპოდენტები ერთხმად აღიარებენ, რომ ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს მომხმარებელთა უფლებებისა და მათი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. აღნიშნული აქტივობების შედეგია ის, რომ დღეს უკვე ბევრი სახელმწიფო ორგანიზაცია აღარ იღებს რაღაც გაუგებარი ინსტიტუტების მიერ გაცემულ გარანტიებს.

“... არც უნდა მიიღონ პირდაპირ ფურცელზე დაბეჭდილი გარანტია, რადგან ხშირად ვერ გადიან ვერიფიკაციას. ხშირია ფროდების შემთხვევები არავერიფიცირებულ კონტრაქტებზე ან როცა ტექსტი არასწორად არის შედგენილი. შესაძლოა საკმაოდ სერიოზული ბანკის გარანტია წარმოადგინოს კლიენტმა, მაგრამ ტექსტი იყოს ისეთი, რომ ვერ გამოვითხოვთ ასეთ გარანტიას. აქ არის ორი მომენტი: ინსტიტუტი, რომელიც გასცემს გარანტიას და ტექსტი და რეგულაცია. ტექსტისა და რეგულაციის გამო შესაძლოა მოხდეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის მიერ გაცემული გარანტიის გაბათილება ...”

კვლევის ფარგლებში ასევე დაფიქსირდა ვაჭრობის დაფინანსებისა და რისკების დაზღვევის კუთხით საინფორმაციო ტრენინგებსა და საერთაშორისო დონის მასტერკლასებზე კომპანიების დასწრების და მათთვის არაერთგზის ახსნილი ინფორმაციის არამდგრადობის პრობლემა. როგორც კომერციული ბანკების წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი პერიოდულად ატარებენ ტრენინგებს კლიენტებისთვის. ასევე ხშირად აქვთ ახსნის მცდელობა, რომ სესხი კარგია, მაგრამ რისკების დასაზღვევად სხვა პროდუქტი სჯობია, თუმცა როგორც ამბობენ, “... იქაც იგივე პრობლემაა. ერთხელ რომ უხსნი, ხვალ შეიძლება აღარ გაახსენდეს”. ამასთანავე, რესპოდენტების თქმით ადგილობრივის გარდა პერიოდულად ჩამოჰყავთ უცხოელი ექსპერტები, რომელთა მასტერკლასებზე დასწრება წესით უფრო ინტენსიური უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ასე არაა.

“... ფაქტორინგზეც ჩამოვიყვანეთ FCI-ს თავმჯდომარე, ასევე ექსპერტები თურქეთიდან იმიტომ, რომ თურქეთი ყველაზე ახლო ბაზარია როგორც ექსპორტ-იმპორტის; კუთხით, ასევე თვითონ ხასიათით და შინაარსით. სამმა ბანკმა ერთად გავაკეთეთ, ვინც ვიყავით FCI-ს წევრები. რთული აღმოჩნდა, რადგან საქართველოში მაინც ვერ ჩამოყალიბდა ეს მენტალიტეტი, რომ 3 კონკურენტი საერთო საქმეს აკეთებდეს. მაინც ძალიან გაგვიჭირდა, რომ ის შედეგი დაგვედო კლიენტების კუთხით, რაც გვჭირდებოდა. დასწრება კი იყო 100 კაცამდე, მაგრამ ისიც ძალიან წვალებით. მაშინ, როდესაც უფასო ტრენინგია, თან ასეთი დონის, თან პრაქტიკულ მაგალითებს სთავაზობ, მაგრამ მაინც რთული იყო დაინტერესებული კომპანიების მოძიება. ძალიან დიდი სირთულეებია დასწრების ორგანიზების კუთხით, რადგან ბოლომდე თვითონ ბანკირიც ვერ ხვდება რა ღირებულების მომტანია ეს ყველაფერი კლიენტისთვის, რომ ჯეროვნად აუხსნას და დაარწმუნოს ამ მასტერკლასების და ვორქშოფების სარგებლიანობაში ...”

ვაჭრობის დაფინანსებაში სახელმწიფო სტრუქტურების, პროგრამებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლის შეფასება. ჩაღრმავებული ინტერვიუს

დასასრულს რესპოდენტებს ვთხოვეთ თავისი მოსაზრება დაეფიქსირებინათ ვაჭრობის დაფინანსებაში სახელმწიფო სტრუქტურების, პროგრამებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლთან და არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო პერიოდში მოხდა ახალი სახელმწიფო პროგრამის “საგარანტიო ფონდის” ინიცირება და ჯერ კიდევ ბევრი ღიად დარჩენილი კითხვა არსებობს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, პირველ რიგში შევეხეთ აღნიშნულ საკითხს. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ფონდის შექმნა იგეგმება თურქულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, რესპოდენტთა ნაწილი პოზიტიურად უყურებს ახალ ინიციატივას, თუმცა გაურკვეველი მდგომარეობიდან გამომდინარე, მაინც აქვთ კითხვები ამ პროცესში უშუალოდ ბანკების ჩართულობასთან დაკავშირებით. თვლიან, რომ აღნიშნული ინიციატივით საკრედიტო პროდუქტები ხელმისაწვდომი გახდება ისეთი კომპანიებისთვისაც, რომლებსაც თვითონ არ გააჩნიათ სათანადო უზრუნველყოფა. ასევე ხედავენ გარკვეულ რისკს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი გარანტიის საკუთარ თავზე აღებამ არ წაახალისოს კომპანიებში ნასესხები თანხის დაუბრუნებლობის რისკი, რადგან მსესხებელ კომპანიებს ნაკლები პასუხისმგებლობა დარჩებათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

“... თურქეთში ძალიან გაამართლა, ბოლო პერიოდში ეკონომიკური ვარდნისა და ლირის გაუფასურების დროს ძალიან დიდი თანხა ჩაიდო, რომ მცირე ბიზნესი ამოექაჩათ. თუკი სახელმწიფო იდგება გარანტორად ბანკი უფრო ადვილად დააფინანსებს. თუ კომპანიას არ შეუძლია უზრუნველყოფის ჩადება, კომპანია ვერ იღებს სესხს და თუ სახელმწიფო იქნება გარანტორი, უფრო ადვილად დაფინანსდება. რისკს კი აიღებს სახელმწიფო, მაგრამ ფინანსურ რესურსს არ იძლევა. გააჩნია როგორი სტრუქტურა იქნება, ამ ეტაპზე რთულია შეფასება. საინტერესოა დავალიანების მართვა როგორ გადანაწილდება. დარწმუნებული ვარ ბანკი მაინც შეძლებს, რომ სტანდარტული პროცედურებით გაყვეს სასამართლომდე ამოღების კუთხით, თუმცა შესაძლოა მართლა წაახალისოს დაუბრუნებლობის რისკი, თუკი ძალიან მცირე უზრუნველყოფა მოითხოვება კლიენტისგან...”

მსხვილი კომერციული ბანკების წარმომადგენლები უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი საგარანტიო ფონდის შექმნის იდეასთან დაკავშირებით. როგორც ისინი აღნიშნავენ, მათ უკვე გავლილი აქვთ ეს საკითხი საპარტნიორო ფონდთან და დაფიქსირებულ იქნა აქვთ არაერთი ნეგატიური კომენტარი. მიიჩნევენ, რომ *“ეს არის სხვაგან შექმნილი პროდუქტის დამახინჯება, რაც ქართველებს გვჩვევია”*. საქართველოში ფიქრობენ, რომ მოდიფიკაცია გაუკეთონ თურქულ ვერსიას, რაც არასწორია.

ზოგადად ექსპორტის დაფინანსებისა და ლობირების კუთხით რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ ექსპორტის დაფინანსება არის უმნიშვნელოვანესი თემა, მაგრამ ქვეყნის რეიტინგიდან გამომდინარე საკმაოდ ძვირია რესურსი. შესაბამისად თვლიან, რომ სახელმწიფოს როლი მდგომარეობს სწორედ ქვეყნის რეიტინგის გაუმჯობესებაში.

“...2007 წლიდან ვართ მე-6 კატეგორია, რის გამოც ისეთი ძვირია რესურსი, რომ სესხს ვერ უწევს კონკურენციას. Sache-სთან დღემდე გვაქვს კონტაქტი, მაგრამ კლიენტის საკრედიტო რისკს სტანდარტულად განვიხილავთ, ქვეყნის რისკის გამო მაინც საოცრად ძვირი ჯდება. Bern Union-კომიტეტი, სადაც ქვეყნის რეიტინგები და რისკები იყრის თავს, ისეთი ძვირი ჯდება, რომ აზრს მოკლებულია, თუმცა გრძელვადიანი დაფინანსებისთვის ძალიან კარგი პროექტია. თუმცა ასეთი დაფინანსება გადის 20 მლნ-ზე ზევით თანხებზე და მსხვილ პროექტებზე. ნაკლებ თანხებზე არაეფექტურია. ერთჯერადი ხარჯები იმხელაა, რომ აზრი არ აქვს. ...”

აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე, კომერციული ბანკების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ლობირება და ადვოკატობა უნდა განახორციელოს მთავრობამ და აწარმოოს მოლაპარაკება Bern Union-თან ქვეყნის რეიტინგის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ამისათვის, ეკონომიკის სამინისტრომ უნდა მიმართოს აღნიშნულ კომიტეტს შესაბამისი პროექტით, რომელშიც მოცემული იქნება თუ რამდენი დადებითი რამ მოხდა საქართველოში 2007 წლის შემდეგ და დღის წესრიგში ჩაანიშნინოს ქვეყნის რეიტინგის გადახედვა 2018 წლის ოქტომბრის სხდომისთვის, რომ საქართველო რეიტინგში მე-5 მაინც გახდეს. თუმცა თვლიან, რომ ქვეყანაში მიმდინარე ხშირი

პოლიტიკური ცვლილებების გამო, სამწუხაროდ ამ დრომდე ვერ დაიგეგმა ქვეყნის მთავრობაში რეიტინგის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაო ჯგუფის ორგანიზება.

საგარანტიო ფონდზე საუბრისას ასევე შევეხეთ წარსულში დაანონსებულ ექსპორტის დაკრედიტების სააგენტოს, რომელიც 2015 წლისთვის იგეგმებოდა, თუმცა ვერ მოხდა მისი ფორმირება და ამჟამად არის საუბარი, რომ ექსპორტის დაკრედიტების სააგენტოს საგარანტიო ფონდი ჩაანაცვლებს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ საყურადღებო მოსაზრება დაფიქსირდა რესპოდენტების მხრიდან. ისინი მიიჩნევენ, რომ ექსპორტის დაკრედიტების სააგენტოს შექმნას ქვეყნის დაულაგებელი რეიტინგის გამო აზრი არ ჰქონდა და ამის შესახებ საბანკო სექტორს ჰქონდა კიდევ საუბარი საპარტნიორო ფონდთან. საბანკო სექტორი მიიჩნევს, რომ საპარტნიორო ფონდს ამ წლების განმავლობაში მიზანმიმართულად უნდა ემოქმედა და პარლამენტი და ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები უნდა გაეაქტიურებინა ქვეყნის რეიტინგის გაუმჯობესების ქმედებებზე აქცენტის გაკეთების მიმართულებით. მათი ინფორმაციით საპარტნიორო ფონდი აპირებდა აღნიშნული საკითხის პარლამენტში შეტრიალებას, თუმცა ხშირი სამთავრობო ცვლილებების გამო საბანკო სექტორი უტოპიურად არის განწყობილი ამ საკითხის პოზიტიურად გადაწყვეტასთან დაკავშირებით, არადა Bern Union სწორედ ექსპორტის ნაწილში განსაზღვრავს ქვეყნის რეიტინგს.

გარდა ამისა, საბანკო სექტორის ერთ-ერთი წარმომადგენლის ინფორმაციით საგარეო საქმეთა სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო სხვადასხვა ქვეყნებში აპირებდნენ კომერციული ატაშეს დანიშვნას. პროექტი არსებობდა, კომერციული ატაშე უნდა ყოფილიყო 5-7 ქვეყანაში და “აწარმოე საქართველოსთან” ერთად უნდა ემუშავა იქაურ მომხმარებლებთან ქართული ექსპორტისათვის კონტრაქტების მოსაპოვებლად, თუმცა ამ ეტაპამდე აღნიშნული პროექტი ჯერ ჯერობით არ განხორციელებულა.

რეკომენდაციის სახით რესპოდენტებმა დააფიქსირეს, რომ ისურვებდნენ ეროვნულის მხრიდან ნაკლებად მოხდეს ვაჭრობის დაფინანსების მიმართულებით არსებული რეგულაციების გართულება.

“... ბოლო პერიოდში ყველაფერს ართულებენ და არ უყურებენ მის ნეგატიურ მხარეებს. ეს არის მარკეტინგული სვლა, რაც ძალიან ცუდად აისახება ეკონომიკაზე. ამას ექნება დომინოს პრინციპი და გამოიწვევს ბევრი მსხვილი სუბიექტის გაკოტრებას და მევახშეობის აღზევებას...”

გარდა ამისა, მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ გადაიხედოს დაკავშირებული პირების ინდექსი (related party ratio), რადგან საკმაოდ დაბალ ნიშნულზეა დაწესებული მისი განაკვეთი კომერციული ბანკებისათვის, რაც არ აძლევს მათ საშუალებას ისარგებლონ საკუთარი დედა კომპანიის (აღნიშნული ეხება უცხოური ბანკების წარმომადგენლობებს საქართველოში) იაფი რესურსით და იძულებულნი ხდებიან ისარგებლონ სხვა ბანკების ძვირი რესურსით, რაც საბოლოო ჯამში მომხმარებლისთვისაც აძვირებს საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობას.

“... related party ratio გულისხმობს, რომ 5%-ზე მეტს ვერ აიღებ რისკს შენთან დაკავშირებულ პირზე, ანუ ლიმიტი რომ დავუდგინო და აქ გავცე მისი გარანტია, არ გამოდის. ესე იგი სხვა ბანკებთან მირჩევნია, არადა ფასს მაძლევს ძალიან შეღავათიანს. იძულებული ხდები ძვირი რესურსით ისარგებლო...”

ექსპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რესპოდენტების მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ თურქეთის და არაერთი სხვა წამყვანი ქვეყნის პრაქტიკის მსგავსად საქართველოშიც შეიქმნას ე.წ. ექსიმბანკი, რომელიც ექსპორტის ხელსეწყობაზე იქნება ორიენტირებული. დღესდღეობით არსებობს სესხები ქალებისთვის, ენერგოეფექტური სესხები, მაგრამ სამწუხაროდ არ არსებობს მიზნობრივი საკრედიტო პროდუქტები და ცალკე რესურსი ვაჭრობისათვის, ექსპორტიორებისათვის, რაზეც ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო.

ვაჭრობის დაფინანსებაზე ბაზელის სტანდარტების გავლენასთან დაკავშირებით საუბრისას რესპოდენტებმა აღნიშნეს საერთაშორისო რეგულაციის როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური ეფექტები. თვლიან, რომ ბაზელის სტანდარტებიდან სასარგებლოა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომლიც ბანკებს უბიძგებს მოწესრიგებულად ეკიდებოდნენ კაპიტალის ადეკვატურობის საკითხს. აღნიშნული რეგულაცია მყარი

ფინანსური მდგომარეობის მქონე ბანკებს არ უქმნის პრობლემას, რადგან მათ ისედაც გააცნადათ გარკვეული “ლუფტი”, ე.წ. რეზერვი, რომელიც აძლევს საშუალებას შეფერხების გარეშე დააკრედიტონ როგორც საცალო მიმართულება, ასევე ბიზნესი. აღსანიშნავია, რომ კაპიტალის ადეკვატურობა ყველა ბანკისთვის ანგარიშდება ინდივიდუალურად, რაც ბევრად უფრო სამართლიანია, ვიდრე ყველა საფინანსო ინსტიტუტისთვის ერთნაირი სტანდარტის დაწესება.

ბანკების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მეტნაკლებად გართულდა რეგულაციები, რადგან კაპიტალის ადეკვატურობის გარდა დაწესდა ე.წ. კონცენტრირების ბუფერი (concentration buffer), რომელიც ბანკებს აძლევს მითითებას, რომ მოახდინონ გაცემული დაკრედიტების დივერსიფიკაცია.

“... რაზეც გაგვიჭირდა არის ის, რომ კონცენტრაციის ბუფერი გეუბნება, რომ ყველა სესხი არ უნდა იყოს მაქსიმალური თანხის. ანუ კაპიტალის ოდენობიდან გამომდინარე უნდა გაიცეს სხვადასხვა კატეგორიის სესხები, დიდიც და მცირეც. ამ დროს ბანკები ორიენტირებული იყვნენ, რომ რაც ჰქონდათ ლიმიტი, იმ ლიმიტის მაქსიმუმი გაეცათ და მცირე სესხები მაინცდამაინც არ აინტერესებდათ. ბაზელ 3-მა დაგვაყენა მაგის წინაშე, რომ არ შეიძლება რომ მარტო დიდი სესხები გქონდეს, რადგან კაპიტალს გიჭამს და დივერსიფიკაცია უნდა მოახდინო...”

რესპოდენტები განსაკუთრებით აღნიშნავენ კრიზისის შემდგომ პერიოდში ბაზელის რეგულაციების გამკაცრების ფაქტს, რამაც მათი თქმით ბევრი ბანკი დააზარალა და ისეთი ფინანსური ინსტიტუტები, ვისათვისაც ძირითადი ბიზნესი ვაჭრობის დაფინანსების (trade finance) მიმართულება იყო, ბაზრიდან საერთოდ გავიდა. აღნიშნული გამოიწვია იმან, რომ “გააძვირა ზოგადად პროდუქტი, ყველაფერზე ფული დაადო და რეგულაცია გახდა ბევრად უფრო მკაცრი იმის მაგივრად, რომ ხელი შეეწყო ამ ყველაფრისთვის. აქაც პოლიტიკური თემებია, რის გამოც ფერხდება ბევრი საკითხი...”

რაც შეეხება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობის შეფასებას საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაში, საბანკო სექტორი მიიჩნევს, რომ მათი მხრიდან არის მცდელობა ვაჭრობის ხელშეწყობის პროექტების სახით, თუმცა საპროცენტო

განაკვეთის შეღავათი, რასაც ისინი სთავაზობენ მომხმარებელს ხშირ შემთხვევაში არ არის არსებითი მოცულობის. იგივე განაკვეთის “დაკლება” კომერციულ ბანკებსაც შეუძლიათ მომხმარებელთან ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით.

რესპოდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხაზები გახსნილი აქვთ საერთაშორისო ინსტიტუტებთან (EBRD, ADB, IFC), ფაქტიურად აღარ იყენებენ, რადგან რესურსულად უკვე დამოუკიდებლები არიან როგორც გამოცდილებით, ასევე საბანკო რეიტინგით. გარდა ამისა, კომერციული ბანკები ბევრ სხვა ბანკებთან თანამშრომლობენ, რომლებიც ხაზს უკეთებენ საერთაშორისო ინსტიტუტებზე ბევრად შეღავათიან ფასში. მათი მოსაზრებით, საერთაშორისო ინსტიტუტების ძირითადი მიზანია დეველოპმენტი, ისინი დამწყებ ფინანსურ ინსტიტუტებს ეხმარებიან “ფეხის ადგმაში”. ძლიერ ბანკებს აღარ სჭირდებათ საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულობა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შედიან ახალ ბაზარზე ან რაიმე რისკს ვერ იღებენ საკუთარ თავზე.

“... როდესაც ბანკი ძალა ლიკვიდურია და აღარ აწყობს საერთაშორისო ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრები, ურჩევნია, რომ საკუთარი რესურსებით დააფინანსოს ვაჭრობა. მაგალითად, ერთ-ერთი ქართული ბანკი ვერ გადის სკრინინგს და ამიტომ არ აქვს საერთაშორისო ინსტიტუტების ხაზები და რომ ჰქონდეს, წყალივით სჭირდება, რადგან ახლა რესურსების არარსებობის გამო საქართველოს ბანკის გავლით აკეთებს საერთაშორისო ოპერაციებს და აქვს რისკი, რომ კლიენტს დაკარგავს...”

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, საფინანსო ინსტიტუტების ხელშეწყობით საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციის პერსპექტივების სიღრმისეული შესწავლისათვის ჩატარდა მრავალმხრივი კვლევითი სამუშაოები. თეორიული ანალიზის გარდა, გაკეთდა საქართველოს ექსპორტისა და ვაჭრობის დაფინანსების კორელაციურ-

რეგრესიული ანალიზი, ასევე ჩატარდა ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივი კვლევა და საბანკო სექტორის მენეჯმენტთან ჩაღრმავებული ინტერვიუები. კვლევის მეთოდებისა (ანალიზი-სინთეზი, რაოდენობრივი, თვისებრივი და სტატისტიკური მეთოდები) და რესპოდენტების მრავალფეროვნებამ (როგორც უშუალოდ ექსპორტიორი კომპანიების წარმომადგენლები, ასევე ვაჭრობის დაფინანსების ძირითადი მხარე - კომერციული ბანკების მენეჯმენტი) ხელი შეუწყო საკითხის სიღრმისეულ შესწავლას და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანი დასკვნებისა და ქმედითი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. კვლევის პროცესში გამოვლენილი პრობლემების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე განხორციელდა ვაჭრობის დაფინანსების ხელშეწყობის მიმართულებით გაკეთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების სისტემატიზაცია და ჩამოყალიბდა რამდენიმე ძირითად მიმართულებად:

1. ექსპორტიორ კომპანიებთან დაკავშირებული გამოწვევები:

1.1. დაბალია ბიზნეს სექტორის და ექსპორტიორი კომპანიების ინფორმირების დონე ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების მრავალფეროვან შესაძლებლობებთან დაკავშირებით. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება სფეროს სპეციფიურობა და ძველი მიდგომებისა და ნაცნობ პარტნიორებთან ნაღდ ანგარიშსწორებაზე მუშაობის გამოცდილების გამო ანგარიშსწორების დაზღვეულ ფორმებზე უარის თქმის შემთხვევები (ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობრივი კვლევის მიხედვით რესპოდენტთა 66% იყენებს ფირმათაშორისი დაკრედიტების ორივე ფორმას – ღია ანგარიშით და ავანსით ანგარიშსწორებას, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია), რის გამო კომერციული ბანკები თვლიან, რომ ამ მიმართულებით მუშაობისთვის მხოლოდ მათი ძალისხმევა არ არის საკმარისი.

1.2. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული მეწარმეები ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებში მოიაზრებენ მხოლოდ საბანკო კრედიტს. მათი დიდი ნაწილი (76%) საერთოდ არ იყენებს დაფინანსების ალტერნატიული წყაროებს (ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები ა.შ.) და ასევე საკმაოდ დიდი ნაწილი (77%) არ ფლობს ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობის რისკების დაზღვევის შესახებ.

რეკომენდაციები:

- ფინანსური განათლების გაუმჯობესების მიზნით მოხდეს როგორც ბიზნეს განათლების სფეროში არსებული პრობლემების, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის სექტორის საჭიროებების იდენტიფიცირება და მათზე მორგებული ტრენინგების სტიმულირება. ტრენინგებზე დასწრების ხარისხის ამაღლებისა და ზოგადად, აღნიშნული ტრენინგების სარგებლიანობის შესახებ აღქმის გაძლიერების მიმართულებით საჭიროა ინტენსიური მუშაობა როგორც უშუალოდ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებთან, ასევე თავად ტრენინგების ინიციატორ სტრუქტურებთან, რომლებმაც პირველ რიგში თავად უნდა აღიქვან სწორად ამ პროექტების მნიშვნელობა, რომ შეძლონ და სწორი კომუნიკაცია გააკეთონ კომპანიებთან ფინანსური განათლების ტრენინგებზე დასწრების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად (ბროშურები, ელექტრონული მასალები, კონსულტაციები და სხვა).

- მნიშვნელოვანია განხორციელდეს ბიზნეს განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული სუბიექტებისათვის, რაც კომპანიებს მისცემს შესაძლებლობას მიიღონ მეტი ინფორმაცია ბაზარზე არსებული მოთხოვნების, პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ, უკეთესად დაგეგმონ ბიზნესი, მოიზიდონ და ეფექტიანად გამოიყენონ ფინანსური რესურსები.

